პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეების დღისა 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—70) მდივნის 10—68) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შემდეგ—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% სახელდობ განცხადებას. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- მელიოტონთა გაფიცვა ჰუნგრეთში.
- ნიუ-იორკში დააპატიმრეს 7 იტალიელი მუშა.
- ოფიცრების აჯანყება ჩინეთში.
- ბერლინიდან მოსკოვში დაბრუნდა გერმანიის ელჩი ბროკ-დორფ - რანცაუ.
- სავაჭრო შეთანხმება ესპანეთსა და ჩინეთს შორის.
- კაზარინოვის მოგზაურობა დედამიწის გარშემო.
- საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება ოსლოში.

ოთხშაბათი, 10 აგვისტო 1927 წ.   ყოველდღიური გაზეთი   ფასი 5 კაპ. № 180 (1925)

პარიზის კონგრესის შედეგები

ყვითელ პროფკავშირების ინტერნაციონალის კონგრესმა დაასრულა თავისი „მუშაობა“. როგორც დეპეშა გადმოგვცემს, კონგრესი დაიწყო „მძიმე ატმოსფეროში, რომელსაც მრავალი დელეგატი არ მალავს“. ეს ატმოსფერა, სხვათა შორის, შექმნა იმ სასკანდალო კინკლაობამ ამსტერდამის ბიუროკრატებ შორის, რაც გამოაშკარავებულ იქნა კონგრესზე. ამსტერდამის ერთი მდივანი, ბრაუნი თავის მეთაურობით აწყობს დელეგაციას მექსიკაში, ხოლო მეორე მისი მდივანი, უდეგესტი საიდუმლო მიწერილობას უგზავნის მექსიკის პროფკავშირებს უნდობლად მოეპყრან ამ დელეგაციას. ბრაუნ-უდეგესტს შორის იმდენად „პრინციპიალურ“ დავას არა აქვს ადგილი, რამდენად ადგილისა და გავლენისათვის ბრძოლას. და ეს გასაგებია: ხალხი, რომელიც მოწყვეტილია მასებს და ცოცხალ პოლიტიკურ მუშაობას არ ეწევა, პირადი ინტრიგების ქსელში ებმება.

ბრაუნი არ დარჩენილა „დავალიანებული“ უდეგესტის მიმართ. მან საქვეყნოდ ამხილა მისი ფარული მახინაციები საბჭოთა პროფკავშირებთან დამოკიდებულების საკითხში. მაშინ, როცა უდეგესტი ირწმუნებოდა, რომ ამსტერდამის ბიურო მოწადინებულია საბჭოთა პროფკავშირებთან შეთანხმებას,—ბრაუნი აქვეყნებს უდეგესტის საიდუმლო წერილს გამცემელ ჟუოსა და მარტენსისადმი: საბჭოთა პროფსაბჭოს გულწრფელად სურს ამსტერდამის ინტერნაციონალთან შეთანხმების მიღწევა და ამიტომ საჭიროა მის წინააღმდეგ შეტევის წარმოება, რომ ეს სურვილი ჩავფუშოთო. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, ხოლო ამ მხილების შემდეგ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ ვინ არის მთლიანობის დამცველი და ვინ მისი მტერი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი სხვა ცნობილი ფაქტები მოწმობენ, რომ ამსტერდამის გაერთიანების მეთაურები არაფრის წინაშე არ ჩერდებოდენ, რომ მთლიანობის განხორციელებისათვის ხელი შეეშალათ და გადაულახავი ზღუდე აღემართათ საბჭოთა და დასავლეთის პროფმოძრაობის შორის. მაინც უდეგესტის მოქმედება ზედმეტ ნათელს ფენს ამსტერდამის მოღალატურ როლს.

უდეგესტი ამაოდ შეეცადა თავის რეაბილიტაციას. მისი განცხადება, რომ მისი ჰოლანდიურ ენაზე დაწერილი წერილი ვერ არის ფრანგულად სწორად გადათარგმნილი, ან ჟუოს განცხადება, რომ ეს წერილი თითქო მას არ მიეღოს, ქათმის ქურდის ამბავს მოგვაგონებს, ქურდის, რომელიც იფიცებოდა ქათამი არ მომიპარავსო, როცა მოპარულ ქათმის ბოლო მის კალთაში გამოიყურებოდა. ამ საკითხის გამო არჩეული კომისია შეეცადა სკანდალის მიფუჩეჩებას. ამაში მას დაეხმარა „მემარცხენე“ პერსელიც, რომელმაც „პროფმოძრაობის საერთო ინტერესებისათვის“ საჭიროდ სცნო კამათის შეწყვეტა წერილის გარშემო და მისი განხილვა უფრო ვიწრო წრეში. მაგრამ სურათი საკმაოდ ნათელია, რომ შესაძლებელი იყოს მისი დაჩრდილვა.

კონგრესზე მდგომარეობა გაამწვავა საბჭოთა პროფკავშირებთან დამოკიდებულების საკითხმა. თუმცა იგი ოფიციალურად არ ყოფილა კონგრესის დღის წესრიგში შეტანილი, მაგრამ ბრაუნის ხსენებულმა გამოსვლამ და გაცილებით უფრო მეტად პერსელის სიტყვამ მემარჯვენეებს წონასწორობა დააკარგვია და ჩვენ მოწმე შევიქენით მათი ახალი გამოლაშქრებისა საბჭოთა პროფკავშირების წინააღმდეგ.

პერსელს ჩვენ ვიცნობთ, როგორც ტიპიურ რეფორმისტს და შემთანხმებელს. მან გენსაბჭოსთან ერთად, რომლის წევრიც ის არის, გასცა საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვა, იგი დაეხმარა კონსერვატორების კანონს პროფკავშირების წინააღმდეგ, ის ინგლისის მუშათა კლასის სხვა „ბელადებთან“ ერთად ატარებს ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის საბოტაჟს და სხ. აი, ამ პერსელმა პარიზის კონგრესზე წარმოსთქვა „რევოლიუციონური სიტყვა“, სადაც მოითხოვდა საბჭოთა კავშირებთან შეთანხმებას, უკანასკნელებისაგან მუშაობის მეთოდების შეთვისებას და ამსტერდამის გაერთიანების გზების გადასინჯვას. ამით აიხსნება პერსელის ახალი „რევოლიუციონერობა“. რა თქმა უნდა, მასში რაიმე გარდატეხა არ მომხდარა. მაგრამ ის მოწადინებულია დაჩრდილოს თავისი გამბედაობა ინგლისის მუშათა კლასის წინაშე და უკანასკნელის მემარცხენე განწყობილებას, იმის მაგიერად, რომ ის თვით ინგლისში კლასობრივ ბრძოლად გაიშალოს,—ამ განწყობილებას მისცეს გამოსავალი საერთაშორისო მასშტაბით. ამგვარად, პერსელის სიტყვა არის მანევრი ერთი მხრით ინგლისის პროლეტარიატის რეფორმისტ მეთაურების რეაბილიტაციისათვის, მეორე მხრივ ამ პროლეტარიატის რევოლიუციონურ ენერგიის მოდუნებისათვის ქვეყნის შიგნით—მისი რადიკალური სიტყვიერებით შეცვლის გზით. პერსელი ცდილობდა გენსაბჭოს გამცემლობა დაეფარა ამსტერდამის კრიტიკის საშუალებით. რა თქმა უნდა, ამსტერდამის გაერთიანების ხელმძღვანელთ უდიდესი დანაშაული მიუძღვით ინგლისის მუშათა კლასის წინაშე; უდეგესტებს ხელიც არ გაუნძრევიათ ინგლისელ გაფიცულთა დასახმარებლად, უფრო მეტი: მათ ჩაშალეს ინტერნაციონალური სოლიდარობის კამპანია გაფიცულთა მიმართ. მაგრამ ამავე დროს აშკარაა, რომ ეს ოდნავადაც ვერ ამართლებს თვით პერსელების გამცემლობას.

ასეა თუ ისე, პერსელმა რადიკალური სიტყვა წარმოსთქვა. რა თქმა უნდა მისი მემარცხენე ფრაზები კლასობრივ ბრძოლის ძლიერ კონკრეტიულ პროგრამას არ შეიცავდენ. მან თვითონაც კარგად იცოდა, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა. მაგრამ ჟუოები მემარცხენეობით უწყინარ თამაშსაც ვერ შეურიგდენ და მათ სასტიკად გაილაშქრეს „თავხედ“ პერსელის წინააღმდეგ. შემდეგ პერსელი გაშავებულ იქნა.

მემარჯვენენი, რომელნიც ომის მომყოლ წლებში, როცა ბურჟუაზიის მდგომარეობა ძალზე შერყეული იყო, ხანდახან ბუნდოვან მემარცხენე სიტყვიერებას მიმართავდენ მუშათა კლასის დასაშოშმინებლად. ეხლა კი ესეც ზედმეტად მიაჩნიათ. ჟუომ ამას წინად განაცხადა საფრანგეთის რეფორმისტების კავშირების ყრილობაზე, რომ რევოლიუციონურ ფრაზების ხანა გავიდაო. ისინი აშკარად თანამშრომლობენ ბურჟუაზიასთან და კლასიურ ბრძოლის მაგივრად მასთან მუშების სახელით და მათ ხარჯზე პოლიტიკურ და ეკონომიურ შეთანხმებას ახდენენ. ამან გამოხატულება ჰპოვა იმაშიც, რომ პარიზის კონგრესმა უარჰყო წინადადება, რომ ინტერნაციონალის წესდებაში შეტანილი ყოფილიყო მუხლი კლასიურ ბრძოლის წარმოების აუცილებლობის შესახებ. თუმცა ამ მუხლს თავის-თავად რა ღირებულება აქვს, თუ მისი გატარების საქმე ლეიპარტების ხელში იქნება, მაგრამ ისინი პრინციპიალურადაც უარს აცხადებენ კლასობრივ ბრძოლაზე და ამით ოფიციალურადაც ადასტურებენ, რომ ბურჟუაზიის ბატონობის დაცვა შეადგენს მათ დანიშნულებას.

ამასვე ცხადჰყოფენ კონგრესის სხვა გადაწყვეტილებებიც. მაგ., კონგრესმა უკამათოდ მიიღო მერტენსის მოხსენება ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. მოხსენება კაპიტალისტებს მოუწოდებს „განახორციელონ ამსტერდამის ინტერნაციონალის საუცხოვო მეთოდები საერთაშორისო ეკონომიურ აღორძინების მიღწევისათვის“. ეს მეთოდები კი გამოიხატება კაპიტალისტურ ქვეყნების შეთანხმების და ეკონომიურ თანამშრომლობის აღიარებაში, თითქო ეს შესაძლებელი იყოს. არც ერთი სიტყვა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებაზე არ წამოცდენია კონგრესს.

რვა საათის სამუშაო დღის საკითხში კონგრესი იმედს ამყარებს ერთა ლიგაზე და ვაშინგტონის შეთანხმების დამტკიცებაზე. მეტი არაფერი იყო მოსალოდნელი ლეიპარტისაგან, რომელიც მომხსენებლად გამოვიდა ამ საკითხზე: გერმანიის რეფორმისტებმა ხომ დიდი ხანია 8 საათის სამუშაო დღე მსხვერპლად მიიტანეს კაპიტალისტურ რაციონალიზაციის სამსხვერპლოზე.

ასევე უფერულია კონგრესის რეზოლიუცია ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. წამოყენებულია სამედიატორო სასამართლოს პრინციპი, ერთა ლიგის მუშაობა. კონფერენციები შეიარაღების შესამცირებლად, ჰუმანიურ პოლიტიკის წარმოების მოთხოვნაც მთავრობებისაგან, რამაც ამსტერდამის აზრით უნდა აგვაცილოს ომის საფრთხე. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ ამსტერდამის მეთაურები არავითარ ზომებს არ მიიღებენ, ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, პირიქით როგორც წინედ, მომავალშიაც მოუწოდებენ თავის ქვეყნის მუშებს გვერდში ამოუდგენ „მშობლიურ“ ბურჟუაზიას.

ასევე სასკანდალოა რეზოლიუცია სოლიდარობის საკითხის შესახებ გაფიცვის შემთხვევაში. სოლიდარობის გამოცხადება იმდენადაა განსაზღვრული, რომ მისი გატარება, თუ მუშათა მასებმა ამსტერდამის ინტერნაციონალს დაუგდეს ყური, შეუძლებელი იქნება.

ასე სამარცხვინოდ დამთავრდა პარიზის კონგრესი. მან გამოაშკარავა ერთი მხრივ ყვითელ პროფკავშირების ზედაფენების სრული მოწყვეტა მასებისაგან, ხოლო მეორე მხრივ ბურჟუაზიასთან სოლიდარობა და გამცემლობის აშმორებულ ჭაობში სამუდამოდ და საქვეყნოდ ჩაძირვა. ამავე დროს კონგრესზე წარმოებული შეხლა-შემოხლა მოწმობს ამსტერდამის შინაგან კრიზისს და მასების რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდას. მაინც უეჭველია, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი ჯერ კიდევ სარგებლობს ერთგვარი გავლენით მუშათა კლასის ზოგიერთ ნაწილში. და ეს მიეწერება არა მის რევოლიუციონურ მოღვაწეობას, არამედ კაპიტალის ნაწილობრივ სტაბილიზაციას. ამსტერდამი იმდენად ცოცხლობს, რამდენად ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის შერყეული ბურჟუაზიის ბატონობა. მაგრამ კაპიტალიზმის კრიზისი თანდათან ღრმავდება, მწვავდება კლასობრივი ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის, რაც იწვევს მუშათა კლასის გარევოლიუციონერებას. აქედან ამსტერდამის შემთანხმებელ პოლიტიკას სულ უფრო ეცლება ფეხიდან ნიადაგი. პარიზის კონგრესის „მუშაობის“ მხილება ხელს შეუწყობს ამ პროცესის დაჩქარებას და ამსტერდამის ბელადების გარიყვას მუშათა მასებისგან.

ამსტერდამი თუ მონტეკარლო?

ამსტერდამის „თავის გართობა“ პარიზში დაიწყო და დამთავრდა სკანდალით, ამავე დროს კი ყოველგვარი ზომები იყო მიღებული, რომ დელეგატებს მაქსიმალური სიამოვნება მიეღოთ.

პუანკარემ უფასოთ დაუთმო ბინა დიდ სასახლეში. ყრილობის დროს განზრახული იყო მთელი რიგი ექსკურსიების მოწყობა, ყრილობის გათავების შემდეგ დელეგატები ფიქრობდენ ნიცაში გამგზავრებას, რომ საფრანგეთის მდიდრების „დასასვენებელი სახლები“ დაეთვალიერებიათ. ბევრი დელეგატები, დაპირებულ სიამოვნების მოლოდინში, ჩამოვიდენ ცოლებით და ბავშვებით იმ იმედით, რომ ზოგიერთ მოსაწყენ ფორმალობის შესრულების შემდეგ (რეზოლიუციის მიღება) გამგზავრებულიყვნენ რივიერაში, და უეცრად ყოველივე ეს ჩაიფუშა. არც დასვენება, არც სიამოვნება, მოხდა სულ წინააღმდეგი.

დაიწყო სულ რაღაც უბრალო მიზეზის გამო, ხოლო დამთავრდა კი... თუმცა, საქმე ჯერ სრულიადაც არ დამთავრებულა, არამედ მხოლოდ ახალ ფაზაში შევიდა, რომელმაც არ შეიძლება, რომ არ გამოიწვიოს იმ ორგანიზაციის გახრწნა და დაშლა, რომელსაც უმართებულოდ ინტერნაციონალი ეწოდება.

რომ პარიზის ყრილობაზე შექმნილი კრიზისის მიზეზები გავიგოთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამსტერდამი არის ნაციონალური ორგანიზაციების კრებული და რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესები ყოველთვის იაფად ფასობდა ამსტერდამის ბირჟაზე. შემდეგ აუცილებელია გავიხსენოთ, რომ ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ამსტერდამის ზედა ფენებში სწარმოებდა განუწყვეტელი შეხლა-შემოხლა არა მარტო საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხის გამო, არამედ ფულთან გაუფრთხილებელი მოპყრობის გამოც. ამსტერდამის ეხლანდელმა ხელმძღვანელებმა გადააჭარბეს მეურნეობის უყაირათო წარმოებაში. საჭირო გახდა მომჭირნეობის „რეჟიმის“ შემოღება, მაგრამ ეს არც ისე ადვილია. სად უნდა გამოიჩინოთ მომჭირნეობა? შეამცირეს გამომცემლობა, დახურეს სტამბა, სახლი. განიზრახეს მდივნების შტატის შემოკლებაც. მაგრამ რომელი მდივანი მოისურვებდა 10.000 გულდენის დაკარგვას (7.500 მან. წელიწადში), დაუმატეთ ამას ის უსიამოვნება, რომელსაც ამსტერდამს აყენებენ პროფინტერნი, პროფკავშირების რევოლიუციონური უმცირესობანი, საბჭოთა პროფკავშირების ზრდა, მასების გაძლიერებული უკმაყოფილება და აგრეთვე ის გარემოება, რომ მიუხედავად ამსტერდამელების ლიბერალური სიტყვებისა, ბურჟუაზია მაინც არ მიდის დათმობაზე; აქ ღია ჭრილობებს დაუმატეთ კიდევ ის ნაციონალისტური ბრძოლა, რომელიც სწარმოებს ხელმძღვანელობისათვის ინგლისელებსა, გერმანელებსა და ფრანგებს შორის და თქვენ მიიღებთ წარმოდგენას იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც აიძულეს ბელადები გამოეაშკარავებიათ მთელი ქვეყნის წინაშე მათი ნამდვილი სახე.

ინგლისელები გამოცხადდენ ბრძოლის განწყობილებით. მათ გადასწყვიტეს შური ეძიათ თავიანთი კოლეგებზე იმ მახინაციებისთვის, რომელსაც ორი წლის განმავლობაში აწარმოებდენ უდეგესტი, ზასენბახი, ლეიპარტი, ჟუო, მერტენსი და სხვ. პერსელმა იცოდა, რომ ის აღარ იქნებოდა თავმჯდომარე და გადასწყვიტა რაც შეიძლება მაგრად მიეჯახებია კარები.

პერსელმა იცოდა შეკრეფილ პროფბიუროკრატების სუსტი ადგილი. პერსელმა იცოდა, რომ წითელი კავშირების ხსენებით გააცოფებდა მათ. თუ პერსელი იტყოდა, რომ მსოფლიოს არსებობა შეუძლებელია პუანკარეს, ჩემბერლენის, კულიჯის და შტრეზემანის გარეშე, მას პირუთვნელად დაუკრავდენ ტაშს თავისი ბურჟუაზიის ერთგული ლაქიები. მაგრამ პერსელმა დაიწყო ლაპარაკი საბჭოთა კავშირების შესახებ, მან სთქვა, რომ ჩინეთში არსებობს მუშათა კლასი, რომ მოსკოვი სწავლობდა პარიზის კომუნისაგან, რომ რევოლიუციონური ჩინეთი სწავლობს მოსკოვისაგან, რომ ის მზად არის დათანხმდეს მუშათა მსოფლიო კონგრესის მოწვევაზე, ოღონდ მიაღწიოს პროფმოძრაობის მთლიანობას და სხვ. მაგრამ, განა ნამდვილ ამსტერდამელს შეუძლია „მოსკოვის ასეთი ერესის“ მოთმენა. აქედან გასაგებია — ჯერ აღშფოთება, ხოლო შემდეგ — გაუგონარი სკანდალი. ჟუომ განაცხადა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი არ ეთანხმება პერსელის სიტყვას, თუმცა ბიურო, არც კი შეკრებილა, როგორც ამას ირწმუნებოდა ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივნის მოადგილე. პერსელს, როგორც ინგლისელს (ნაციონალური პატივმოყვარეობის გამო) გამოექომაგენ დანარჩენი ინგლისელები, რომლებმაც განაცხადეს, რომ, არ შედიან რა დასმული კითხვების არსებითი შინაარსის ძიებაში, ისინი არ დაუშვებენ თავდასხმას ინგლისის დელეგაციის წევრზე.

ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო პირველი სკანდალი, რომ დაიწყო მეორე, მექსიკაში გამგზავრების გამო. მრავალი მსურველი აღმოჩნდა მგზავრობისა მექსიკის მთავრობის ხარჯზე, მაგრამ ყველა არ მიიწვიეს. ამან გამოიწვია—კინკლაობა, ერთი მეორეზე დანაშაულის გადატანა, ერთი მეორეს შეურაცხყოფა და სხვ. მექსიკის გულისთვის კინკლაობის შემდეგ გამოჩნდა უდეგესტის საქმე, უდეგესტის, რომელიც, როგორც ამბობენ, კულისებს იქით აწყობდა ინტრიგებს ინგლისელების წინააღმდეგ. უდეგესტმა, რომელსაც შეეშინდა — ვაი თუ მართლა გამოიჩარხოს მთლიანობაო, — წერილით მიმართა ჟუოსა და მარტენსს. ამ წერილში უდეგესტი სწერდა: „რადგან ტომსკის ნამდვილად სურს მთლიანობა, ამიტომ დროა შეტევაზე გადავიდეთ“. ინგლისელებს ვერ ეჭაშნიკათ უდეგესტის წერილი, და მათ დასვეს ულტიმატუმი: თუ უდეგესტი დარჩება, მაშინ ისინი გამოვლენ ამსტერდამის ინტერნაციონალიდან. ამსტერდამელებმა უხალისოდ გაწირეს ერთა ლიგის ამ პირწავარდნილი ლაქიის თავი, მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვეს პერსელის თავი. „არ გვინდა „მემარცხენე“ თავმჯდომარე“ — ასეთი იყო აღშფოთებულ, შეშფოთებულ და გაბრაზებულ პროფბიუროკრატების ერთსულოვანი ხმა.

მე აღარ გამოუდგები ამჟამად პერსელის „მემარცხენეობის“ გარკვევას: ჩვენ ყველა ვიცნობთ მემარჯვენე პოლიტიკის ამ მემარცხენე გმირს.

პერსელს, როგორც ვიცით, შეუძლია წარმოსთქვას მემარცხენე სიტყვა, მაგრამ ეს არ უშლიდა და არ უშლის ხელს იყოს პრინციპიალური შემთანხმებელი, უპრინციპო ოპორტიუნისტი და სოციალ - პატრიოტი. ტომასის ეს „მარცხენა“ ხელი ბევრად არ განსხვავდება მისი მარჯვენა ხელისაგან, მაგრამ ამსტერდამელებს არ სურთ, მემარცხენე სიტყვების გაგონებაცკი, მათ სურთ, რომ ამსტერდამშიც ისეთივე „წმინდა“ ჰაერი იყოს, როგორც ჟენევაში, ერთა ლიგის სხდომებზე. აქ კი საბჭოთა პროფკავშირების, ჩინეთის რევოლიუციის მოგონება და სხვ. განა შეიძლება ასეთი გაუგონარი სკანდალის მოთმენა!

ყრილობაზე ატეხილი ბრძოლა გაამწვავა ქიშპობამ ამ ვაი - ინტერნაციონალის ხელმძღვანელობის გარშემო, მაგრამ ფრანგები, ბელგიელები და ინგლისელები ფხიზლად ადევნებენ თვალ ყურს, რომ გერმანელებმა არ ჩაიგდონ ხელში იმპერიალისტური პოლიტიკის ეს იარაღი.

როდესაც წამოიჭრა ამსტერდამიდან ინტერნაციონალის ცენტრის გადატანის საკითხი, გერმანელებმა დაასახელეს ბერლინი, რამაც მთელი განგაში გამოიწვია ყოფილ ანტანტის ქვეყნების პროფესიონალისტებში. მაშინ ალაპარაკდენ ლიუქსემბურგზე, შემდეგ ბრიუსელზე. ბოლოს და ბოლოს, ერთი მეორის უნდობლობის მიზეზით, „დიდი სახელმწიფოები“, მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი არ უნდა იყოს არც ლონდონში, არც ბერლინში და არც პარიზში. რატომ? იმიტომ, რომ ბატონი ამსტერდამელები არ ენდობიან ერთმანეთს და სცდილობენ ისეთ მეორე ხარისხოვან სახელმწიფოს გამოძებნას, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდეს ინტერნაციონალის ხელმძღვანელობა. რითაა ნაკლები ერთა ლიგაზე?

ამ კინკლაობამ მოიცვა ამსტერდამის ინტერნაციონალის პარიზის ყრილობის მთელი „მუშაობა“. მართალია, მსოფლიოს ემუქრება ახალი ომის საფრთხე, მსოფლიო იმპერიალიზმი ახრჩობს ჩინეთის რევოლიუციას, ამერიკა და ინგლისი უკვე აიშალენ საზღვაო შეიარაღების საკითხში და ეხლა დაიწყება შეჯიბრი საზღვაო შეიარაღებაში, რეაქცია თარეშობს და ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში მუშებს ართმევენ ელემენტარულ უფლებებს, მაგრამ რაა ყველაფერი ეს შედარებით იმასთან — „მდივნად იქნება თუ არა უდეგესტი, ბრიუნი ან მერტენსი, ვინ იქნება თავმჯდომარე, სად იქნება გადატანილი ცენტრი — ბრიუსელში თუ ლიუქსემბურგში“? პარიზის ყრილობას „დაავიწყდა“ მნიშვნელოვანი საკითხები, ხოლო როდესაც შეეხო ერთ-ერთ მათგანს (8 საათის სამუშაო დღის შესახებ) რაღაც უშინაარსო, არაფრის მთქმელი რეზოლიუციის გამოტანით შეეცადა, რაც შეიძლება მალე თავის დაღწევას მისგან.

ყრილობამ ახადა ამსტერდამის ფარდის კალთა, და ფართე მასები დარწმუნდენ, თუ რა სიცალიერე სუფევს ამ ეგრედწოდებულ ინტერნაციონალში.

მაგრამ ნუ თუ მომხდარ შეხლა - შემოხლას და უთანხმოებას პირადი ხასიათი აქვს და ნუ თუ პარიზში მომხდარი ამბების ახსნა შეიძლება მხოლოდ უდეგესტის და კომპანიის ხრიკებით და მახინაციებით? რასაკვირველია არა. პარიზის ამბები ძლიერ სიმპტომატიურია. პარიზის ამბები ძლიერ მახინჯ ფორმაში გამოხატავენ უკმაყოფილებას ამსტერდამის ინტერნაციონალის პოლიტიკით. მასები უკმაყოფილონი არიან, მათ უნდათ ბრძოლა ომის საშიშროების და ფაშიზმის წინააღმდეგ. მასები უკმაყოფილებას აცხადებენ და ბელადებსაც დაეტყო ნერვიულობა. მეთაურებს ელანდებათ შეთქმულება იქ, სადაც ასეთს არა აქვს ადგილი და როდესაც მათთან იხსენიებენ წითელ კავშირებს და რევოლიუციას, ისინი ღელავენ. ისინი, მუშათა მოძრაობის ჩაქრობაში სახანძრო მილის როლს თამაშობენ. თორემ სხვანაირად იძულებული იქნებოდენ თავის ბურჟუაზიულ მოკავშირეებისთვის ბევრი არა სასიამოვნო რამ ეთქვათ. მაგრამ მუშები არ ცხრებიან, ამსტერდამის პიერ აღებულ ოფიციალურ კურსის წინააღმდეგ შეუჩერებლივ იზრდება ოპოზიცია. და როდესაც უკვე ნიადაგიც იწყებს ფეხქვეშ რყევას, ისეთი უპრინციპო პოლიტიკოსებიც კი, როგორიც არიან ამსტერდამელები, ეძებენ დამნაშავეთ და პიროვნებათა გადაჯგუფებით ცდილობენ შერყეული პოლიტიკური მდგომარეობის გამოკეთებას. ჩვენ ყველაზე უფრო ნაკლებ გვაინტერესებს უდეგესტის ბედი. უდეგესტი არ დაკარგავს თავის 10.000 გულდენს. ის ამ ფულს მიიღებს ერთა ლიგისგან თავისი პერიოდული სამსახურისათვის. მაგრამ განა საქმის მდგომარეობა შეიცვლება თუ უდეგესტის ადგილი ზასენბახმა დაიჭირა? მართალია ზასენბახი არ დარჩება გენერალურ მდივნათ, არ დარჩება იმიტომ, რომ ის გერმანელია და ამსტერდამის ინტერნაციონალის უმრავლესობა კი ყოფილ ანტანტის პროფესიონალისტების ხელშია. გენერალურ მდივნათ აირჩევენ ალბათ მერტენს, ამ პოლიტიკურ შტრეიკბრეხერს და საბჭოთა კავშირის და ჩინეთის რევოლიუციის შეურიგებელ მტერს. იქნება კი მერტენსი უდეგესტზე უკეთესი? ეს ჰოლანდიური დედნის ბელგიური თარგმანია, ე. ი. ორივე უარესია. ჩვენ არც ის გვაინტერესებს თუ ვინ იქნება თავმჯდომარე. პერსელი გააშავეს, მაშასადამე აირჩევენ ხიკს ან ვინმე სხვას იმის მსგავს. ამსტერდამის ინტერნაციონალის მაღალ ფენებში გამეფებული იქნებიან ინგლისელები (მათი თავმჯდომარე) ინტერნაციონალს კი უხელმძღვანელებენ სხვები. საკითხს ამსტერდამის ინტერნაციონალის შესახებ გადასწყვეტენ არა პროფბიუროკრატები, არამედ მასა, რომელიც ჩვენის დახმარებით გამოყრის გარეთ მთელ ნაგავს და რევოლიუციონურ კავშირებთან ერთად შექმნის ერთიან ინტერნაციონალს.

საკითხს გადასჭრის აღელვებული, მოტყუებული მასა, მანამ კი ერთს რჩევას მივსცემთ ამსტერდამის ხელმძღვანელთ:

თქვენ მსჯელობთ იმაზე თუ რომელ ქალაქში უნდა იმყოფებოდეს თქვენი „ინტერნაციონალი“ ამსტერდამი აუტანელია, ლონდონში ცუდი ჰაერია, უმიზეზოთ კი არ გამოქცეულა იქიდან ფრიდრიხ ადლერი თავისი ინტერნაციონალით, ბერლინში არ ვარგა იმიტომ, რომ დასახლებულია გერმანელებით, პარიზში ძლიერ ბევრია რევოლიუციონურად განწყობილი მუშები, ეს კი ცუდ გავლენას იქონიებს თქვენი ინტერნაციონალის ჯანმრთელობაზე. მაშ სად? ლიუქსემბურგში, ბრიუსელში თუ რომში? არა, არც ერთი დასახელებული ქალაქი არ გამოდგება ასეთ სერიოზულ მშვიდ და პადაგრით დასნეულებულ ორგანიზაციისათვის. დარჩა მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი და ნეიტრალური სახელმწიფო, თავისუფალი პროლეტარიატისაგან და რევოლიუციისაგან — მონტე - კარლო. საეჭვოა მოიგებენ რასმეს თუ არა ამსტერდამელები ლიუქსემბურგში ან ბრიუსელში გადაბარგებით, მაგრამ ცხადია, რომ მონტე - კარლოში ყოველთვის შეიძლება მოიგოს ადამიანმა.

ა. ლოზოვსკი.

„პრავდა“.
9 აგვისტო, 1927 წ.

ანგარიშის ჩაბარება ამომრჩეველთათვის

დღეს, 10 აგვისტოს, დაიწყება თბილისის საბჭოს წევრთა საანგარიშო კამპანია თავის ამომრჩევლების წინაშე. საბჭოს წევრები თავის ამომრჩევლებს ჩააბარებენ ანგარიშს თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფართე მასების წინაშე ანგარიშის ჩაბარების ასეთ წესს. აქ ფართედ იქნება გამოტანილი ყველა მიღწევები და შეცდომები, აგრეთვე როგორც ერთი, ისე მეორის მიზეზები.

უმთავრესი ის არის, რომ ამ კამპანიის დროს მშრომელი მასები, განსაკუთრებით მუშები მისცემენ საბჭოს წევრებს მთელ რიგ რჩევა--დარიგებებს უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის როგორც სამეურნეო მშენებლობის, ისე სოციალურ-კულტურული საქმიანობის დარგში.

თუ არსებითად შევეხებით შესრულებულ მუშაობას, უნდა აღინიშნოს, რომ აქ მთელ რიგ დიდ მიღწევებთან ერთად გვაქვს მრავალი შეცდომაც, რაც ნაწილობრივ ჩვენდაუნებურად იყო გამოწვეული, ხოლო ნაწილობრივ აიხსნება წმინდა ობიექტიური მიზეზებით.

განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს მშენებლობის დარგში. აქ საკმაო საშუალებებთან ჩვენ ხშირად გვაკლია მუშაობის რიგიანი ტემპი. ხან გვაკლია საჭირო მასალა, ხან ფართედ გაშლილი მშენებლობის გამო გვაკლია კვალიფიციური მუშა-ხელის საჭირო რაოდენობა.

ჩამოთვლილ მიზეზების გარდა არის კიდევ მთელი რიგი სხვა მიზეზებისა, რომლებსაც აღმოვფხვრით საანგარიშო კამპანიის დროს საერთო ძალით მშრომელებთან ერთად და გამოვიმუშავებთ კონკრეტულ ზომებს ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად მშენებლობის უფრო ჩქარი ტემპით წარმოებისათვის მომავალში.

საანგარიშო კამპანიის დროს მშრომელთა ფართე მასები ჩვენ უნდა ჩავაბათ საბჭოთა მშენებლობაში. ეს კი შეიძლება იმ მუშათა აქტივის გამორჩევით, რომელმაც თბილისის საბჭოს წევრთა რიგები მომავალში უნდა შეავსოს ახალი და აქტიური მუშაკებით.

თუ თვალს გადავავლებთ თბილისის მე-6 მოწვევის საბჭოს მიერ შესრულებულ მუშაობას, ჩვენ შევამჩნევთ დადებით შედეგებს მის მასიურ მუშაობაში. ხოლო ამ საანგარიშო კამპანიის ჩატარება უდავოდ გამოიღებს თავის დადებით შედეგებს, როგორც უკვე განვლილი მუშაობის შეფასების მხრივ, ისე მომავალი მუშაობის ანალიზის და გარჩევის მხრივაც.

მე-6 მოწვევის საბჭოს მასიურ მუშაობას როგორც სექციებში, ისე კომისიებში, აგრეთვე საბჭოს ცალკე წევრთა მიმაგრების მხრივ ცალკე წარმოებებსა და დაწესებულებებზე, აქვს დადებითი შედეგები. მომავალმა საანგარიშო კამპანიამ უნდა აღნიშნოს ამ მუშაობის ეს მიღწევები, განამტკიცოს ისინი და მისცეს მითითებები მასიური მუშაობის გაღრმავებისათვის მომავალში.

მართალია თბილისის საბჭო გართული იყო საშინაო მშენებლობის საკითხებში, მაგრამ მას მაინც უყურადღებოთ არ დაუტოვებია ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის მიზეზით წამოჭრილი საკითხები. ომის საფრთხე მაინც ემუქრება საბჭოთა კავშირს, თუმცა საბჭოთა კავშირის მშრომელები მშვიდობიანობის მხურვალე მომხრენი არიან. ამიტომ ძველებური ანდაზის არ იყოს: „თუ გინდა მშვიდობიანობა, ემზადე ომისთვის“. საჭირო იყო ყურადღების მიქცევა, ქვეყნის თავდაცვისა და მოსახლეობის გასამხედროების საქმისათვის. შეიძლება ითქვას, რომ საბჭომ ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა. საანგარიშო კამპანია კი დასახავს შემდეგ გზას.

საანგარიშო კამპანიის დროს ყოველმა მშრომელმა, განსაკუთრებით მუშებმა უნდა შეამოწმონ დაწვრილებით, თუ რამდენად შეასრულეს მათ მიერ საბჭოში გაგზავნილმა დელეგატებმა უკანასკნელთათვის მიცემული დავალებები. ყოველ მშრომელს შეუძლია და უნდა შეეკითხოს კიდეც თავის ამორჩეულს: „რა გაქვს გაკეთებული თბილისის მრავალფეროვან და რთულ სამეურნეო ცხოვრებაში“.

საანგარიშო კამპანია იწყება. თბილისის ყველა მშრომელებმა, განსაკუთრებით მუშებმა, რაც შეიძლება ფართე მონაწილეობა უნდა მიიღონ საანგარიშო კრებებში და თავისი რჩევა-დარიგებით ხელი შეუწყონ საბჭოთა მუშაობის განვითარებას თბილისისა და მისი მაზრის მშრომელთა საკეთილდღეოთ.

ვ. მესხი.

რუს თეთრგვარდიელების გადასახლება პოლონეთიდან

ავსტრიაში გრძელდება კომუნისტების დევნა

ბრძოლა მუკდენის და ნანკინის ჯარებს შორის.—ნანკინელების დამარცხება

კანტონში გამოცხადებულია სამხედრო წესები.—კომუნისტების დაპატიმრება უხანში

თეთრგვარდიელთა გადასახლება პოლონეთიდან

ვარშავა, 8 აგვისტო. გაზეთ „კურიერ ვარშავსკა“-ს ცნობით, პოლონეთის ხელისუფლების მიერ რუსი თეთრგვარდიელებზე დაწესებულმა მეთვალყურეობამ, გამოაშკარავა, რომ ემიგრანტების ნაწილი ეწევა სხვადასხვა გვარ აფიორას და შანტაჟს. „ამის გამო,—სწერს გაზეთი,—**პოლონეთის ხელისუფლებამ გადასწყვიტა მოახდინოს პოლონეთში მყოფი რუსი ემიგრანტების ენერგიული წმენდა**“.

გაზეთი დასძენს, რომ ამ **უახლოეს დღეებში იქნება ბრძანება, რომ პოლონეთიდან გადასახლებულ იქნას „რუს ემიგრანტთა ხროვის რამდენიმე გამოჩენილი წარმომადგენელი“**.

შემდგომი ცნობების მიხედვით, **ხმები პოლონეთიდან თეთრგვარდიელების გადასახლების შესახებ მართლდება,** მაგრამ გადასახლებას მასიური ხასიათი არ ექნება და შეეხება მხოლოდ „რამდენიმე ათეულ მორალურად დაცემულ პირს“.

პრესა იუწყება, რომ **მახლობელ დღეებში ცალკე გუბერნიები ცენტრალურ ხელისუფლებას წარმოუდგენენ დასამტკიცებლად გადასასახლებელი რუსი ემიგრანტების სიებს.**

ამ ცნობების გამო, რუს თეთრგვარდიელთა ემიგრაციის წრეები პოლონეთში ძალიან არიან შეშფოთებული.

8 აგვისტოს პრესა აქვეყნებს ოფიციალურ ცნობას, რომელიც უარჰყოფს ხმებს გადასახლების შესახებ. **მაგრამ ეს** უარყოფა ადასტურებს, რომ **პოლონეთიდან „განსაზღვრული მიზეზების გამო გადასახლებულ იქნება 6 რუსი ემიგრანტი, რომელნიც ზედმეტ ტვირთს წარმოადგენენ პოლონეთის სახელმწიფოსათვის“** ამასთანავე აღნიშნულია, რომ გადასახლებული—ემიგრანტების გვარები და მათი გადასახლების მოტივები დამატებით იქნება გამოქვეყნებული (ადს).

ავსტრიელ მენშევიკების კაპიტულიაცია

ჩხრეკა-დაპატიმრებანი

ვენა, 8 აგვისტო. 6 აგვისტოს ღამით ვენის პოლიციამ კვლავ გაჩხრიკა გრინცინგში მყოფი სტუდენტების საერთო საცხოვრებელი ბინები. აცხადებენ, რომ თითქო სოციალ-დემოკრატ ექიმ პიკგარდტის ბინაზე იპოვეს ავსტრიის კომპარტიის გრინცინგის სარაიონო ორგანიზაციის არქივი, ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მასალების ნაწილი და ავსტრიის კომპარტიის საზღვარ-გარეთელი წევრების სია. (ადს).

სათემო პოლიცია დათხოვნილია

ვენა, 8 აგვისტო. სოციალ-დემოკრატების მიერ ივლისის ამბების დროს მოწყობილ ვენის სათემო პოლიციის დათხოვა და მის მაგიერ ეგრედ წოდებულ „საზოგადოებრივი დაცვის რაზმის“ მოწყობა მოხდა იმ მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც სწარმოებდა კანცლერ ზეიპელსა და ვენის ბურგომისტრ სოციალ-დემოკრატ ზეიცს შორის.

ზეიცმა პასუხი გასცა კანცლერის წერილზე, რომელშიაც ზეიპელი იუწყებოდა, რომ მოკავშირეთა სამხედრო-საკონტროლო კომისიამ პროტესტი განაცხადა მუნიციპალურ სათემო პოლიციის მოწყობის წინააღმდეგ ვენაში. ზეიცმა პროტესტი განაცხადა საკონტროლო კომისიის მიერ მის რწმუნებათა გადაჭარბების წინააღმდეგ და გამოსთქვა იმედი, რომ ავსტრიის მთავრობაც განაცხადებს პროტესტს ამის წინააღმდეგ. ამასთან ერთად ზეიცმა აცნობა კანცლერს, რომ დათხოვნილია სათემო პოლიცია და მოეწყო „საზოგადოებრივი დაცვის რაზმი“, რომლის ერთად-ერთ ამოცანას შეადგენს წესრიგის დაცვა მუნიციპალურ დაწესებულებებსა და წარმოებებში. **მთელი კაპიტალისტური პრესა ზეიმობს ზეიპელის მთავრობის გამარჯვებას და სოციალ-დემოკრატების კაპიტულიაციას.** (ადს).

კუკის განცხადება

პარიზი, 8 აგვისტო. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში კუკმა, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება, განაცხადა:

„კაპიტალისტურმა პრესამ, ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის კონფერენციასთან დაკავშირებით, ყალბად გააშუქა ინგლისის მუშათა მოძრაობის პოზიცია საბჭოთა კავშირის მუშების მიმართ. **ინგლისის მემაღაროენი არასოდეს არ ილაშქრებდენ საბჭოთა კავშირის მუშების წინააღმდეგ, პირიქით, ისინი აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის პროლეტარიატით იმ დახმარების გამო, რომელიც მათ აღმოუჩინეს მწარმოებლებთან სასტიკი ბრძოლის დროს.** კონფერენციის თავმჯდომარე **ჰერბერტ სმიტი,**—განაცხადა შემდეგ კუკმა,—მხოლოდ იმ სიტყვების წარმოთქმის ნებას აძლევდა, რომელნიც მას მოსწონდა, მაგრამ **დელეგატები მომხრენი იყვნენ იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა კავშირი შესულიყო მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციაში;** დელეგატების მიერ მიღებული **რეზოლიუცია მოითხოვს მემაღაროეთა საერთაშორისო ინტერნაციონალის შექმნას, რომელშიაც უნდა შევიდეს საბჭოთა კავშირიც. თუ ამსტერდამის ინტერნაციონალი უარს იტყვის იმის ნებართვაზე, რომ საბჭოთა მემაღაროენი შეყვანილ იქნან საერთაშორისო ფედერაციაში, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ მოეწყოს ინგლისს რუსეთის მემაღაროეთა კომიტეტი.** ეხლა ხოჯესი უკვე აღარ არის მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციაში. ის, რაც დაემართა ხოჯესს და აგრეთვე მხილებანი ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე დააჩქარებს ნამდვილი მსოფლიო ინტერნაციონალის შექმნას, რომელშიაც შევლენ საბჭოთა პროფკავშირებიც (ადს).

ლატვია-საბჭოთა შეთანხმების გარშემო

ბილმანის უარყოფა

რიგა, 8 აგვისტო. ლატვიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე ბილმანმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის შეკითხვის საპასუხოდ კატეგორიულად უარჰყო გაზეთ „სარგო“-ს ცნობა, რომლის მიხედვითაც ინგლისის ელჩმა ლატვიის მთავრობას თითქოს განუცხადა, რომ სეიმის საგანგებო სესიის მოწვევა ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაციის მოსახდენად არ არის სასურველი ინგლისისათვის და ეს განხილული იქნება, როგორც ინგლისის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაცია.

კალნინგის მოთხოვნილება

რიგა, 8 აგვისტო. ლატვიის სეიმის დეპუტატი რინგოლდ კალნინგი გამოვიდა მემარჯვენე ვაჭართა კავშირიდან და განაცხადა, რომ **ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების საკითხში კავშირი ხელმძღვანელობს არა სახელმწიფოს და ვაჭრების ინტერესებით, არამედ სულ სხვა, ლატვიისათვის გარეშე, მოსაზრებებით.** მემარჯვენე ვაჭართა კავშირმა მოსთხოვა კალნინგს სადეპუტატო მანდატის დაბრუნება. კალნინგმა უარი განაცხადა ამ მოთხოვნილების შესრულებაზე. (ადს).

ვუიოვიჩის განთავისუფლებას მოითხოვენ

პარიზი, 8 აგვისტო. ბალკანეთის თეთრი ტერორის მსხვერპლთა დაცვის კომიტეტმა მიმართა სამხრეთ-სლავიის მთავრობას დეპეშით, რომელშიაც ეკითხება მას, თუ რამდენად მართალია ხმები დაპატიმრებულ სამხრ.-სლავიელ რევოლიუციონერ ვუიოვიჩის ბედის შესახებ. **დეპეშა მოითხოვს ვუიოვიჩის და აგრეთვე კუსოვაცის და ბროცის განთავისუფლებას, რომლებიც დაპატიმრებული** არიან ზაგრებში. დეპეშაზე ხელს აწერს 40-მდე კაცი; მათ შორის საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის ამხანაგი **ბრიუნე,** საფრანგეთის ინტელიგენციის წარმომადგენელნი და პარლამენტის რამოდენიმე სოციალისტი დეპუტატი. (ადს).

მუშა-ახალგაზრდობის დაპატიმრება

ვარშავა, 8 აგვისტო. კრაკოვში მოხდა მთელი რიგი დაპატიმრებები ახალგაზრდობის შორის. დაპატიმრებულებს წაუყენეს ბრალდება, რომ ისინი ეკუთვნიან კომუნისტურ პარტიას. პოლიცია აცხადებს, რომ დაპატიმრებები მოხდა კრაკოვში გავრცელებულ მოწოდებებთან დაკავშირებით, რომლებშიაც წამოყენებული იყო ლოზუნგი „ომი—ომს“.

პენლევე რეპრესიებით ემუქრება კომუნისტურ პრესას

პარიზი, 8 აგვ. „ეკო-დე-პარი“-ს თანამშრომელთან საუბარში სათადარიგო მეზღვაურებს შორის მომხდარ მღელვარების შესახებ საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა პენლევემ განაცხადა:

„მე არ უარვყოფ რევოლიუციონური მუქარის მნიშვნელობას. მე ყოველნაირი საშუალებებით ვებრძვი პროპაგანდას, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ კომუნისტური პრესა აზვიადებს სათადარიგო მეზღვაურების მანიფესტაციებს. ჩემი თხოვნით აღძრულია სასამართლო ძიება ანტიმილიტარისტული წერილების ავტორების წინააღმდეგ, თუმცა, რეპრესიებს ასეთი ფორმა დაგვიანებულია. სატუსაღოში დაპატიმრებით დასჯა არ აღწევს ამ შემთხვევაში მიზანს. საგრძნობლად უნდა დაზარალდეს გაზეთების სალაროები ამ უკანასკნელთა ორმაგი და სამმაგი დაჯარიმებით იმ შემთხვევაში, თუ განმეორებით დაიბეჭდება ანტიმილიტარისტული წერილები. მე სათანადო წინადადებით მივმართე იუსტიციის მინისტრს“. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

გაზეთ „ცზინ-ცზენ-ბაოს“ თანამშრომლების გაფიცვა

შანხაი, 8 აგვისტო. გაზეთ „ცზინ-ცზენ-ბაოს“ (რომელიც ამოში გამოდის) თანამშრომლებმა და ასოთ-ამწყობებმა მბეჭდავთა კავშირის განკარგულებით გამოაცხადეს გაფიცვა, რაც შედეგად მოჰყვა უარის თქმას მთავარი რედაქტორის წერილის აწყობაზე, რომელიც რეაქციონური კილოთი იყო დაწერილი. მაგრამ გომინდანის ადგილობრივ განყოფილების ზეგავლენით ამოს პროფკავშირთა საბჭომ პირობა დასდო, რომ მბეჭდავთა კავშირი შემდეგში აღარ ჩაერევა პრესის საქმეებში და რომ გაზეთის რედაქცია „დაცული იქნება ყოველგვარ ზომებისაგან კავშირის მხრივ“.

გაფიცვა შეწყდა. (ადს).

ჩან-კაი-შის პროკლამაცია ჩინურ ფირმების რეგისტრაციის შესახებ

შანხაი, 8 აგვისტო. ჩინეთის გადასახადების გადამხდელთა ასოციაციამ მიაქცია ჩან-კაი-შის ყურადღება იმაზე, რომ საერთაშორისო სეტლმენტის ტერიტორიაზე არსებული კანონების მიხედვით, ჩინური ფირმები იძულებული არიან მთელი მათი უძრავი ქონება და წარმოებანი უცხოელების საელჩოთა რეგისტრაციაში გაატარონ, ისიც უცხოელ ვექილებისა და უცხოეთის ფირმების სახელით, რაც „შეუფერებელია გამოღვიძებულ ჩინეთის ნაციონალურ ღირსებისათვის“.

ჩინეთის გადასახადების გადამხდელთა ასოციაციის მიმართვის გამო, ჩან-კაი-შიმ გამოსცა პროკლამაცია, რომელშიც ის არა კანონიერად აცხადებს ასეთ რეგისტრაციას და უკრძალავს ჩინურ ფირმებს უცხოეთის საელჩოებში რეგისტრაციაში გატარებას. (ადს).

დამატებითი ბაჟი

შანხაი, 8 აგვისტო. ნანკინის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ტონაჟზე ამას წინად შემოღებული დამატებითი ბაჟი გადიდებულ იქნება არა 50 პროც., როგორც ეს განზრახული იყო, არამედ 25 პროცენტით. მთავრობის ამ განცხადებას ინგლისის გაზეთები ერთგვარ დათმობათ სთვლიან უცხოელებისადმი.

მუკდენის ჯარების შეტაკება ენ-სი-შანის ჯარებთან

პეკინი, 8 აგვისტო. **პრესა იუწყება მუკდენის ჯარების შეტაკების შესახებ ენ-სი-შანის ჯარებთან პეკინ-ხანკოუს რკინისგზის ხაზზე.** ხიდების დანგრევის გამო კავშირი ჩენდისა და იენ-ცზია-ჩუანთან შეწყვეტილია (ადს).

ოფიცრების ამბოხება

პეკინი, 8 აგვისტო. ტოხოს სააგენტო ცინდაოდან მიღებულ ცნობების თანახმად იტყობინება, რომ ამას წინად დაპატიმრებულ ადმირალ უ-ჩიო-იანის ესკადრის ოფიცრებმა მოითხოვეს ადმირალისა და მასთან დაპატიმრებულ ოფიცრების განთავისუფლება. ოფიცრებმა მოითხოვეს აგრეთვე ჯამაგირის დარიგება. **ვინაიდან მათი მოთხოვნილებები არ იქნა დაკმაყოფილებული, მათ დააპატიმრეს ესკადრის ადმირალ ლინ-სიაოს მოადგილე და გავიდენ ზღვაში სამხედრო გემებით** (ადს).

სამხედრო წესები კანტონში

შანხაი, 8 აგვისტო. 5 აგვისტოს კანტონში ყუმბარის აფეთქების დროს ყავახანაში მოკლულ იქნა 2 კაცი, დაიჭრა 19. გაზეთების ცნობით, ყუმბარა გასროლილი იყო იმ განზრახვით, რომ დასცემოდა მაგიდას, რომლის ირგვლივ ისხდენ მეზღვაურთა ყვითელი კავშირის ხელმძღვანელები. აფეთქების გამო სამხედრო ხელისუფლებამ დააპატიმრა სამი კაცი. შამინში (უცხოეთის კვარტალი) გამოცხადებულია სამხედრო წესები. მთელს ქალაქში მასიურ ჩხრეკას აქვს ადგილი. (ადს).

კომუნისტების დასჯა ხანკოუში

შანხაი, 8 აგვისტო. ჩინური გაზეთები იუწყებიან, რომ უკანასკნელ დღეებში ხანკოუში მრავალ დაპატიმრებებს ჰქონდა ადგილი კომუნისტების შორის. გაზეთების სიტყვით, ზოგიერთი დაპატიმრებულთაგანი დახვრეტილია. (ადს).

„მოსკოვის ხელი ხანკოუში“

ხანკოუ, 8 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში უხანის გომინდანის ბელადები თხოულობენ მკაცრი ზომების მიღებას კომუნისტების წინააღმდეგ, რომელთაც ბრალს სდებენ იმაში, რომ „მოსკოვთან ერთად შეთქმულება მოაწყვეს გომინდანის წინააღმდეგ“. უხანის ბელადებმა გააძლიერეს რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ. **უხანში დაპატიმრებულია 200-დე კომუნისტი, 4 მათგანი სიკვდილით დასაჯეს.**

გამოქვეყნებულია მთავრობის ბრძანება, რომელშიც ნათქვამია: „ის კომუნისტები, რომელნიც აღიარებენ თავიანთ დანაშაულს, ისევ იქნებიან მიღებული გომინდანში; მაგრამ ისინი, ვინც კვლავ განაგრძობს საზიზღარ მუშაობას და სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებას, დაუყოვნებლივ იქნება დატუსაღებული და მიცემული პასუხისგებაში“.

სამხედრო საბჭოს ბრძანება წინადადებას იძლევა დააპატიმრონ კომუნისტური აგიტატორები და გადასცენ სამხედრო-საველე სასამართლოს (ადს).

ხმები ნანკინელების დამარცხების შესახებ

პეკინი, 8 აგვისტო. გოვენის სააგენტოს ცნობით, ჩრდილოეთის ჯარებმა 5 დღის ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ცზიაგოუ (ანხოის პროვინციის ჩრდილოეთით). მეორე დღეს ჩრდილოელთა ჯარებმა დაიპყრეს ნანსიუჯოუ, (სამხრეთით ცზიაგუდან). სააგენტოს სიტყვით, ნანკინის ჯარები უწესრიგოდ იხევენ პანფუს მიმართულებით (ცზიანსუს პროვინციის ჩრდილოეთით). (ადს).

ესპანეთ-ჩინეთის ხელშეკრულება

პეკინი, 8 აგვისტო. წინასწარ მოლაპარაკება ესპანეთ-ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ შეთანხმებით დამთავრდა. პეკინის მთავრობა წარმოდგენილი იყო გარეშე საქმეთა მინისტრის ვან-ინ-ტაის სახით, რომელმაც გამოსთქვა რწმენა, რომ მოლაპარაკება დამთავრდება ახალი ხელშეკრულების დადებით, რომელიც დამყარებული იქნება ურთიერთ თანასწორობის საფუძველზე. (ადს).

ვაჭრები „დაჩქარებას“ მოითხოვენ

შანხაი, 8 აგვისტო. ჩინურ გაზეთების ცნობით, ჩაის მოვაჭრეთა შანხაის კავშირმა მიმართა შანხაის სავაჭრო პალატას თხოვნით, რათა დაჩქარებულ იქნას იმ კომისიის მუშაობა, რომელიც აწარმოებს შორეულ აღმოსავლეთის ბანკის „საქმეთა გამოკვლევას“. ჩაის მოვაჭრეთა კავშირი აღნიშნავს, რომ ბანკის დახურვით მას დიდი ზარალი მოსდის, ვინაიდან ცენტროკავშირმა, რომლის საშუალებებიც ინახება შორეულ აღმოსავლეთის ბანკში, შესწყვიტა ჩაის შესყიდვა. (ადს).

ბოქსიორთა კონტრიბუციების განმანაწილებელი კომისია

პეკინი, 8 აგვისტო. გამოქვეყნდა ჩინეთის მხრით ახლად დანიშნულ ბოქსიორთა კონტრიბუციის რუსეთის ყოფილი წილის განმანაწილებელ ჩინეთ - საბჭოთა შერეული კომისიის წევრების განცხადება (საბჭოთა კავშირმა უარი სთქვა კონტრიბუციის თავის წილზე და ის დაუთმო სახალხო განათლების საჭიროებას ჩინეთში). განცხადება მოითხოვს, რომ კომისიის საბჭოთა წევრები ორი კვირის განმავლობაში გამოცხადდენ პეკინში მორიგი საკითხების განსახილველად. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის საბჭოთა ნაწილი არ გამოცხადდება, კომისიის ჩინელი წევრები ყველა საქმეებს დამოუკიდებლად გადასწყვეტენ ადს).

იაპონელები აგებენ თავის რადიო-სადგურებს

პეკინი, 8 აგვისტო. ჩუნ-მეის სააგენტოს ცნობით, იაპონიის ჯარებმა ააგეს რადიო - სადგურები ცინდაოში და ცზინან - ფუში. პეკინის მთავრობამ ამის გამო პროტესტი განაცხადა.

დეტერდინგის კამპანია ჩაფლავდა

საბჭოთა ნავთის ექსპორტი ინგლისში იზრდება

ლონდონი, 8 აგვისტო. „დეი სპრესი“ აქვეყნებს სტატისტიკურ ცნობებს საბჭოთა ნავთის ექსპორტის შესახებ ინგლისში.

„მიუხედავად კამპანიისა რუსეთის ნავთის წინააღმდეგ,—სწერს გაზეთი,— **1927 წლის პირველ ნახევარში ინგლისში შეტანილი საბჭოთა ნავთის ღირებულება შეადგენს 1.282.346 გირვ. სტერლინგს, მაშინ როდესაც 1926 წლის იმავე პერიოდის განმავლობაში ეს რაოდენობა შეადგენდა 751924 გირვ. სტერლინგს.**

ქვა—პურის მაგიერ

ამხ. ლოზოვსკი ამსტერდამელების კონგრესის შესახებ

მოსკოვი, 9 აგვისტო. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ამხ. ლოზოვსკიმ განაცხადა:

„ის, რაც ამსტერდამის ინტერნაციონალის პარიზის ყრილობაზე მოხდა, მოწმობს იმას, რომ ამსტერდამელები უსაფუძვლოდ უწოდებენ მათ ორგანიზაციას ინტერნაციონალურს. კონგრესზე არაჩვეულებრივი სიცხადით გამოაშკარავდა, რომ ნაციონალური ინტერესები სჭარბობს საერთაშორისო ინტერესებს. მთელი ყრილობა გადაიქცა პირადი ინტრიგებისა, კინკლაობისა, კულუარებში მოლაპარაკებისა მახინაციების მყრალ **წუმპეთ და ყველა დამსწრეთ, მათ შორის „მემარცხენე“ ინგლისელებსაც სრულიად დაავიწყდათ ჩინეთის რევოლიუცია, ომის საფრთხე, ფაშიზმი, გაძლიერებული რეაქცია** და სხ. ამსტერდამელებმა არაფერი არა გააკეთეს იმისათვის, რომ მათ **ორგანიზაცია** გაეწმინდათ ყოველნაირი **ჯურის** პოლიტიკური გაიძვერებისაგან. ხელმძღვანელ ბიუროს შემადგენლობაში მომხდარი პატარა ცვლილებები არაფერს არ სცვლის. **ამსტერდამის კავშირში შემავალმა მუშებმა პურის მაგიერ კვლავ ქვა მიიღეს და ისინი აქედან შესძლებენ აუცილებელი ლოგიური პოლიტიკური დასკვნების გამოტანას**“.

ამერიკელი ზუგრები ახალ პროცესს ამზადებენ

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. დაპატიმრებულია 7 იტალიელი მუშა, ანტიფაშისტურ მოძრაობის აქტიური მონაწილენი. დაპატიმრებებს წინ უძღოდა ჩხრეკა ორ ანტიფაშისტურ იტალიურ გაზეთების რედაქციებში. იტალიელ მუშათა წრეებში ამტკიცებენ, რომ ჩხრეკა და დაპატიმრება მოხდენილია იტალიის ვაშინგტონის საელჩოს მოთხოვნილებით. 5 დაპატიმრებულს წაუდგინეს ბრალდება, რომ ისინი მონაწილეობას იღებდენ ორი ფაშისტის მოკვლაში, რომელიც მოხდა ნიუ-იორკში 30 მაისს. დანარჩენ ორს ბრალად ედება იარაღის არალეგალურად ტარება. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვითელი ინტერნაციონალის ბელადები

ლეონ ჟუო
(საფრანგეთი)

მარტენს
(ბელგია)

ყალბი საბჭოთა საბუთების დამზადების გარშემო

კვლევა-ძიება ყალბი საბჭოთა საბუთების დამზადების საქმეზე

პარიზი, 8 აგვისტო. საბჭოთა საელჩოს პირველი მდივანი პარიზში **დივილკოვსკი** მოწმის სახით დაჰკითხა სასამართლო გამომძიებელმა **ჟირარმა**, ადვოკატ **ტორესის** თანდასწრებით. დაკითხვა სწარმოებდა საბჭოთა ყალბი საბუთების იმ დამზადებელთა საქმეზე, რომლებიც ამ საბუთებს აწვდიდენ ესპანეთის და შვეიცარიის მისიებს პარიზში. დაკითხულ იქნა აგრეთვე ბრალდებული სოლოვსკი. გამომძიებელის წინადადებაზე წინა „გამოაშკარავებათა" განმარტების შესახებ, ბრალდებულმა უპასუხა, რომ მისი პირადი მეგობარი, რომელიც, სოლოვსკის სიტყვით, „შეიძლება მსახურობდა კიდეც საბჭოთა საელჩოში", აცნობებდა მას ყველაფერს, რაც ხდებოდა. სოლოვსკიმ უარი განაცხადა ამ „მეგობრის" დასახელებაზე. (ადს).

ყალბი საბუთების დამმზადებელის გაქცევა ციხიდან

ვენა, 8 აგვისტო. ქილავსკის ციხიდან „გაიქცა" ჯაშუში როზესკო-ბიზონი, რომელსაც ამ გაზაფხულზე მისჯილი ჰქონდა 8 წლის ციხე. ყველა ნიშნების მიხედვით, როზესკოს „გაქცევა" მოწყობილია ციხის დარაჯთა დახმარებით. იმპერიალისტური ომის დროს როზესკო იყო გერმანიის ჯაშუში რუმინეთში, შემდეგ ის გაიქცა საზღვარგარეთ. უკანასკნელ წლებში ის სათავეში ედგა ყალბი ანტისაბჭოთა საბუთების დამმზადებელ ფაბრიკას პარიზში და სხვადასხვა მთავრობებს აწვდიდა „დოკუმენტებს" კომინტერნის საქმიანობის შესახებ. (ადს).

კაზარინოვის მოგზაურობა დედამიწის გარშემო

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. 8 აგვისტოს ნიუ-იორკში ჩამოვიდა **ალექსანდრე კაზარინოვი**, რომელმაც თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ლატარიაში მოიგო დედამიწის გარშემო მოგზაურობა.

შეერთებული შტატების საიმიგრაციო ხელისუფლებამ ნება არ მისცა კაზარინოვს ჩამოსულიყო ნაპირზე. კაზარინოვი გაჩერებულია გემზე და გადაყვანილი იქნება აქედან ელის-აილანდის კუნძულზე, ემიგრანტთა კარავში.

საბჭ. კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა კაზარინოვთან გემზე. კაზარინოვმა გაკვირვება გამოსთქვა ამერიკის ხელისუფლების მოქმედების გამო და აღნიშნა, რომ ევროპაში ძლიერ თავისუფლად მოგზაურობდა. ბერლინში, პარიზში და მრავალ სხვა ქალაქებში კი, პატივისცემითაც იყო მიღებული. კაზარინოვმა შემდეგ აღნიშნა ის განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა, რომელიც გამოიჩინა შარშან თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ ამერიკის მოგზაურების მიმართ, რომლებიც დედამიწის გარშემო მოგზაურობის დროს მოხვდენ საბჭოთა კავშირში. ბოლოს სთქვა, რომ ამერიკაში მან შეამჩნია დღემდე მხოლოდ თავისუფლების ძეგლი, რომელიც მართალია „ამშვენებს ნიუ-იორკის ნავთსადგურს", მაგრამ არ აფრთხილებს მოგზაურთ იმ დაბრკოლებების შესახებ, რომელიც წამოიჭრება შეერთებულ შტატებში შემოსვლის დროს.

ნიუ-იორკში კაზარინოვი დარჩებოდა 2 დღე, აქედან აპირობდა ჩიკაგოში და სან-ფრანცისკოში გამგზავრებას. შემდეგ კი გადავიდოდა იაპონიაში. მგზავრობის ცხრილის თანახმად, ამერიკა უნდა შემოევლო 12 დღეში. მისი მოულოდნელი გაჩერება კი კუნძულზე იწვევს ცხრილის დარღვევას. (ადს).

კაზარინოვს ნება დართეს გადავიდეს ნაპირზე

ნიუ-იორკი, 8 აგვის. იმიგრანტების კარვებში, ელის-აილანდის კუნძულზე, რამდენიმე საათის გაჩერების შემდეგ კაზარინოვი დაკითხული იქნა ხელისუფლების მიერ, რომელსაც აინტერესებდა საკითხი ხომ არ აპირებს ის „შეერთებული შტატების მთავრობის დამხობას" და მხოლოდ ამ დაკითხვის შემდეგ ნება დართეს მას გადმოსულიყო ნაპირზე. (ადს).

ამნისტიას მოითხოვენ

დემონსტრაციები ლატვიაში

რიგა, 8 აგვისტო. შესდგა მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის მოთხოვნილებით; დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 2000 მუშამ. გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ **სოციალ-დემოკრატი მუშებიც აღშფოთებული არიან ლატვიის ციხეებში არსებულ რეჟიმით და მხარს უჭერენ მუშათა მემარცხენე ორგანიზაციების მოთხოვნილებას.** ანალოგიური დემონსტრაციები მოხდა ლიბავაში, დვინსკში და ლატვიის სხვა ქალაქებში (ადს).

საგაფიცვო მოძრაობა

უნგრეთში

17000 გაფიცული

ვენა, 8 აგვისტო. **ბუდაპეშტის ლითონის მრეწველობის გაფიცულ მუშათა რიცხვმა მიაღწია 17000-ს.** საგაფიცვო მოძრაობა მოკლებულია თითქმის ყოველგვარ საშუალებას. **პროფკავშირთა ბიუროკრატია უარს ამბობს ბრძოლისათვის მხარის დაჭერაზე.** მიუხედავად ამისა გაფიცულთა განწყობილება იმედიანია. ჩეპელის ლითონის და საფეიქრო მრეწველობის მუშებმა გადასწყვიტეს გადარიცხონ გაფიცულთა სასარგებლოდ ნახევარ დღის სამუშაო ხელფასი (ადს).

ღამის ცნობები

ესტონეთ - საბჭოთა კონვენცია

რეველი, 8 აგვისტო. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ესტონეთში **შტეინმა** და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელმა **სეპპმა** 8 აგვისტოს ხელი მოაწერეს კონვენციას საზღვრებზე ინციდენტების მოწესრიგების შესახებ (ადს).

ესტონიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

[illegible], 9 აგვისტო. ესტონეთის მუშათა საინციატივო ჯგუფმა, რომელმაც საბჭოთა კავშირში გაგზავნის მიზნით შეადგინა დელეგაცია, თხოვნით მიმართა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, რათა მიიღოს დელეგაცია და აღმოუჩინოს მას დახმარება საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მდგომარეობის გაცნობის საქმეში. (ადს).

არეულობა კანტონში

შანხაი, 9 აგვისტო. მთავრობის შენობებსა და ცალკე მოხელეებზე შეიარაღებული თავდასხმის შიშით, კანტონის პოლიცია გულმოდგინეთ ეძებს მთელს ქალაქში იარაღს, რომელსაც თითქოს ინახავენ „არასაიმედო ელემენტები". „საეჭვო პირებს" სჩხრეკენ არა მარტო სახლებში, არამედ ქუჩებში, ავტომობილებში და ავტობუსებშიც. ამას წინად, როდესაც პოლიცია სჩხრეკდა ავტობუსის 3 მგზავრს, უკანასკნელებმა ამოიღეს რევოლვერები და დაუწყეს სროლა პოლიციელებს. დაიჭრა ერთი პოლიციელი. პოლიციამ გამოიძახა დამხმარე რაზმი, შეტაკება მოსახლეობასა და პოლიციას შორის მთელი ღამე გაგრძელდა (ადს).

მდგომარეობა სვატოუში

შანხაი, 9 აგვისტო. უკანასკნელ დღეებში სვატოუში ავრცელებენ უამრავ ფურცლებს, რომლებშიც ჰკიცხავენ ჩან-კაი-შის მოღალატეობას. ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული. პოლიცია ღამეში რამდენიმეჯერ სჩხრეკს სასტუმროებს, საერთო საცხოვრებელ და ღამის გასათევ სახლებს. „ქალაქში, — სწერენ გაზეთები, —დადის ხმები წითლების დაბრუნების შესახებ. მოხელეებმა და სახელმწიფო პირებმა თავისი ოჯახები გაიყვანეს ქალაქიდან" (ადს).

გენერალ ი-ე-ტინისა და ხოლუნის ჯარების აჯანყება

ხანქოუ, 9 აგვისტო. ხანქოუს ჩინური ცენტრალური გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ გენერალ ი-ე-ტინისა და ხოლუნის ჯარების აჯანყებას, რომლებმაც დაიკავეს ნანჩანი.

„კომუნისტების დახმარებით"

ხანქოუ, 9 აგვისტო. გაზეთი „უხან-მინ-ბაო" ეხება ნანჩანის ამბებს და სწერს: „უდავოა, რომ გენერალ ი-ე-ტინისა და ხოლუნის აჯანყება მოხდა კომუნისტების დახმარებით. ნანჩანის საკითხი უნდა ამოიწუროს ჩან-კაი-შის და ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ გამოსვლამდე. თუ თავი არ მოუყარეთ ძალებს, კომუნისტების მითითებით მომქმედ ი-ე-ტინისა და ხოლუნის მოღალატური თავდასხმების მოსაგვარებლად, მაშინ ჩვენ აუცილებლივ დავიღუპებით." (ადს)

იაპონიის სააგენტოს ცნობა

შანხაი, 9 აგვისტო. იაპონიის სააგენტოს ცნობით, უხანის გენერალი ჩან-ფა-გუი თავისი ჯარებით შევიდა ნანჩანში. ხოლუნისა და ი-ე-ტინის ჯარებმა, რიცხვით 20.000 კაცმა, სააგენტოს სიტყვით, დაიხიეს ლუჩჟოუსაკენ (გუანსის პროვინცია). ნანჩანში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით გაძლიერებულია კანტონის დაცვა. (ადს)

გერმანიის მემაღაროეთა ბრძოლა

ბერლინი, 9 აგვისტო. გუშინ საარბრიუკენში გაიმართა სამთომადნო მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია სამუშაო დროის გაგრძელებისა და მუშების განზრახულ მასიურ დათხოვნის წინააღმდეგ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 30.000 კაცმა. დემონსტრაციის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს კომუნისტების რეზოლიუცია იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დაცვის სასარგებლოდ. (ადს)

საკოსა და ვანცეტის დასჯის წინააღმდეგ

პარიზი, 9 აგვისტო. გუშინ პანთეონში გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი საკოსა და ვანცეტის მოსალოდნელი დასჯის წინააღმდეგ. ასეთივე მიტინგები გაიმართა მუშათა უბნებში. მოხდა შეტაკება პოლიციასთან. ჰავრის, დიუნკირხენის და ხეტატეს ნავთსადგურებში გამოცხადებულია საპროტესტო გაფიცვა. ნანტაში გაიმართა დემონსტრაცია. პოლიციასთან შეტაკების დროს დაიჭრა რამოდენიმე პოლიციელი. ლუარის ქვანახშირის რაიონში გაფიცვამ თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო. საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში (მაროკოს კაზაბლანკაშიც კი) იმართება მიტინგები და დემონსტრაციები. შრომის უნიტარული კონფედერაცია წინადადებას იძლევა, რომ საკოსა და ვანცეტის დასჯის შემთხვევაში ბოიკოტი გამოეცხადოს შეერთებულ შტატებს.

პარიზის სანტეს ციხის პოლიტპატიმრებმა მიმართეს მუშებს მოწოდებით საკოსა და ვანცეტის გადარჩენის შესახებ (ადს)

ბერლინი, 9 აგვისტო. ბერლინის წარმოებებსა და გერმანიის პროვინციალურ ქალაქებში საპროტესტო მოძრაობა ფართო ხასიათს იღებს. შეერთებული შტატების საელჩოს ეგზავნება აუარებელი წერილობითი პროტესტები (ადს).

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. საპროტესტო გაფიცვა შეერთებულ შტატებში მოედო რამოდენიმე ასი ათას კაცს. შეერთებულ შტატებისა და სამხრეთ ამერიკის ყველა ქალაქებში იმართება საპროტესტო დემონსტრაციები. კულიჯმა განაცხადა, რომ ის არ ერევა საკოსა და ვანცეტის საქმეში (ადს).

სტოკჰოლმი, 9 აგვისტო. გუშინ შესდგა საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიაც 50.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. მალმაში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 20.000 კაცმა (ადს).

საკოს და ვანცეტის დასაცავად

ამერიკის ბურჟუაზიული პრესა მოითხოვს განაჩენის სისრულეში მოყვანას

საკოს და ვანცეტის საქმე არ იქნება გადასინჯული

საქართველოს მშრომელთა პროტესტი

ბურჟუაზიული პრესა განაჩენის სისრულეში მოყვანის მომხრეა

ნიუ-იორკი, 8 აგვ. საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის ვადის მოახლოების გამო, **ამერიკის ბურჟუაზიული პრესა სულ უფრო და უფრო აშკარად მოითხოვს განაჩენის სისრულეში მოყვანას.** თუმცა ნიუ-იორკში და სხვა ქალაქებში დამნაშავენი ყუმბარების აფეთქებაში არ აღმოუჩენიათ, მაგრამ კონსერვატიული პრესა ამ აფეთქებას იყენებს, რათა გაამართლოს საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯა და მოითხოვოს ახალი დევნა და რეპრესიები.

ოფიციოზური „ვაშინგტონ პოსტ"-ი მოწინავე წერილში „ანარქია გვიწვევს" შემდეგს სწერს:

„ამჟამად ლაპარაკია არა მარტო საკოსა და ვანცეტის დანაშაულზე—ან უდანაშაულობაზე, არამედ უფრო დიდ პრობლემაზე. გამოწვევა ეხება ჩრდ.-ამ. შეერთებულ შტატების ავტორიტეტსა და ადამიანთა ცხოვრებისა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას.

„ბალტიმორ სენ"-ი, რომელიც ლიბერალური გაზეთის რეპუტაციით სარგებლობს, სწერს:

„ყუმბარის მსროლელები, მოწადინებულნი არიან, რომ შური იძიონ და დააშინონ საზოგადოება; ისინი იმდენად საშიში არიან კლასიური მთავრობისა ან სასამართლოსათვის, რომ ზომიერ მოქალაქეთა დიდი ნაწილი შეგნებულად გადადის კლასიურ სასამართლოს მხარეზე. სხვა შემთხვევაში ისინი შეიძლება პროტესტით შეხვდებოდენ საკოსა და ვანცეტის საქმეზე გამოტანილ განაჩენს. **ახალი „ნადირობა წითლებზე", როგორც სჩანს, აუცილებელია. გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ეს საჭიროც არის".** (ადს).

საქმეს ხელმეორედ არ გადასინჯავენ

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. **მოსამართლე ტეიერმა უარჰყო დამცველების შუამდგომლობა საკოსა და ვანცეტის საქმის გადასინჯვის შესახებ. მასაჩუზეტის შტატის სასამართლოს სხვა ინსტანციებმაც უარჰყვეს აგრეთვე დამცველების ანალოგიური შუამდგომლობა.** კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებანი განაჩენის სისრულეში მოყვანის შეჩერების შესახებ მასაჩუზეტის შტატის სასამართლო დაწესებულებებში ამოწურულია. დამცველებს ის ღა დარჩათ, რომ მიმართონ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ უზენაეს სასამართლოს. (ადს).

თხოვნა საკოსა და ვანცეტის პატიების შესახებ

პარიზი, 8 აგვისტო. კაპიტან ნენჟესერის (მფრინავი, რომელიც დაიღუპა პარიზიდან ნიუ-იორკში გადაფრენის დროს) დედამ მასაჩუზეტის გუბერნატორს ფულლერს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც თავისი დაღუპული შვილის ხსოვნის პატივისცემის ნიშნად სთხოვს „საკოსა და ვანცეტის პატიებას". (ადს).

მაკდონალდი საბოტაჟს აცხადებს

ლონდონი, 8 აგვისტო. მიუხედავად იმისა, რომ მაკდონალდს რამოდენიმეჯერ მიმართეს თხოვნით გამოსულიყო საკოსა და ვანცეტის დასაცავად, მას დღემდე არ გაუგზავნია დეპეშა ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაკდონალდმა მხოლოდ „დეილი ჰერალდი"-ს რედაქციაში გაგზავნა დეპეშა, რომელშიც იგი ამბობს: „მე მაინც იმედი მაქვს, რომ მათი სიკვდილით დასჯა გადაიდება". (ადს).

საპროტესტო გაფიცვები საფრანგეთში

პარიზი, 8 აგვისტო. საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ საპროტესტო გაფიცვა, რომელიც გამოცხადებული იყო შრომის საყოველთაო კონფედერაციის (რეფორმისტების) სურვილის წინააღმდეგ, მოედო მუშების სგრძნობ ნაწილს. **მშენებლები და ტაქსის შოფერები გაიფიცენ თითქმის ერთიანად. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაცია იმუქრებოდა ლოკაუტით და რეპრესიებით, მუშების დიდი რიცხვია გაფიცული აგრეთვე მსხვილ წარმოებებში, განსაკუთრებით სტენდენიში** (პარიზის მიდამოებში). მრავალი ქარხანა, პარიზის ახლო-მახლო, დაკეტილია ადმინისტრაციის მიერ გაფრთხილების ნიშნათ. გაზის დასამზადებელ ქარხანა „შლანდი"-ში გაიფიცა 3.000 მუშა. შრომის უნიტარული კონფედერაციის დირექტივების მიხედვით, **საფოსტო დაწესებულებებმა შესწყვიტეს მუშაობა 1 საათით.**

ქალაქის პროლეტარულ უბნებში იყო რამდენიმე ცდა, რომ ძალით შეეჩერებინათ ტრამვაის, ავტობუსების და რკინის გზის მოძრაობა, მაგრამ პოლიციამ ხელი შეუშალა მუშებს. **ამჟამად მრავალი რიცხოვანი კრებებია გამართული შეთანხმების მოედანზე და ცენტრალურ ბულვარებში. ადგილი აქვს ხშირ შეტაკებას პოლიციასთან, რომელიც აპატიმრებს დემონსტრაციაში მონაწილეთ.** (ადს).

ალმასკომის ლუდის ქარხანაში

თბილისის ალმასკომის ლუდის პირველი ქარხნის მუშები გუშინ მუშაობისა დამთავრების შემდეგ შეიკრიბენ, რომ პროტესტი განეცხადებინათ საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის განზრახვის წინააღმდეგ. ამხ. **კრიშტოფოვიჩის** მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია.

— „ლუდის ქარხნის მუშები, — ნათქვამია რეზოლიუციაში, — სასტიკ პროტესტს უცხადებენ ამერიკის ბურჟუაზიულ ჯალათებს საკოსა და ვანცეტისათვის სიკვდილის განაჩენის გამოტანის გამო და მოუწოდებენ ყველა ქვეყნის მუშებს შეასრულონ თავისი კლასიური მოვალეობა და თავისი ხმა შეუერთონ საერთაშორისო პროლეტარიატის ხმას საკოსა და ვანცეტის გადასარჩენათ კაპიტალისტების შურისძიებისაგან.

მოვითხოვთ საკოსა და ვანცეტის განთავისუფლებას.

თემქაში

მუშაობის დასრულების შემდეგ შეიკრიბენ თემქის ქარხნის მუშა - მოსამსახურეები.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ავეტიკოვმა**, რომელმაც დაახასიათა საკოსა და ვანცეტის დაპატიმრება და აღნიშნა, რომ 11 აგვისტოს დანიშნულია მათი დასჯა ელექტრონის სკამის საშუალებით.

მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„თემქის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. საკოსა და ვანცეტის დასჯის შესახებ — დაადგინა გამოაცხადოს სასტიკი პროტესტი იმპერიალისტური სასამართლოს ასეთი ბანდიტური განაჩენის წინააღმდეგ. კრება კატეგორიულად მოითხოვს დაუყოვნებლივ იქნენ განთავისუფლებული ამხ. საკკო და ვანცეტი და პასუხისგებაში მიეცენ ის პროვოკატორები, რომელთა წყალობითაც აღნიშნული ამხანაგები უნდა დაისაჯონ ელექტრონის სკამით.

ძირს ბურჟუაზიული სასამართლო!.

კოლოფების ქარხანაში

9 ივლისს კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალ"-ში" შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. **სარქისიანის** ცნობა, საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის განზრახვის შესახებ. კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია რომელშიაც ნათქვამია:

— მოვისმინეთ რა ამხ. სარქისიანის მოხსენება ამხ. საკოს და ვანცეტის მოსალოდნელ სიკვდილით დასჯის შესახებ, ჩვენ, კოლოფების ქარხნის მუშა - მოსამსახურენი ვუცხადებთ სასტიკ პროტესტს ამერიკის ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელიც ხელს აწერს საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის განაჩენზე.

უნდა იცოდეს ბურჟუაზიამ, რომ ის რევოლიუციონურ მოძრაობას ამით ვერ ჩააქრობს, პირიქით, რევოლიუციონური მოძრაობა უფრო ჩქარი ტემპით განვითარდება და ბოლოს მოუღებს მის ბატონობას.

ჩვენ, ნათქვამია რეზოლიუციაში, კატეგორიულად მოვითხოვთ ამერიკის ბურჟუაზიულ მთავრობისაგან ამხ. საკოს და ვანცეტისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის შეცვლას და მათ სრულ განთავისუფლებას.

ზიზღი სისხლისმსმელ ბურჟუაზიას!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!

მუშკორი ვანო.

თბილისის წარმოებებში

საკოსა და ვანცეტის მოსალოდნელი დასჯის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგები ჩატარებულ იქნა აგრეთვე თბილისის სხვა წარმოებებშიც. ყველგან მიღებული იქნა რეზოლიუციები, რომლებიც მოითხოვს ამხ. საკოსა და ვანცეტის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

მიტინგები ჩატარდა — გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკაში, ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში, მეხანძრეთა რაზმში, თბილისის ალმასკომის მე-3 სტამბაში, სახკომსაბჭოში ა.-კ. ფინსახკომში, ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველოში, იუსტიციის სახ. კომისარიატში და შემდეგ სტამბებში: პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბაში, „ზარია ვოსტოკას" სტამბაში და სტამბა „კრასნი ვოინში".

მიტინგებს ხელმძღვანელობდენ [illegible] ადგილობრივი უჯრედები.

გორის მშრომელთა პროტესტი

გორის მუშა - მოსამსახურეთა, წითელ არმიელთა და მშრომელ მოსახლეობის საერთო კრება, გაეცნო რა ცნობას ამერიკის კლასიურ ბურჟუაზიული სასამართლოს მიერ ამხ. საკკოს და ვანცეტისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შესახებ, საბჭოთა კავშირის ას ორმოცდა ათ მილიონიან მშრომელებთან და ყველა ქვეყნის პროლეტარებთან ერთად, სასტიკ პროტესტს აცხადებს ამერიკის იმპერიალისტების სასამართლოს საზიზღარი დადგენილების წინააღმდეგ, რომელიც კლასიურ შურის ძიებით არის გაჟღენთილი. ამერიკის და ყველა ქვეყნების იმპერიალისტების ასეთ მოქმედებას საერთაშორისო პროლეტარიატი უპასუხებს თავისი რიგების შემჭიდროებით და რევოლიუციონურ მუშაობის გაასკეცებით.

ძირს იმპერიალისტები და მათი ყაჩაღური სასამართლო.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლას.

საქართველოს მშრომელთა პროტესტი

დიდი საპროტესტო მიტინგი მუშათა ახალ კლუბში

მუშათა ახალ კლუბების სათეატრო დარბაზი გაჭედილია ხალხით. თავი მოუყრიათ სხვადასხვა დაწესებულებათა მუშებს, მათი ოჯახის წევრებს და ყველა იმათ ვისაც უსაზღვროთ აღელვებს ჩრდ. ამ. შ. შტატების ბურჟუაზიული სასამართლოს განაჩენი ორი რევოლიუციონერის სიკვდილით დასჯის შესახებ.

გამოდის ამხ. **ვანო სტურუა**, რომელიც აღნიშნავს ამხ. საკოსა და ვანცეტის თავგადასავალს და ამბობს, რომ ორი დღის შემდეგ კაპიტალისტური ჯალათები სიცოცხლეს გამოასალმებენ ამ ორ თავდადებულ რევოლიუციონერს.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს დაუყოვნებლივ იქნან განთავისუფლებული ამხ. საკკო და ვანცეტტი.

— ძირს ბურჟუაზიულ - კაპიტალისტური ჯალათების სასამართლო, გაუმარჯოს განთავისუფლებულ ამხანაგებს—საკოსა და ვანცეტის,—ნათქვამია რეზოლიუციაში.

მიტინგმა დაადგინა საპროტესტო რეზოლიუცია დაუყოვნებლივ იქნეს გადაგზავნილი დანიშნულებისამებრ რადიოთი.

ლენინის რაიონის მუშა - მოსამსახურეთა პროტესტი

გუშინ პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა ლენინის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც საკოს და ვანცეტის მოსალოდნელ სიკვდილით დასჯის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ჟორჟოლაძემ**.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ჟორჟოლაძის ცნობა, ამერიკელ კომუნისტების ამხ. საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის განზრახვის შესახებ, ლენინის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება აღნიშნავს, რომ კაპიტალისტები მეტად სასტიკად ეპყრობიან რევოლიუციის ერთგულ ჯარის კაცებს, მაგრამ ამხ. საკოს და ვანცეტის სისხლი კიდევ უფრო გააღრმავებს მუშათა მოძრაობას. რევოლიუციის ერთგულ შვილების ამხ.—საკოსა და ვანცეტის ელექტრონის სკამზე დასჯა უმაგალითო გამოწვევაა მშრომელთა მილიონების, რომლებიც პროტესტით შეხვდენ განაჩენს. ამიტომ კრება მოუწოდებს მთელი ქვეყნის პროლეტარებს არ დაუშვან რევოლიუციონერების მოკვლა.

ჩვენ მოვითხოვთ ამხ. საკოსა და ვანცეტის განთავისუფლებას.

ჩვენ მოვითხოვთ კაცის მკვლელ გუბერნატორ ფულლერის, მოსამართლე ტაიერის და პროკურორ კაცმანის განაჩენის გაუქმებას.

ძირს მთელი ქვეყნის მსუნაგი სისხლისმსმელი იმპერიალისტები!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა მოძრაობას!

გაუმარჯოს რევოლიუციის ერთგულ ჯარისკაცებს საკკოს და ვანცეტტის!

პარტიული ცხოვრება

აქედანვე შევუდგეთ სამზადისს

(კომკავშირის 10 წლის თავისთვის)

რამდენიმე კვირის შემდეგ ჩატარებული იქნება საქ. კომკავშირის ათი წლის თავი. ამ დღის ღირსეულად ჩასატარებლად აქიდან უნდა დავიწყოთ მზადება. აქიდანვე უნდა გავშალოთ კამპანია როგორც პარტიულ და კომკავშირულ მასებში, აგრეთვე უპარტიო ახალგაზრდა მუშებსა და გლეხებში.

საქ. კომკავშირის 10 წლის თავი—10 წლის რევოლიუციონური ბრძოლის და გამარჯვების ისტორიაა. საქართველოს ა. კომკავშირმა უდიდესი როლი ითამაშა მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; ის გვერდში უდგა კომუნისტურ პარტიის და ჰერქვეშიდან მასთან ერთად ანგრევდა იმ შენობას, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდებოდა. ამ დროს კომკავშირი ყოველ წამში თავის სადარაჯოზე იდგა, მას ვერ აშინებდა ვერც ციხე, ვერც კატორღა, ვერც გადასახლება.

კომკავშირის წევრებს და საერთოდ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას ფართოდ უნდა გავაცნოთ დღეს კომკავშირის ეს დიდი წარსული აქედან უნდა ისწავლოს დღევანდელმა ახალგაზრდობამ ბრძოლა.

დღეს საბჭოთა რესპუბლიკების წინაშე მთელი სიგრძე - სიგანით სდგას ომის საფრთხის საკითხი. იმპერიალისტები გაცხოველებულ სამზადისს აწარმოებენ პირველ პროლეტარულ სახელმწიფოზე თავდასასხმელად. ამიტომ საჭიროა თავდაცვის ყოველმხრივი გაძლიერება და ამ საქმეში მთელი მშრომელ მოსახლეობის ჩაბმა. კომკავშირს აქ პირველი ადგილი უნდა ეჭიროს. საქ. კომკავშირის 10 წლის თავი გამოყენებულ უნდა იქნეს იმისათვის, რომ ფართოდ გავაცნოთ მუშურ - გლეხურ ახალგაზრდობას საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, [illegible] გაძლიერება [illegible] მშრომელი ახალგაზრდობის როლი ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

ჩვენი სახელმწიფო აწარმოებს დიდ აღმშენებლობითი მუშაობას. ამ საქმეში ჩაბმულია მშრომელი ახალგაზრდობა; კომკავშირის 10 წლის თავზე ჩვენ უნდა გავაძლიეროთ კამპანია, რომ კომკავშირი და მასთან მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობამ შეუჩერებელი შრომით ხელი შეუწყოს მეურნეობის განვითარებას. ფაბრიკა - ქარხნებში გაბნეული მუშური ახალგაზრდობა პირველ ადგილზე უნდა იდგეს შრომის ნაყოფიერების აწევაში, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სოფლის გლეხური ახალგაზრდობა კომკავშირთან ერთად მაგალითი უნდა იყვეს მთელი სოფლის მოსახლეობისათვის. სოფლის მეურნეობაში ახალი იარაღ - მანქანების შემოტანის, სასოფლო მეურნეობის კოოპერატიულ საფუძვლებზე გადაყვანის საქმეში. კომკავშირის 10 წლის თავთან დაკავშირებით ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ამ მხრივ მუშაობა და ამით ხელი შევუწყოთ მშრომელი ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმას ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობაში.

კომკავშირის ათი წლის თავის კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს მუშურ - გლეხური ახალგაზრდობის ჩაბმას ქვეყნის თავდაცვაში, მის მომზადებას მომავალ ომისათვის და აგრეთვე ქვეყნის აღმშენებლობაში.

კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის აქედანვე უნდა შევუდგეთ სამზადისს.

ლეჩხუმის პარტკომიტეტის პლენუმი

(ცაგერიდან)

20 ივლისს შესდგა ს. კ. პ. (ბ) ლეჩხუმის სამაზრკომიტეტის პლენუმი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე ოპოზიციის უკანასკნელ გამოსვლებთან დაკავშირებით, 2) კ. კ. სამაზრკომის მოხსენება, 3) ცაგერის ერთიან მომხმარ. საზოგადოების გამგეობის მოხსენება და 4) საადგილ - მამულო განყოფილების მოხსენება მაზრაში მიწადმოწყობის და საერთოდ მეურნეობის მდგომარეობაზე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე [illegible] და შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა სამაზრკომის მდივანმა ამხ. ან. სიამაიშვილმა. მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის გართულება და საერთაშორისო მენშევიზმის და მსოფლიო რეაქციონერების ამოძრავება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აგრეთვე მომხსენებელი შეეხო ოპოზიციის ყალბ შეხედულებებს ამ საკითხზე.

მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ ლეჩხუმის ორგანიზაციის 2—3 [illegible] ელემენტს მოუნდომებია მაზრაში ფრაქციული მუშაობის წარმოება, მაგრამ ეს ცდა უნაყოფო გამოდგა. პარტია კვლავინდებურად სდგას ლენინურ ცეკას მხარეზე და არავის არ მისცემს ნებას აწარმოოს გამთიშველი მუშაობა. ადგილობრივ ოპოზიციონერებს არ ეყოთ გამბედაობა, რომ პლენუმისადმი მოეხსენებიათ თავიანთი ხაზი. ბოლოს ყველამ განაცხადა, რომ გმობენ ოპოზიციონურ ხაზს. პლენუმმა დაავალა სამაზრკომს მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა ბოლო მოეღოს ფრაქციული მუშაობის ცდებს.

ამ რიგად, ოპოზიციონურ ბლოკს ლეჩხუმშიდაც დიდი გაკოტრება ეწვია. შემდეგშიც ასე იქნება, თუ ხელს არ ავიღებთ ამგვარ მუშაობაზე. პლენუმი სავსებით იწონებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას და კომინტერნის ხაზს საერთაშორისო საკითხში. ლეჩხუმელმა ოპოზიციამ აღუთქვა პლენუმს, რომ დაგმობს ფრაქციულ მუშაობას. საქმით ამის გატარებას ახლო მომავალში გვაჩვენებს.

მეორე საკითხად დასმული იყო ახ. ლ. კ. კ. ლეჩხუმის სამაზრკომის მოხსენება. მომხსენებელმა გააშუქა ადგილობრივ ორგანიზაციის ავ-კარგი და ილაპარაკა მომავალ ამოცანებზე. პლენუმმა გამომუშავა მთელი რიგი ღონისძიებათა მომავალ მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება ცაგერის ერთ. მომხ. საზ. საქმიანობაზე. გამოირკვა, რომ კოოპერატივის მუშაობა მიმდინარეობდა გეგმიანად და ფასების დაკლებაც გატარებულია ცხოვრებაში. მომხსენებელს მისცენ დირექტივები მომავალ მუშაობისათვის სახელმძღვანელოდ.

საადგილ - მამულო განყოფილების მოხსენების და კამათის დროს გამოირკვა, რომ რაღაც მახინაციებით ჩამორთმეული მიწები ისევ ძველი მემამულეების სარგებლობაშია, რაც ამახინჯებს მიწის რეფორმას. ამ საკითხის მოსაგვარებლად მიღებულ იქნა შესაფერისი დადგენილება.

ამ რიგად, პლენუმმა ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ლეჩხუმის პარტორგანიზაცია მუდამ იდგა, სდგას და მომავალშიც იდგომება ლენინურ პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და არავის ნებას არ მისცემს შებღალოს ეს მთლიანობა. ამის უტყუარი ფაქტია ივლისის პლენუმი, რომელმაც თავის მუშაობა დაასრულა ჩვენი პარტიის მთლიანობის ნიშნის ქვეშ.

პ. ფრუიძე.

კომკავშირში

ქართულ მუშფაკის ა. ლ. კ. კ. უჯრედში

26 ივლისს შესდგა ქართ. მუშფაკის თბილისში დარჩენილ მუშფაკელ კომ - კავშირელების კრება. კრებას დაესწრო 20 კავშირელი. დღის წესრიგში იდგა მოხსენებები: 1) გასამხედროება და კომკავშირის ამოცანები, 2) მოხსენება ჩინეთის მდგომარეობის შესახებ, 3) მიმდინარე საკითხები.

კომკავშირელთა გასამხედროების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა უჯრედის მდივანი და ახსნა - განმარტება მისცა უჯრედის წევრებს, რათა მომავალ მწვევამდელთა მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ—წითელარმიასთან კავშირის დასაჭერად არჩეულ იქნა კომისია.

არმიის ყოფა - ცხოვრების გასაცნობად კრებამ მიიღო წინადადება გაზეთ „წითელარმიელ"-ს გამოწერისა და ავიო-ქიმის საზოგადოების წევრებად ჩაწერისა. მოხსენების დამთავრებისას იყო შეკითხვები. კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა მოხსენებები და გამოსთქვა სურვილი ხშირად იყოს გაკეთებული ასეთი მოხსენებები, რაც ხელს შეუწყობს კომკავშირელთა გათვითცნობიერებას და საღ წარმოდგენას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

უჯრედში მუშაობა გაცხოველებულია. კომკავშირელებმა გადასწყვიტეს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად გაიღონ თავიანთი წვლილი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მუშფაკელი კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ უჯრედის მუშაობაში.

ვასო.

ამხ. კერესელიძის ხსოვნას

(სართიჭალა, გარე-კახეთი)

სართიჭალის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციამ დაჰკარგა ერთი აქტიური ამხანაგი ამხ. სარიდონ კერესელიძე. ამხ. კერესელიძე დაიბადა 1905 წ. იგი იყო ღარიბი გლეხის შვილი და არ ჰქონდა საშუალება, რომ პატარაობისას სოფლის სკოლაში მაინც ესწავლა წერა-კითხვა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სალამოს სალიკვიდაციო სკოლაში შეისწავლა წერა-კითხვა. ამხ. კერესელიძე 1925 წელში შევიდა კომკავშირის ორგანიზაციაში და დაიწყო აქტიური მუშაობა. 1926 წელში ის არჩეულ იქნა უჯრედის პ.-მგ. მდივნათ და ა. ლ. კ. კ. თემკომის პრეზიდიუმის წევრათ. ამხ. სარდიონი თავისი ენერგიული მუშაობის გამო გადარიცხულ იქნა კომპარტიის კანდიდატად. კერესელიძეს საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა ხაშმის გლეხებში და ამიტომაც ის არჩეული იქნა საბჭოს წევრათ. საერთოდ ამხ. სარდიონი არ ზოგავდა თავის ახალგაზრდულ ენერგიას მშრომელი ახალგაზრდობის და გლეხობის საქმისათვის. მოულოდნელმა სიკვდილმა გამოასალმა იგი წუთისოფელს ა.-წ. 4 აგვისტოს ღამით.

სართიჭალის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია გამოსთქვამს მწუხარებას ამხ. კერესელიძის უდროოთ დაკარგვის გამო.

კერესელიძის სახელი დაუვიწყარი იქნება მთელი თემის კომკავშირელებში.

ა. ლ. კ. კ. თემკომი.

ჩემი მოგზაურობა ჩინეთში

VII

პირველი მუშათა დემონსტრაცია კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ ნანჩანში

ნანჩანში, სხვათა შორის, გვესტუმრა გომინდანის საორგანიზაციო და საპროპაგანდო სექციის გამგე. ეს არის პარტიის სიტყვისა და კალმის ოსტატი. ამასთანავე იგი „სიპია" ე. ი. კომუნისტი.

— მიამბეთ დაწვრილებით პოლიტიკურ მდგომარეობასა და ადგილობრივ ორგანიზაციებზე.

— ეს შეუძლებელია, მხოლოდ მდივნებს შეუძლიათ ასეთი მოხსენების გაკეთება. დისციპლინა აბსოლუტურია, მე გამკიცხავენ თუ ის დავარღვიე.

— აი, დემოკრატიული ცენტრალიზმი თუ გნებავთ ეს არის, ევროპაში მას ყოველგან როდი მოითმენენ.

— ნუ თუ მართალია? ეს შეუძლებელია!

ეს დისციპლინა ყოველთვის ჩინეთის კომპარტიის ძლიერ და სუსტს მხარეს წარმოადგენდა ერთსა და იმავე დროს. აქ იყო მისი ორგანიზაციული სიძლიერისა და იდეოლოგიური სისუსტის წყარო. თვითეული წევრი მექანიზმის ნაწილია მდივნის ან მეთაურის ხელში. ეს არის იმ საიდუმლო საზოგადოებათა ნაშთი და ტრადიცია, რომელნიც ჩინეთში მრავლათ არსებობდა წარსული საუკუნის დასასრულს. დღევანდელ პირობებში, როცა ხალხის მასსების თანხმობას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია რევოლიუციური მოძრაობისათვის, ეს მკაცრი დისციპლინა აფერხებს მათ აქტივობას.

მდივანი რეაქციის შიშით არალეგალურათ ცხოვრობდა და ჩვენს სანახავათ ვერ მოვიდა თანაშემწე გამოგვიგზავნა .

რას აწყობთ რეაქციის წინააღმდეგ?

ჩვენ შევეკითხეთ:

— რას აწყობთ რეაქციის წინააღმდეგ? რით შეგვიძლია დახმარება გაგიწიოთ? რა ზომებს ღებულობთ რომ მთავარი შტაბის რეაქციური ბუდე მოსპოთ?

— ჩვენ განკარგულებას ვუცდით ჰანკოუდან.

— თქვენს წინააღმდეგ რეაქციას იერიში მოაქვს. რეაქციონერები ემუქრებიან სტამბის მუშებს, დატუსაღებას უქადიან, თუ ისინი არ დასთანხმდებიან მათი გაზეთის დაბეჭდვას. ისინი სტამბებს იკავებენ, თქვენ კი განკარგულებებს ელით ჰანკოუდან? თუ ამ გზით იარეთ, დამარცხება არ აგცდებათ!

— ჰო, მაგრამ ჰანკოუს დამოუკიდებლად არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია.

ჩვენ წინადადება მივეცით მეორე დღისათვის ფართო მიტინგი მოეწვიათ მუშებისა, გლეხებისა, ჯარისკაცებისა და სტუდენტებისაგან: საჭირო იყო რევოლიუციური ძალების დარაზმვა და ხელის შეშლა რეაქციური გაზეთის დაბეჭდვისათვის. ჩინურ ანბანში 40000 ასოა და ამიტომ ძალიან ადვილია გაზეთის საბოტაჟის გაწევა.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ჩვენი წინადადება მიიღეს. პროფკავშირების ბელადებს იგივე გაუბედაობა ეტყობოდათ მოქმედებაში. მაში ძალები შეუდარებლათ სჭარბობდნენ რეაქციის ძალებს, მაგრამ რეაქციონერები მეტს თაოსნობას იჩენდნენ და ამიტომ მათ ზოგიერთი მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს.

მიტინგი შეიარაღებული პროფკავშირების მფარველობის ქვეშ.

გაზეთი არ გამოვიდა. შესდგა დიდებული მიტინგი, რომელსაც ხუთი ათასი კაცი დაესწრო. მიტინგს იცავდნენ პროფკავშირების წევრები, რომელნიც გრძელი, სამფეროვანი შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი და ჯარისკაცებით. არმიის პოლიტიკური სექციის მუშაკები ლიტერატურას ავრცელებდნენ. მთავარი შტაბის წარმომადგენლები არ მოსულან. თითქმის ყველა ორატორმა შტაბის წინააღმდეგ ილაპარაკა. თვით ჩან-კაი-შის წინააღმდეგ წარდგენილ იქმნა ბრალდებათა მთელი რიგი, რომელიც უკვე წინათ გამოქვეყნდა მემარცხენე პრესაში. ეს ბრალდებანი ჩვენ მოკლედ ამრიგად შეგვიძლიან გამოვხატოთ:

„რევოლიუციის მიზანია ჩინეთი თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ქვეყნად გადააქციოს. ასეთი მოძრაობის განხორციელება ერთ კაცს არ შეუძლია თუნდაც იგი გმირი იყოს. გომინდანის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის უზენაესი ორგანო, კონკრეტიული ფორმაა დემოკრატიული ცენტრალიზმისა, მხედართ მთავარს უფლება არ აქვს მისი მონოპოლიზაცია მოახდინოს... ჩან-კაი-შის სურს გმირის როლი ითამაშოს; მან მთავრობის თავმჯდომარეობიდან გადააყენა ვან-ტინ ვეი და ხელში ჩაიგდო პარტიის თავმჯდომარეობა... მან განკარგულება გასცა კანტონის მემარცხენე გომინდანი დაეშალათ... მან ხელში ჩაიგდო მთავარ სარდლის თანამდებობა... იგი განუწყვეტლივ პარტიის შეხედულების წინააღმდეგ მოქმედობს; თავს ესხმის მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს. ის სცვლის საგარეო პოლიტიკას და თავის ელჩებს გზავნის იაპონიასა და შეერთებულ შტატებში. თავისი პირადი პოლიტიკის საწარმოებლად მილიონებს ხარჯავს. თვით კი არ ემორჩილება პარტიასა და მთავრობას, არამედ პირიქით მოითხოვს რომ პარტია და მთავრობა მას დაემორჩილონ. პარტიას არ შეუძლია ეს სამხედრო დიქტატურა აიტანოს. დღევანდელი არანორმალური მდგომარეობა, როცა ჩვენ ცენტრალური კომიტეტის ძალაუფლებას კი არ ვხედავთ, არამედ მხოლოდ ჩან-კაი-შისას, აუცილებლად უნდა შეიცვალოს...

პროცესია ქალაქში

მიტინგის გათავების შემდეგ დემონსტრაცია ქალაქისკენ გაემართა. წინ რაზმი მიგვიძღოდა და გაიძახოდა: „ძირს სამხედრო დიქტატორები! დავშალოთ პროვინციული გომინდანი!" შემდეგ დემონსტრაცია გაემართა სანაპიროსაკენ, სადაც ნავი გვიცდიდა სადგურზე წასაყვანად. იქვე დაგვიხვდნენ მთავარი შტაბის წარმომადგენლები თავიანთი მუსიკით. მანიფესტანტებმა ხაპირას მოიყარეს თავი და ინტერნაციონალი და ჩინური რევოლიუციური ჰიმნი იმღერეს.

ჩვენ პატარა ნავში ჩავსხედით. მთავარი შტაბის წარმომადგენლები თან გაჰყვნენ. ნახევარ საათში კიანგი გადავსერეთ და რკინის გზის სადგურში მივედით. ჩვენი ვაგონის წინ ჩქარა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ ბავშვები, ქალები, ქალაქის ბოგანოები, გლეხები. რამდენიმე სიტყვა უთხარით. რადგან მათ არ იცოდნენ ეროვნული ჰიმნი, ტომ მანნმა ბავშვებს თავი მოუყარა და სწავლება დაუწყო. ერთი მოხუცი დედაკაცი მოგვიახლოვდა. მაშინვე ნიშნებით საუბარი გაება ტომთან. გამოირკვა, რომ ოთხმოცი წლისა ყოფილა და ნავზე მუშაობს. ტომი მიუახლოვდა და გადაეხვია საერთო სიცილ ხარხარში...

კიდევ გლეხების გაჭირვება

მატარებელი მიდის გზა თავისუფალია და ჩვენ შეგვიძლია გავემგზავროთ. ძველი, ასტმაინი ორთქლმავალი ძლივს მიათრევს ჩვენი „საგანგებო მატარებლის" ორ ვაგონს. ლიანდაგი მისდევს მაღალ ზურგს, რომელსაც ორივე მხრიდან წყალი ადგია.

— ნუ თუ აქ წყალდიდობაა? ვკითხავთ ადგილობრივ ამხანაგს, რომელიც თან გვახლავს.

— ჰოცა და არაც. ომების შემდეგ მდინარის ჯებირები დაიშალა, ხოლო არხებს, რომელიც ბრინჯის ყანებს რწყავს, ველარ უვლიან. ამიტომ წყალი ფარავს დიდს ტერიტორიას, რომელიც წინათ დამუშავებული იყო. ამ გარემოებას მეტათ მძიმე შედეგები მოსდევს ამ რაიონის გლეხებისათვის, როგორც სანაპიროს მცხოვრებლებისთვის, ისე შორეული სოფლებისთვის. პირველთ მიწა აკლიათ, მიტომ რომ წყლით დაფარული მიწის დამუშავება შეუძლებელია ან მეტათ ძნელია; მეორეთ კი წყალი არ აქვთ. გლეხების მოთხოვნილებათა შორის უპირველესი ადგილი ჯებირების შეკეთებასა და არხების მოვლას უჭირავს. სამწუხაროდ ომი ხელს უშლის ამის განხორციელებას. კიდევ მეტი: ზოგიერთ პროვინციაში მილიტარისტებმა ეგრეთ წოდებული ირიგაციის გადასახადს კრეფენ და ომის საჭიროებისთვის იყენებენ—ეს უბედურება ზედ ემატება გლეხის გაჭირვებას.

ვაგონში ამხანაგი ეროვნული რევოლიუციის მიზნებს უხსნის ჯარისკაცების რაზმს, რომელიც მთავარმა შტაბმა გამოგვაყოლა მცველად.

ღამდება და თითქმის ყველას გვეძინება. მატარებელი ჩერდება. „აქ მემანქანე კიუ განგიდან მომავალ მატარებელს უცდის, რათა ორთქლმავალი შესცვალოს და სახლში წავიდეს დასაძინებლად"—გვიხსნის ვილაცა. ორთქლმავალს სცვლიან და ვიძვრით. შუაღამისას კიუ კანგში ვართ. სადგურში იატაკზე უბინადრო ადამიანები ჰყრიან. აქ მუშები ხვალინდელი დღის გათენებას უცდიან სამუშაოს მოლოდინში, ხოლო გლეხები მატარებელს ელიან. ჩვენ თვალწინ ერთხელ კიდევ იშლება ჩინეთის სიღატაკე.

მუშათა ორგანიზაციებთან და მესამე არმიასთან ერთად კიუ კიანგში

ჩან-კაი-შიმ რამდენიმე დღით ჩვენზე ადრე გაიარა კიუ-კიანგში. მის იქ ყოფნის დროს რეაქციონერებმა, რომელთაც [illegible] მისი რჩევა - დარიგება მიიღეს, გააორკეცეს აქტივობა. რეაქციონერების მიერ მოსყიდული ბანდები თავს დაესხენ რევოლიუციურ ორგანიზაციებს, გაძარცვეს მათი ბინები, მოჰკლეს რამდენიმე მებრძოლი.

კიუ - კიანგის რევოლიუციური ორგანიზაციები

ამ მოულოდნელმა თავდასხმამ ვერ შესწყვიტა ორგანიზატორების მუშაობა. ერთმა მათგანმა ყველა ორგანიზაციის სახელით მითხრა:

— ამ თავდასხმის მიუხედავათ ჩვენ ძალების გადაჯგუფება მოვახდინეთ და ორგანიზაციები გავსწმინდეთ. ჩვენს პროფკავშირებში 30 ათასი წევრია; მათ შორის 15 პროც. დარაზმულია ეგრეთ წოდებული „პიკეტების" სახით. გლეხთა კავშირიც 30 ათას წევრს აერთებს, რომლებმაც კარგი თავდაცვის ორგანიზაცია შექმნეს, სტუდენტთა ასოციაციაში 5 ათას წევრია, იქ პატარა განხეთქილება მოხდა, მაგრამ მემარჯვენეებს მხოლოდ 30 კაცი გაჰყვა. „ქალთა ემანსიპაციის კავშირი" ათას წევრს შეიცავს; რამდენიმე ახალგაზრდა ქალმა, უმთავრესად დიდ ვაჭრების ოჯახის შვილებმა დასტოვეს ჩვენი ორგანიზაციები და საკუთარი კავშირი დაარსეს: მათი წასვლის მოტივი ის არის, რომ არ უნდოდათ მუშა ქალებთან ერთად ყოფნა. თვით ვაჭრებს სუსტი ორგანიზაცია აქვთ, მათი დამოკიდებულება ჩვენთან არ არის ცუდი, მიტომ რომ აქ ყველანი იმპერიალიზმის უშუალო ჩაგვრას განიცდით. მუნიციპალური გომინდანი მთელი თავისი ძალღონით ეხმარება ამ ორგანიზაციებს და ამ ბლოკის კონსოლიდაციას ხელს უწყობს. დღეს დღეობით ჩვენი საკუთარი ძალებით შეგვიძლია რეაქციის დამარცხება.

— არმიაზე რაღას იტყვით?

— მთავარი შტაბის ძალები მეტად რეაქციონურია. მესამე არმიას ჯერ თავისი სიტყვა არ უთქვამს გარკვევით. გენერალი შუ-პი-ტეის თავისი ზრახვები არ გამოუმჟღავნებია.

პარტიული დისციპლინის მიმდევარი გენერალი

საერთოდ ამ მუხლის შესახებ ჩვენ ინფორმატორს არ შეეძლო დაწვრილებითი ცნობების მოცემა, მიტომ რომ სამოქალაქო რევოლიუციურ ძალებსა და მესამე არმიის შორის მჭიდრო ურთიერთობა არ არსებობს. საღამოთი ცენტრალური გომინდანის ორი წევრის მოპატიჟების თანახმად ჩვენმა დელეგაციამ მე მესამე არმიის უფროსის მისასალმებლათ გამგზავნა. გენერალს დეპეშა მიეღო ჩან-კაი-შისაგან, რომელიც მას შანხაიში იწვევდა. მას უარი შეეთვალა ამ სიტყვებით:

„მე მგონია, რომ უკეთესი იქნება თუ ქედს მოიხრით პარტიის გადაწყვეტილებათა წინაშე. თუ სამხედრო საქმეებისთვის მიწვევთ, მზათ ვარ თქვენი ბრძანება შევასრულო. მაგრამ ვშიშობ, რომ თქვენ მიერ მოწვეული კონფერენცია მარტო სამხედრო საქმეების განხილვას არ დასჯერდება. ამ შემთხვევაში, ჩემი დღევანდელი საქმიანობა ხელს შემიშლის იქ მონაწილეობა მივიღო".

ეს იყო აჯანყების მუქარა, ზრდილობიანათ, მაგრამ მტკიცეთ გამოთქმული. საუბრის დროს მან მითხრა:

— მე სავსებით გეთანხმებით: ჩვენ პარტიას უნდა დავემორჩილოთ. მხოლოდ პარტიას შეუძლია ჩინეთის დიდი რევოლუციური ძალების, მუშების, გლეხების და ჯარის გაერთიანება. პარტიის გარეშე ეს ძალები განმარტოებულია და რეაქციას შეუძლია მათი ცალ-ცალკე დამარცხება.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს გენერალი კიანსის პროვინციის გამგეთ დაინიშნა და უნდა ითქვას, რომ ჩვენს ჩინეთში ყოფნის დროს მას არ უღალატნია თავისი სიტყვისთვის.

უშუალო კონტაქტი იმპერიალიზმთან

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საუბარს ადგილობრივ ორგანიზატორებთან.

— ჩვენი ქალაქი განსაკუთრებით გრძნობს იმპერიალიზმის გავლენასო, დაუმატა ჩვენმა მოსაუბრემ: აქ ორი სანაოსნო საზოგადოებაა, ერთი იაპონელებს ეკუთვნის, ხოლო მეორე ინგლისელებს. არსებობს აგრეთვე ნავთის ამომღები და გამწმენდი წარმოებანი, რომელნიც ამერიკელებსა და ინგლისელებს ეკუთვნიან. ბამბის ფაბრიკა იაპონელების ხელშია. რაც შეეხება ჩინელების ქარხნებს, (პატრონების. ასანთის და სხ.) მათ თითქმის არავითარი ეკონომიური მნიშვნელობა არ აქვთ. გარდა რკინისგზელებისა და ქარხნის მუშებისა აქ ბევრია ხელოსანი მუშა: თვითმართველობის მუშები, მენავეები, რიკშები („ცხენკაცები"), ბარგის მზიდველები და სხ.. ხელფასი მეტად მცირეა. უკანასკნელი ეკონომიური ბრძოლების დაწყებამდე თვით საუკეთესოთ მოწყობილ ქარხნებში მუშას 10—20 ცენტს (20—40 კაპ.) აძლევდენ დღეში. ახლა მუშა 50 პროც. მეტს ღებულობს, მაგრამ არც ესაა ბევრი რამ.

კიუ კიანგი მდინარე იანცზე კიანგისა და პოანკის ტბის შესართავთან სძევს, აქ იწყება ნანჩანის რკინის გზის ხაზი და ამიტომ ეს ქალაქი კარგა ხანია იმპერიალისტური ზრახვების ობიექტს წარმოადგენს.

მე ვინახულე კონცესია, რომელიც ინგლისელებს დაუწესებიათ კიუ კიანგში.

გარეგნულად კიუ კიანგი, ისევე როგორც ყველა ჩინური ქალაქი ბეჩავ შთაბეჭდილებას ახდენს. ჩინური ნაწილი და კონცესია ისე განსხვავდებიან როგორც დღე და ღამე. იქ ჭუჭყიანი სახლებია, აქ კი დიდი თანამედროვე ვილლები, ხეივნებით გარშემორტყმული, სადაც მოთავსებულან კომპანიები და მრეწველები, რომლებიც ასე შეუბრალებლად სჩაგრავენ და ყვლეფენ ჩინელ მუშებს.

კონცესია იშლება იანტსე კიანგის ნაპირას, მდინარეში ინგლისური, იაპონური და ამერიკული სამხედრო გემები სდგანან და სდარაჯობენ ამ უბანს.

როგორი ბედი ეწვია კიუ-კიანგის კონცესიას?

თეორეტიულად ეს კონცესია ამ ცოტა ხნის წინათ დაუბრუნდა ჩინელებს. ამის შესახებ ხელშეკრულება დაიდო ევგენი ჩენსა და ინგლისის მთავრობის წარმომადგენელ ომალის შორის. 15 მარტის შემდეგ ეს კონცესია უფლებრივად ჩინური ადმინისტრაციის ხელშია.

ახალმა მმართველმა ებატა ჩეაომ გვიამბო ამ უკან დაბრუნების ისტორია:

„პირველ იანვარს, როცა კონცესიის მახლობლად დემონსტრაციამ გაიარა, ინგლისელების პოლიციამ თავი ველარ შეიკავა, იარაღს მიმართა და ერთი მუშა მოჰკლა. რამდენიმე წუთის შემდეგ კონცესიის უბანი ხალხმა დაიჭირა. მაგრამ არც ერთი ევროპიელი არ მოუკლავთ, არც ერთი არ დაუჭრიათ, არც ერთი არ შეუვიწროებიათ.—მას შემდეგ, რაც საკონცესიო უბანი ჩვენ ხელისუფლებას ემორჩილება არც ერთი საჩივარი არ შემოსულა. მხოლოდ ინგლისელებმა თანამემამულეები შანხაიში გაიწვიეს. ჩინეთის ხელისუფლებამ პირიქით ინგლისელ მოქალაქეებს სთხოვა დარჩენილიყვნენ,—თავიანთი ყოველდღიური მუშაობა განეგრძოთ და აღუთქვა, რომ სავსებით უზრუნველყოფდა მათი საკუთრებისა და ქონების ხელუხებლობას.—სხვა ერების წარმომადგენლები, ამერიკელები, იაპონელები აქ დარჩნენ. თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ და კმაყოფილნიც არიან".

ტომ მანმა ჩაწერა ეს განცხადებანი და კონცესიის მმართველს სთხოვა ხელი მოეწერა:— დიდი სიამოვნებით მოვაწერთ ხელს—სთქვა მან: გთხოვთ პრესაშიც მოათავსოთ. დაე ყველამ იცოდეს, რომ აქ მომხდარ ინცინდენტების პასუხისმგებლობა მხოლოდ ინგლისის მთავრობას აწევს კისერზე. სთქვით აგრეთვე, რომ სამხედრო გემების დაყენება კიუ კიანგის ნავთსადგურში და მათი მუქარა, რომელიც მუდმივ თვალწინ უდგას ჩინელ მოსახლეობას, ყველაფერზე მეტად აღიზიანებს ხალხს და აძლიერებს მტრულ განწყობილებას იმპერიალისტური სახელმწიფოების მიმართ.

კიუ-კიანგიდან ხანქოუსკენ მდ. იან-ცე-კიანგზე

ჩვენი დელეგაციისთვის ადვილი არ იყო კიუ კიანგის დატოვება.

იან-ცე-კიანგის მატროსებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს პროტესტის ნიშნათ ინგლისის იმპერიალიზმის მუქარის წინააღმდეგ. მართლაც ინგლისელებმა თურმეტ ათასამდე ჯარისკაცი გადმოასხეს იარაღითა და ალაფით. ეს ნამდვილი გაფიცვა იყო: არც ერთი ნავი არ სჩანდა იან ცეზე.

მეორე მხრით ნაციონალური ჯარები ყოველ ტრანსპორტს იყენებდნენ პუკეუსა და ნანკინის რაიონში კონცენტრაციის მოსახდენათ, მიტომ, რომ ამ ადგილებს ჩრდილოელების კონტრ-იერიშები ემუქრებოდა.

ჩვენ კი დიდი სურვილი გვქონდა რევოლიუციის ცენტრს, ჰანკოუს მივეახლოვო. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მთავარმა შტაბმა პატარა საბუქსირო ხომალდი დაგვითმო იმ პირობით, რომ იმ დღესვე გავემგზავრებოდით. ამ რიგათ უნდოდათ აეშორებიათ უზარმაზარი დემონსტრაცია, რომელიც მეორე დღეს უნდა შემდგარიყო მემარცხენეების წინადადებით: ამ მემარცხენეების სათავეში „სიპიები" (კომუნისტები) იყვნენ.

ჩვენ იძულებულნი გავხდით გულისტკივილით მივყვეთ შტაბის პირობა. რევოლუციონერები ძლიერ გააბრაზა შტაბის ასეთმა ოინმა, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

მდინარეზე

პატარა საბუქსირო ხომალდმა შესცურა ამ უზარმაზარ მდინარეში, რომელსაც რამდენიმე კილომეტრის სიგანე აქვს და რომელიც იალქნიანი ნავების ფლოტილიით იყო დაფარული: მეთევზეები ბადეს ისროდენ, როგორც ამას ზღვაში შვრებიან.

არც ერთი ცეცხლის გემი არ ჩანდა გარდა ჩვენი ხომალდისა, რომელსაც ჩვენთან ერთად ჯარისკაცები მიჰყავდა ჰანკოუში. ისინი მთელი დღის განმავლობაში მღეროდნენ: „მუშებო, გლეხებო, ჯარისკაცებო შეერთდით თუ გინდათ მილიტარიზმი და იმპერიალიზმი დაამხოთ"!

უცებ შორს მდინარეზე ორთქლი გამოჩნდა. ამ ამბავმა დიდათ გაგვაკვირვა ამ საყოველთაო გაფიცვის დღეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველივე გავიგეთ: ეს სამხედრო გემია.

ამერიკულია, ინგლისური თუ ფრანგული? ვეკითხებოდით თავის თავს და თვითეული ჩვენგანი საკუთარ იმპერიალიზმზე ფიქრობდა.

არა, ის იაპონური აღმოჩნდა. სწრაფათ ჩაუარა ჩვენს ხომალდს. ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნები ამართული იყო: ადამიანს ეგონებოდა, რომ იქ ყოველივე მზად იყო სასროლათ.

ჰარაკირი

იაპონური არმიის და ფლოტის მეთაურები ფიქრობენ, რომ იაპონიის მთავრობა გადაჭარბებულ სინაზეს იჩენს ჩინეთის მიმართ. ამიტომ ისინი შემთხვევას ეძებენ ინტერვენციის მოსახდენათ. რამდენიმე დღის წინათ ჩრდილოეთის არმიის პროვოკატორებმა ძალმომრეობა ჩაიდინეს რამდენიმე ევროპიელის წინააღმდეგ და ინგლისელებმა და ამერიკელებმა გემებიდან ყუმბარები დაუშინეს ქალაქს.

იაპონელმა კონსულმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ამ თავდასხმაში. პროტესტის ნიშნათ ერთმა იაპონელმა ფლოტის ოფიცერმა თავი მოიკლა. წერილში, რომელიც იაპონიის მთავრობისადმი იყო მიმართული ის სწერდა: „ჩემმა სამშობლომ თავი შეირცხვინა, როცა უარი სთქვა ინგლის-ამერიკული მოქმედებისთვის მხარი დაეჭირა ნანკინში. არ შემიძლია ამის შემდეგ ვიცხოვრო". მრავალმა იაპონელმა ოფიცერმა თანაგრძნობა გამოუცხადა ამ საქციელს.

იაპონური სამხედრო გემი დიდი სისწრაფით გაგვშორდა. ჩვენ გომინდანის დროშა გავუშალეთ. ჩემმა მეორე თარჯიმანმა ვანგ სტაომ მითხრა: „ყველა კმაყოფილია რომ ეს გემი ასეთი სიჩქარით წავიდა. ამ ოფიცრებისგან, რომელნიც ჰარაკირის მანიით არიან შეპყრობილნი ყველაფერს უნდა ველოდეთ, თვით ყუმბარების დაშენასაც".

ჩვენ ათასი კილომეტრით ვიყავით დაშორებული ჩინეთის ზღვის ნაპირებს. იმპერიალისტები კი ასე ურცხვათ დათარეშობდნენ მდინარეზე. პრაქტიკულათ ისინი ბატონობენ ამ ხეობაში. რასაკვირველია ჩინეთის ორიოდე სამხედრო გემს (ჩინეთს არც უფლება აქვს და არც საღსარი მათ ასაშენებლათ) არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტური სახელმწიფოების ძლიერ სამხედრო ფლოტს.

უკან დაბრუნებისას მრავალი სამხედრო გემი დავინახეთ, ისინი დასრიალებდნენ ჰანკოუსა და შანხაის შორის.

ხანქოუ

კიდევ რამდენიმე საათის მოგზაურობა და შორიდან გამოჩნდა დიდი განაშენებული ქალაქი ან უკეთ ვთქვათ სამი ქალაქი: ჰანკოუ, უჩანგი და ჰანანი: ესაა უცხოელთა კონცესიებისა და სალითონო მრეწველობის ცენტრი, ჰუბეის პროვინციის დედაქალაქი. მისი სამი ნაწილი, რომელიც ნაციონალურმა მთავრობამ ერთს ადმინისტრაციას დაუქვემდებარა დაახლოებით 1.200.000 სულს შეიცავს. ქალაქს საუცხოვო მდებარეობა აქვს იანცესა და ანის შესართავთან, პეკინისა და ჩანშასკენ მიმავალი რკინის გზის ხაზზე ქვანახშირის მაღაროების და რკინის მადნის მახლობლათ. ის მოწოდებულია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ცენტრის როლი ითამაშოს, ყოველ შემთხვევაში ჩინეთის რევოლუციურ კერათ დარჩეს მომავალშიც. ისეთი ისტორიული ქალაქები, როგორიცაა ნანკინი და პეკინი ვერ გამოდგებიან თანამედროვე სახელმწიფოს სატახტო ქალაქათ, მით უმეტეს რევოლუციის ცენტრათ.

ჰანკოუ უდიდესი ნავთსადგურია მსოფლიოში. მას რამდენიმე კილომეტრის სიგრძე აქვს და შეიძლება კიდევ გაფართოვდეს სურვილისამებრ. ამ ადგილას მდინარეს ორი კილომეტრი სიგანე აქვს. ქალაქს ჯერ კიდევ არავითარი ხიდი არ აქვს ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელათ.

ყოვლის შემძლე იმპერიალიზმი

ხანქოუს ნავთსადგურში უდიდეს გემებს შეუძლიათ შესვლა მთელი წლის განმავლობაში. იმპერიალისტებმა ჩქარა შეიგნეს ამ ქალაქის მნიშვნელობა მათი გაფართოებისთვის ცენტრალურ ჩინეთში. უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში აქ მოიკალათეს ინგლისელებმა, ფრანგებმა, რუსებმა, გერმანელებმა, იაპონელებმა და კონცესიები მოითხოვეს. საკონცესიო უბანი იწყება ჩრდილოეთის ნაპირასა გაშლილი სამი კილომეტრის სიგრძეზე.

ბულვარზე ჩამწკრივებულია ფართო ვილლები, ბანკები, საკონსულოები, დიდი სავაჭრო სახლები, სასტუმროები, საბაჟოები.

ხანქოუ თავდაპირველად ბრწყინვალე ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ეს შთაბეჭდილება ჰქრება, როცა საკონცესიო ნაწილს სტოვებთ და ჩინურ ნაწილში შედიხართ, ან მით უმეტეს, ჩინური ქალაქის განაპირა უბნებში, სადაც ბამბუკის უბადრუკ ქოხებში ჩინელი მუშები სცხოვრობენ.

ზოგიერთი კონცესია ჩინეთს დაუბრუნდა. ომმა გააძევა გერმანელები. მეგობრების ხელშეკრულებამ, რომელიც რევოლუციურმა რუსეთმა ჩინეთთან დასდო, მოსპო რუსული კონცესია. რევოლუციურმა მასსებმა აქედანაც ისევე როგორც კიუ კიანგიდან, გარეკეს ტლანქი ინგლისელი იმპერიალისტები, რომელნიც საკონცესიო უბნიდან თოფ-ზარბაზნებს უშენდენ ხალხს. მხოლოდ ფრანგებმა და იაპონელებმა შეინარჩუნეს თავიანთი კონცესიები.

ჩვენმა ხომალდმა გვერდზე ჩაუარა საკონცესიო უბანს. ნავთსადგურში თხუთმეტიოდე სამხედრო გემი იდგა, მათ შორის სამი ფრანგული იყო. ისინი თავისებურათ სდარაჯობენ რევოლუციურ გომინდანს და მზად არიან ინტერვენციისთვის. სადარბაზოდ მოსულმა ფრანგის კონსულმა სხვათა შორის მითხრა:

— თუ საფრანგეთის საკონცესიო ნაწილში დემონსტრაცია შემოიჭრა, მეზღვაურებს გადმოვსხამ და პასუხს აღარ ვაგებ იმისთვის, რაც შემდეგ მოხდება.

პირველი შეხვედრა გომინდანის ბელადებთან

ჩვენ გველოდა და იანტა—გომინდანის აგრარული სექციის უფროსი. ჩქარა მოვიდა აგრეთვე ლი ლი სანი—შრომის კონფედერაციის მდივანი. ყოველი მხრიდან შეკითხვებს გვაძლევდნენ იმ რაიონების შესახებ, რომელიც უკვე განვლეთ.

მეორე დღეს გომინდანის პოლიტიკურმა საბჭომ მიგვიღო.

ჩუ შიენმა მოსასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა:

„სუნ-იატ-სენი ყოველთვის გვირჩევდა, რომ კავშირი დაგვეჭირა დასავლეთის პროლეტარიატის რევოლიუციურ მოძრაობასთან, სთქვა მან: სუნ-იატ-სენმა აგრეთვე ნათლად გაიგო, რომ ჩინეთის რევოლუცია მსოფლიო რევოლუციის ნაწილი იყო. ჩვენ მისი მოწაფეები ვართ და მის მოძღვრებას მივსდევთ. მე ვსარგებლობ თქვენი მოსვლით, რათა მივესალმო ამ კავშირის განხორციელებას, განსაკუთრებით ამ მომენტში, როცა ჩინეთის რევოლუციას დაბრკოლებანი და სიძნელენი გადაეღობება წინ. ის დახმარება, რომელსაც საერთაშორისო პროლეტარიატი გვთავაზობს, შეგვაძლებინებს წარმატებით ვიბრძოლოთ ჩინეთის განთავისუფლებისთვის".

სუნ-იატ-სენის შვილმა, სუნ ფომაც ცენტრალური კომიტეტის სახელით წინადადება მოგვცა მუდმივი ურთიერთობა დაგვემყარებინა რევოლუციურ ჩინეთსა და დასავლეთის პროლეტარიატს შორის.

ერთი სიტყვით პირველი შეხვედრაც და შემდეგიც მეტათ მეგობრული იყო.

მაგრამ მხოლოდ დაკვირვებამ და გამოცდილებამ, რომელიც ხანკოუში მივიღეთ, შეგვაძლებინა გაგვეგო თვითეული ამ ადამიანის როლი, დღევანდელი მდგომარეობა და მომავალი ევოლუცია.

ჟაკ დორიო.

„ლიუმანიტე".

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

თხილის დამზადება

ოზურგეთი, 8 აგვისტო. თხილის რაიონების 11 სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ გლეხებს დაურიგა ბე თხილის დასამზადებლად, სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამ მიზნით გასცა 18.000 მან. მოკლევადიანი კრედიტი. წელს მოელიან 18—20.000 ფუთი თხილის მოსავალს. წარსულ წელს კი მოვიდა 3.000 ფ. თხილი (ადს).

დამატებითი თანხა ჩაის მეურნეებს

ოზურგეთი, 8 აგვისტო. სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი" შეუდგა გლეხპლანტატორებისათვის დამატებითი თანხის (გაცემულ 200 მან. გარდა) მიცემას 350 მან. ნორმამდე ერთ დესეტინაზე (ადს).

ხილის გატანა

ოზურგეთი, 8 აგვისტო. დაიწყო გურიის ხილის გატანა საბჭოთა კავშირის ცენტრებში. მიმდინარე წელიწადში მიქელ-გაბრიელის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ პირველად გაიტანა მოსკოვში რამდენიმე ათასი ფუთი ნედლი ხილი, უმთავრესად ქლიავი.

დამზადებულია და ამ დღეებში გაეგზავნება მოსკოვში ნედლ და გამხმარ ხილის დიდი პარტია.

გურიის მებაღეობის პროდუქტებზე მოთხოვნილების ზრდის გამო მიქელ-გაბრიელის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობას განზრახული აქვს მომავალ სეზონისათვის ღვინის და ლიმონის სიმჟავის გამომმუშავებელ ქარხნის აგება და აგრეთვე საკონსერვო ქარხნის და ხილის სახმობის აგება.

სწარმოებს წინასწარი მუშაობა სუბტროპიკულ კულტურათა—მანდარინის, ლიმონის და ფორთოხლის—მოსავლის საექსპორტოდ (ადს).

ყოფილ მენშევიკების კრება

ახალსენაკი, 8 აგვისტო. შესდგა ყოფილ მენშევიკების საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც აწარმოებს ქართველი ემიგრაცია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ საზღვარგარეთ. კრება ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ჰკიცხავს მენშევიკ ბანდიტებს და მათ მუშაობას (ადს).

სტიქიურ უბედურებით გამოწვეული ზარალი

გორი, 8 აგვისტო. სპეციალურ კომისიის გამოკვლევით, უკანასკნელ სტიქიურ უბედურების დროს გორის მაზრაში დაზიანებულია 6.152 დეს. ნათესები, ღირებული 310.000 მან. და 1.052 დეს. ბაღები 315.600 მან. ღირებულებით; სულ კი 625.600 მან. (ადს).

კოოპერატივის გაძარცვა

გორი, 8 აგვისტო. ღამით 8 აგვისტოს ამ.-კავკ. სამხედრო კოოპერატივიდან გაიტაცეს 1.500 მან. გამოძიება სწარმოებს (ადს).

სამხრეთ ოსეთში

სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად

ცხინვალი, 8 აგვისტო. სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო აპარატის გამარტივების გადარჩენილი თანხები გროვდება სამხრეთ-ოსეთის ცაკში და იქიდან განაწილებულ იქნება ოლქებში სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

საბინაო მშენებლობა

ცხინვალი, 8 აგვისტო. დაუმთავრებელი უპატრონო სახლების სიმრავლის გამო, სამხრეთ ოსეთი ცაკის ნებადართვით, ცხინვალის კომუნალური განყოფილება შეუდგა ამ სახლების დასრულებას. მუშაობის დამთავრების შემდეგ სახლები გადავა კომუნალურ განყოფილების განკარგულებაში (ადს).

წერილები

კურორტი წყალტუბო

ქურორტ წყალტუბოს მუშაობა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად იმის შემდეგ, რაც საკურორტო სამმართველოს დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ამხ. ა. ჭანტურიძე. ამხანაგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია როგორც აღმშენებლობას, აგრეთვე მოსამსახურეთა შემადგენლობას. აქ წინად მუშაობდა ყოფილი პრისტავი, ყოფილი მემამულე, მღვდელი—დიაკონი და სხ. ადგილობრივი გლეხობა უარყოფითად უყურებდა მათ სამსახურს. წყალტუბოში ბიუროკრატიის ორ სართულიანი შენობა იყო აგებული. მაგრამ მათ საუბედუროდ, ამხ. ჭანტურიძემ მოსვლისთანავე მოუღო მას ბოლო; მოხსნეს ბიუროკრატი თანამშრომლები და მათ ადგილზე კი დაინიშნენ მშრომელი გლეხები.

დღეს ყველა სახლებს გაუკეთა რემონტი. რამოდენიმე ხნის წინეთ მოთავდა ახალი აბანოს შენება, სადაც მოწყობილია ცალ-ცალკე ვანები. შენდება ახალი სასტუმროს შენობა სამოცდა შვიდი თვალიდან შემდგარი. ეს შენობა მოთავდება მალე. კვირაში 2-3-ჯერ უკრავს სასულე ორკესტრი. მოწყობილია სასადილო.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ დირექტორთან გლეხებს ეშინოდათ შესვლა, მაგრამ დღეს ყველას თავისუფლად შეუძლია შესვლა დირექტორის კაბინეტში. ამით ადგილობრივი გლეხები დიდი მოხარული არიან.

ადგილობრივი მცხოვრები.

„ეს უსამართლობა არის

(თავასის თემი, შორაპნის მაზრა)

ჩვენმა თემსაბჭომ გამოყო ყველა სოფლებიდან გლეხების კატეგორიებად დამყოფი კომისია. ამ კომისიებმა ზოგმა კერძო ინტერესით ღარიბი გლეხი კულაკის ადგილზე დასვეს, შეძლებულები კი ღარიბების ადგილზე.

კომისიებმა თავიანთი ნაშრომი დასამტკიცებლად თემსაბჭოს წარუდგინეს. აქაც იჩინა თავი „საკუთარი ტყავის დაცვამ", საბჭოს წევრები თავგამოდებით მსჯელობდნენ თავის „ნაცნობ-მეგობრების" და თავის ღარიბეს გლეხთა კატეგორიაში მოსაქცევად. ამიტომ კრებაზე ყველა „უბედობდა" და ყურთა სმენა აღარ იყო.

უყურადღებოდ დასტოვეს თემკომის მდივნის წინადადება „თქვენ სხვისთვის იმსჯელეთ მიუდგომლად და თქვენზე სხვა იმსჯელებსო".

გლეხობის დაჩაგრული ნაწილი ამით უკმაყოფილოა,—მაგრამ ჯერ-ჯერობით პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული.

საჭიროა ამას მიაქციოს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

ცოციკო.

წერილებიდან

ს. ქვემო ალვანი, თელავის მაზრა

მადლობა წითელ ჯვრის საზოგადოებას

ადგილობრივი მცხოვრებლები დიდი ხანია შენატროდენ საექიმო პუნქტის და აფთიაქის დაარსებას, საქ. წითელ ჯვრის საზოგადოების ც. კომიტეტმა ჯანსახკომთან შეთანხმებით ეს დიდი სანატრელი საქმე შეუსრულა ადგილობრივ მოსახლეობას და დაარსა საექიმო პუნქტი და აფთიაქი. გლეხების სიხარულს და აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს. ადგილობრივი მოსახლეობა უძღვნის წ. ჯ. ც. კ. მადლობას უძღვნის საექიმო პუნქტის და აფთიაქის დაარსებისათვის.

ალ. სეხნიაშვილი.

მიხედოთ სკოლას

დ. დარჩიელი, ზუგდიდის მაზრა

მიხედოთ სკოლას

ჩვენი სოფლის სკოლაში ირიცხება 500-მდე მოწაფე, არ გვაქვს ორ ჯგუფისათვის ოთახი, არ გვაქვს სამასწავლებლო ოთახი, ფანჯრებში მინები არაა და სხვა ასეთი. გასულ წელს შემოდგომაზე უნდა შეეკეთებიათ ორი საჯგუფო დარბაზის მომატებით. გადაეცა მოიჯარადრეს 2040 მანეთად ვალის დასაფარავად, ნაწილი თანხისა გაწერილ იქნა მოსახლეობაზე თვითდაბეგვრის საშუალებით. დაიწყეს მუშაობა, მაგრამ მოთავებას ვერ ველირსეთ, დღეს მუშაობა შეჩერებულია.

ეგრისელი.

სოფლის ქრონიკა

— **ვენერიულ სენის წინააღმდეგ** გორში გაიხსნა ვენეროლოგიური დისპანსერი.

— **გზა.** ახლო ხანში დამთავრდება გზის შეკეთება ორთაჭალასა და კაკაბეთს შორის.

— **წყალსადენი.** ახლო ხანში შაშიანის თემში დამთავრდება წყალსადენის გამოყვანა.

— **საბავშო ბაგა.** ყარაიაზში ეწყობა საბავშო ბაგა.

— **კურსები.** სოფ. ლაპანყურში (თელავის მაზრა) გაიხსნა მერძეობის კურსები.

— **დუშეთის მუშკოოპმა** თავის წევრებად უფასოდ მიიღო 100 ღარიბესი გლეხი.

მუშათა ცხოვრება

სამხედრო და კულტურული მუშაობა

(ახალ მუშათა კლუბში)

მოსახლეობის გასამხედროების; მუშათა მასების კულტურული დონის აწევის საქმეში დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული მუშათა კლუბებს. ამ ამოცანას უმთავრესად ემსახურება კლუბებთან დაარსებული წრეები, როგორიცაა სამხედრო, ლიტერატურული, დრამატიული და სხვა. ამ მხრივ საყურადღებოა ახალი მუშათა კლუბის მუშაობა წელს.

მომავალ ომის საფრთხის მოახლოებასთან ერთად კლუბმა გააძლიერა მუშაობა სამხედრო წრეებში. დაარსებულია მსროლელთა წრე; ამ მოკლე ხანში განზრახულია ქალთა შორის სამხედრო მუშაობის გაფართოება. სამხედრო წრეების დაარსებამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა კლუბის მთელ მუშაობაში. დაარსებულია სამხედრო ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობს ყველა კლუბებში სამხედრო წრეების მუშაობას.

მუშაობს ხუთი წრე; რომელშიაც რამოდენიმე ასეული ამხანაგია გაერთიანებული.

კულტურულ მუშაობის დარგში გაცილებით მეტი მიღწევებია. ახლოხან დაარსდა სამხატვრო წრე; ცოცხალი გაზეთის წრეები, რომლის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ახ. მ. კლუბს. ამასთან აღსანიშნავია, რომ კლუბთან არსებობს ახალგაზრდათა სექცია, მუშაობაში ჩაება აქტიური და მცოდნე ამხანაგები, რამაც სექციის მდგომარეობა გააუმჯობესა. სექციის მომავალ სამუშაო გეგმაში შეტანილი აქვს ფიზკულტურის მოედნისა და ფეხბურთელთა გუნდის შექმნა.

კლუბთან ყოველ საღამოობით უკრავს სიმებიანი და სასულე ორკესტრი. საექსკურსიო ბიურომ მიმდინარე საზაფხულო სეზონის განმავლობაში მოაწყო მასიური ექსკურსიები მცხეთაში და კოჯორში. განზრახულია ექსკურსიის ჩატარება სამეცნიერო მიზნით ბოტანიკურ ბაღში, ბათომში, კავკავში და სხვაგან.

ამგვარად ახალმა მუშათა კლუბმა საკმაოდ მრავალ ფეროვანი მუშაობა ჩაატარა.

კ. ნ.

—

ყველაფერი დროზე უნდა

— კაცო... აბა ეს რასა ჰგავს? ნუ თუ ეს არ უნდა მოწესრიგდეს? მეკითხება გაბრაზებული ქარხნის გამგე.

— რაშია საქმე, რაზე ლაპარაკობ?

— რაზე, და იმაზე რომ სრული 20 წუთია რაც ცენტრში დავურეკე, ვთხოვე საჭირო ნომერი ტელეფონისა. და აქამდისაც ყურადღებას არ მაქცევენ. ხომ შეიძლება რომ ქარხანაში რაიმე უბედურობას ჰქონდეს ადგილი, და განა ყოველთვის ამდენი უნდა მაცდევინონ?

— განა რა უბედურობა უნდა იყოს, რომ 20 წუთში თავიდან ვერ ავიცილოთ ან საშუალება ვერ გამოვნახოთ.

— ხომ შეიძლება მოულოდნელად ხანძარი გაჩნდეს და ამდენ ხანს, რომ ელოდო ქარხანა გაიწვის კიდეც.

— გამოუძახე მოხელეს და ჰკითხეთ: რა არის მიზეზი, რომ არ უპასუხეს.

— რა ვქნათ რა ჩვენი ბრალია, რომ ცოტანი ვართ და ვერ ვასწრებთ.

— თუ მართლა სიცოტავის ბრალია, საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას და შესაფერად მოწესრიგდეს, და თუ სიზარმაცისა—მაშინ ასეთ მოხელეებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ისეთ დაწესებულებაში, როგორიც არის ტელეფონის ცენტრო-სადგური. ასეთი მოხელეების წყალობით საქმე გაფუჭდება და კი არ გაკეთდება, ყველაფერი დროზე უნდა.

ამზაღი.

კავშირიდან ამას არ უნდა მოველოდით

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი"-ს კანტორის შვიდი თანამშრომლის კოლექტიური განცხადება შეღავათის შესახებ გადაეცა ადგილკომის მიერ მბეჭდავთა კავშირს. ქარხკომის თავმჯდომარე შოილაძე ამ საქმეზე კავშირში სიარულით. მიუხედავად ამისა, უკვე მიდის ოთხი თვე და კავშირი არავითარ პასუხს არ იძლევა.

ჩვენ კავშირიდან ამას არ მოველოდით.

მუშკორი ვანო.

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია და მუშათა მასები

აგვისტოს პირველ რიცხვებიდან დაიწყო თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია ქალაქის ყველა რაიონებში. ამ კამპანიის ჩატარების დროს თბილისის საბჭოს წევრებმა თავიანთ ამომრჩეველთ უნდა ჩააბარონ ანგარიშები საბჭოს მუშაობის შესახებ, თუ რა გაუკეთებია თბილისის საბჭოს საანგარიშო პერიოდში. ამომრჩევლები—მშრომელთა ფართე მასები, გაეცნობიან განვლილ მუშაობას და აღნიშნავენ ყველა იმ უარყოფით და დადებით მხარეებს, რომელიც თან ახლდა თბილისის საბჭოს მუშაობას. მომავალი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მისცემენ პრაქტიკულ მითითებებს.

ამ კამპანიის მიზანს შეადგენს ამომრჩეველთა აქტივობის გაზრდა, მუშების ჩაბმა საბჭოს სხვადასხვა სექციების მუშაობაში. შედარებით წინა წლებთან, თბილისის საბჭოს საქმიანობა გაჯანსაღდა. მთელი საბჭოს შემადგენლობის 89,8 პროცენტი ჩაწერილია სხვადასხვა სექციებში, რომელთაც ყავთ გამოყოფილი სხვადასხვა საკითხების დასამუშავებლად სათანადო კომისიები.

მთელ რიგ მიღწევებთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლი და უარყოფითი მხარეები. ყველა ეს აღინიშნება საანგარიშო კამპანიის ჩატარების დროს და ამომრჩეველთა ფართო კრებები მისცემენ მტკიცე „ნაკაზს" თბილისის საბჭოს სხვადასხვა ნაკლის გამოსწორებისათვის.

საბჭოს ზოგიერთი წევრები გულცივად ეპყრობიან საბჭოს მუშაობას, კრებებზე სისტემატიურად არ ესწრებიან, აქტივობის არ იჩენენ და სხვა. ისინი ხელს უშლიან საბჭოს საქმიან მუშაობას.

თითეული მშრომელი ამომრჩეველი დაინტერესებული უნდა იყოს თბილისის საბჭოს საქმიანობის ყოველგვარი წვრილმანით. ყურადღებით უნდა მოისმინოს მოხსენება და თავისი საღი კრიტიკით ხელი შეუწყოს ნაკლულოვანების გამოსწორებას.

შ. კეკელია.

—

წესრიგი ჩვენს სალაროში

სახეში გვაქვს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის სალარო, ანუ ე. წ. ჩვენი ხაზინა.

ყველგან მოისპო რიგში დგომა და ხაზინაში კი დღითი-დღე იზრდება. დილის ოთხ საათზე დგებიან თურმე რიგში, რომ ღირსი გახდენ ფულის შეტანის.

ეს არაფერი არ ვიცოდი, ამიტომ ფინინსპექტორიდან პირდაპირ ხაზინაში მივედი. დილის 9 საათია. მივადექი სალაროს, რაღაც ხუთი მანეთი მქონდა შესატანი, მაგრამ იმხელა რიგი დამხვდა, რომ ვერ შევიტანე. გამოვბრუნდი ჩემი 5 მანეთით უკან.

მეორე დღეს სრულ რვა საათზე ხაზინის კარებს მივადექი, მაგრამ იგივე სურათი დამხვდა.

ხაზინაში ასეთი წესრიგი დაუშვებელია. გადასახადის შეტანა უნდა სწარმოებდეს სწრაფად.

ფულის მომტანი არ უნდა გავაცდინოთ რიგში დგომით.

საჭიროა ხაზინაში მოწესრიგდეს ფულის შეტანის საქმე.

დუღაბი.

მუშათა ქრონიკა

(კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში")

— ივლისის თვის განმავლობაში კოლოფების ქარხანამ დაამზადა თამბაქოს ტრესტის ქარხნების საჭიროებისათვის სხვადასხვა მარკის—2.233.255 ცალი პაპიროსის კოლოფი.

— ამ უკანასკნელ დროს ამავე ქარხანამ მიიღო თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სააფთიაქო სამმართველოდან დაკვეთა—130.000 ცალი ბამბის კოლოფის დამზადებაზე, თურქესტანის „აბრეშუმისაგან" კი დამატებით მიიღო 100.000 ცალ აბრეშუმის ჭიის თესლის კოლოფების დამზადებაზე.

— აღნიშნული ქარხანა, მუშების კოლექტიურ შეღავათებში წასვლის გამო, 15 აგვისტოდან ორი კვირით დაიკეტება.

— **სანატორიუმ—„არაზინდო"-ს** მთავარ ექიმათ დაინიშნა ექიმი ჯავახიშვილი.

შირაქის ნავთი

საცდელი ჭაბურღილის ამოღება

შირაქის ნავთიან ადგილების გამოკვლევის სამუშაოთა ხელმძღვანელმა ინჟ. ბიუიმერელმა, ს. მ. უ. ს. სამთო ზედამხედველობას გადასცა შემდეგი ცნობები:

ჭაბურღილის ამოღება დაწყებულ იქნა 23 ივლისს. პირველ ხანებში მუშაობა დიდის წარმატებით მიმდინარეობდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ სამანქანო ზეთების ნაკლებობის გამო მუშაობა რამოდენიმე დღით დაბრკოლდა. ამჟამად მუშაობა ძველის ტემპით მიმდინარეობს. 3 აგვისტოს ჭაბურღილის სიღრმემ მიაღწია 12,4 მეტრს. 15 აგვისტოდან დაწყებული იქნება ჭაბურღილის წყლით ამორეცხვა და ამასთან პარალელურათ იწარმოებს სიღრმის მომატებაც. ასეთ დაბალ სიღრმეზე მოსალოდნელი არაა ნავთის ნიშნები.

ჭაბურღილის ამოღებას აწარმოებს იტალია-ბელგიური საკონცესიო საზოგადოება, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ჭაბურღილის სრული ამოღება დაამთავროს 1928 წლის 1-ლ იანვრისათვის.

იჯანის და მოსკოვის ბაზარზე.

„საქართველოს აბრეშუმი"

პარკის დამზადება დასრულდა

პარკის დამზადების ოპერაცია დასრულდა. მიღებული ცნობებით, შეკრებილია—108 ათასი ფუთი პარკი, რაც დახლოვებით 33 ათას ფუთ ხმელ პარკს მოგვცემს. 20.000 ფუთი ხმელი პარკი გადაეცემა ადგილობრივ აბრეშუმსახვევ ქარხნებს. ხმელი პარკის ეს რაოდენობა სავსებით უზრუნველყოფს ყველა ქარხნების ორწყობა მუშაობას მომავალ წლის მოსავლამდე. პარკის დანარჩენი რაოდენობა გაყიდულია აზერბაიჯანის და მოსკოვის ბაზარზე.

სასოფლო-სამეურ. ბანკში

სესხის განაწილება

მეოთხე კვარტალში გასაცემი კრედიტები 290.000 მანეთის რაოდენობით (გრძელვადიანი—150.000 მან. და მოკლე ვადიან 140.000 მან.) საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკმა გაანაწილა შემდეგ ნაირათ: სამხრეთ ოსეთის საკრედიტო ამხანაგობებზე, გასაცემათ გამოყოფილია 7.600 მან.; აღნიშნული კრედიტი მიეცემა: ჯავის საკრედიტო ამხანაგობას—2.800 მან., ოქონის—2.500 მან. ახალგორის—2.300 მან.

დანარჩენი სესხი განაწილებულია შემდეგ ნაირად:

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებისთვის გრძელ ვადიანი—60.000 მან., მოკლე ვადიანი—50.000 მან.; მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის—მოკლე ვადიანი—25.000 მან.; მებაღეობისათვის—5.000 მან.; მევენახეობისათვის—გრძელვადიანი 30.000 მან. კენაფისათვის—მოკლე ვადიანი—1.520 მან.; აბუსალათინისათვის—მოკლე ვადიანი 16.000 მან.; ჯიშიან საქონლისათვის—გრძელვადიანი 10.000 მან.; გრენისათვის (საქართველოს აბრეშუმს)—მოკლე ვადიანი 33.000 მან.; მერძეობა-მეყველეობისათვის—მოკლე ვადიანი 5.000 მან. და მუშა-საქონლისათვის—გრძელვადიანი 41.700 მან. და მოკლევადიანი—6.140 მან.

ვადის გაგრძელება

ახალციხის საკრედიტო ამხანაგობას თესლეულობისთვის მიღებული აქვს საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკიდან მოკლე ვადიანი სესხი, რომლის ვადაც ენკენისთვეში გადის. სტიქიურ უბედურებით გამოწვეულ მიზეზების გამო, ამხანაგობამ მიმართა ბანკს აღნიშნულ სესხის ვადის გაგრძელების შესახებ. ბანკმა საჭიროდ სცნო ხსენებულ შუამდგომლობის დაკმაყოფილება, რაც დასტურისათვის აცნობა ა. კ. სას. სამ. ბანკს.

კრედიტები საბჭოთა მეურნეობებს

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს ტრესტებში გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობებისათვის კრედიტების მიცემის ფონდები, რომლებიც შესდგება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან შემოსულ თანხებიდან.

დადგენილების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის და რომელიც შესანახავად ეძლევა სასოფლო-სამეურნეო ბანკს, წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინის კუთვნილებას, განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალურ კაპიტალს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ბანკის განკარგულებაშია და რომლის დანიშნულებაა კრედიტების მიწოდება ტრესტებში გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობებისათვის.

სესხი ტრესტებში გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობებს ეძლევათ აგრიკულტურული ხასიათის განსაზღვრულ მომგებიან ღონისძიებების გატარებისათვის. სესხი გაცემული იქნება მოკლე და გრძელი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა.

სესხის რაოდენობა და მისი განაღდების ვადები დაწესებული იქნება იმ ღონისძიებების ხასიათის მიხედვით, რომელთა გატარებისთვისაც არის იგი გაღებული.

მანქანების მიღება

თბილისში ს. მ. უ. ს სახელზე მიღებულია 223 ცალი ელექტრო მანქანები ცვალებადი დენისათვის. აღნიშნული მანქანები დადგმული იქნება ს. მ. უ. ს. წარმოებების ზაჰესის ელდენზე გადასვლად.

მიღებული მანქანებიდან 46 ცალი გადაეცემა რკინის გზის მთავარ სახელოსნოებს ამავე მიზნით. თვითეული მანქანის ძალოვნება უდრის 1—60 ცხენის ძალას. მანქანები დამზადებულია „აეგ"-ს ფირმის მიერ. ახლო ხანში მოელიან აგრეთვე ასეთივე მატორების, ტრანსფორმატორების და სხვა მოწყობილობათა ახალ პარტიებს.

მიღებული მოტორების მონტაჟი დაიწყება ერთ თვეში.

აბრეშუმის მოსავალი

კახეთში

მიმდინარე სეზონში კახეთის ზოგიერთ რაიონებში მეაბრეშუმეებმა მიიღეს სარეკორდო მოსავალი. ხშირია ისეთი ოჯახი, რომელსაც აბრეშუმის თესლის ერთი კოლოფიდან მოუყვანია 3—4 ფუთი ნედლი პარკი.

ჩვეულებრივ, დასავლეთ საქართველოში ერთი კოლოფი იძლევა არა უმეტეს 1,5 ფუთისა. სოფ. ბაბანეურში ერთმა ოჯახმა ერთი კოლოფიდან მოიყვანა ხუთი ფუთი და 12 გირვანქა აბრეშუმის პარკი, პირველი ხარისხისა. კახეთში ჩვეულებრივ მოჰყავთ ბაღდადის ჯიშის თეთრი პარკი, თუმცა ზოგან მისდევენ ევროპიულ ჯიშსაც, მიმდინარე სეზონში აბრეშუმის პარკის მოსავალი 4 ათას ფუთს აღემატება. აქედან თესლის დასამზადებლად დატოვებულია მხოლოდ 300 ფუთი. დანარჩენი მოსავალი დასამუშავებლად გადაეცემა თელავის ძაფის სახვევ ფაბრიკას, რომელიც ამჟამად ორწყობად მუშაობს.

საკონტროლო ციფრები

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო საქართველოს მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1927-28 წლისათვის.

კაპიტალური ხარჯები განსაზღვრულია 7.630.000 მანეთით (ამაში არ შედის ხარჯები ქაღალდის ფაბრიკისა და ახალი მექანიკური ქარხნისათვის. საკითხი რომელთა შესახებაც განხილული იქნება ახლო მომავალში მოსკოვში).

აქედან 1.700.000 გადადებულია თბილისის მაუდის ფაბრიკის დასამთავრებლად, 500.000 მანეთი ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობისათვის, 200.00 მანეთი გამოკვლევების საწარმოებლად ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონში, 1.000.000 მანეთი საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის საბრუნავ კაპიტალის გასადიდებლად, 700.000 მანეთი ავტონომიურ რესპუბლიკების ადგილობრივ მრეწველობისათვის და სხვა.

ახალი მადნების აღმოჩენა

ჩათახში

ჩათახიდან დაბრუნდა გეოლოგი **გაბუნია**, რომლის ცნობითაც ჩათახის რაიონში აღმოჩენილია სპილენძის და რკინის ახალი ბუდობები ტაშკესანისა და ბალიდარას მიდამოებში.

აგვისტოს შუა რიცხვებში აღნიშნული ახალი ბუდობების დასათვალიერებლათ და მომავალი საექსპლოატაციო საკითხების გამოსარკვევად ჩათახში გაემგზავრება სპეციალური კომისია, რომელშიაც შევლენ პროფ. **ა. თვალჭრელიძე**, პროფ. **ა. ჯანელიძე**, გეოლოგი **რენგარტენი**, **კონიუშევსკი**, **გაბუნია** და თითო წარმომადგენელი—ლითონტრესტიდან და ს. მ.

ბამბის ნათესები დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოში—უმთავრესად ქვემო იმერეთისა და სენაკის მაზრაში ბამბის ნათესების მდგომარეობა, რომელიც გაზაფხულის წვიმებმა და სიცივეებმა დააზიანა, საგრძნობლად გაუმჯობესდა. არავითარ ავადმყოფობას ბამბის პლანტაციებში ადგილი არა აქვს.

მიმდინარე წელს ბამბის ნათესების სივრცე ზემოხსენებულ ორ მაზრაში შემცირებულია. შარშან სენაკის მაზრაში დათესილი იყო 450 დესეტინა, ხოლო მიმდინარე სეზონისათვის ბამბის პლანტაციების სივრცე 150 დესეტინას არ აღემატება. ქუთაისის მაზრაშიდაც წელს შარშანდელთან შედარებით, ბამბის ნათესების სივრცე ნაკლებია. წელს ქვემო იმერეთში დათესილია სულ 1500 დესეტინა.

ბამბის პლანტაციების შემცირება გამოიწვია გასულ წლის ცუდმა მოსავალმა. გასულ წელს ისე ცუდი მოსავალი იყო, რომ გლეხობამ ვერ აინაზღაურა გაწეული შრომა. მიმდინარე წელს უფრო მეტი ყურადღება ექცევა აგრონომიულ დახმარების საქმეს. ამ მიზნით გლეხურ მიწებზე მოწყობილია საჩვენებელი ნაკვეთები, რომლის საშუალებით გლეხები ეცნობიან ბამბის მცენარის დამუშავების და მოვლის ტექნიკას.

ს. მ. უ. ს. შეკვეთები

ინგლისში

გუშინ ს. მ. უ. საბჭოში მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ნებადართო ა. კ. ვაჭრობის კომისარიატს დასტოვოს ინგლისში თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის საჭირო მანქანათა შეკვეთები.

ამ რამოდენიმე კვირის წინად ლონდონიდან მიღებული იყო ცნობა, რომ ინგლისელი მრეწველები შუამდგომლობენ, რათა აღნიშნული შეკვეთები დარჩეს მათ, მიუხედავად ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლისა.

საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის მიერ ნებართვის გაცემის გამო, ს. მ. უ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მისცეს მას ლიცენზიები მომავალი საანგარიშო წლის საიმპორტო გეგმის ანგარიშში ინგლისიდან 160.000 მან. ღირებული მანქანების და მათი სათადარიგო ნაწილების შემოსატანად.

ბირლიკში

მატყლისა და ყველის დამზადება

მეცხვარეთა საზოგადოება „ბირლიკმა" დამზადა და ჩააბარა „სოფლის კავშირს" 13.000 ფუთი გაზაფხულის მატყლი. „სოფლის კავშირი"-სთვისვე საზოგადოება ამზადებს 15.000 ფუთ შემოდგომის მატყლს. ამ ჟამად „ბირლიკს" დამზადებული აქვს 1.500 ფუთი თუშური ყველი და წლის დასასრულამდე დაამზადებს სულ 6.000 ფუთამდე. დამზადებული ყველის რეალიზაციას „ბირლიკი" მოახდენს კოოპერაციის ხაზით.

საძოვრები

გარდა იმ საძოვრებისა, რომლებიც საზოგადოებისათვის გადაცემული აქვს საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, საზოგადოებას იჯარით აქვს აღებული 12.064 დესეტინა საძოვარი ბამბაკის, ლორიის და ლენინაკანის რაიონებში, სადაც საზოგადოება ზაფხულობით ინახავს ცხვარს.

სამშენებლო მასალა

მშენებლობის, კერძოთ, საბინაო მშენებლობის გაფართოებას ჩვენში აბრკოლებს სამშენებლო მასალის სიძვირე. ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების მთელი ყურადღება ამჟამად მიპყრობილია სამშენებლო მასალის გასაიაფებელ ღონისძიებისაკენ. სამშენებლო მასალის გაიაფების ერთ-ერთ საშუალებათ ცნობილია სხვადასხვა მასალის დამუშავების სტანდარტიზაცია ე. ი. მუდმივი ზომის, ფორმის, მასალის დაწესება და სხვა.

ამ რამოდენიმე ხნის წინად საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტმა გამოჰყო ტეხნიკური კომისია, რომელსაც დაავალა სამშენებლო მასალის სტანდარტიული ფორმების გამომუშავება. ამჟამად კომისია ამუშავებს ტიპიურ ფანჯრებს, კარებს და ხის მასალის ისეთ სამშენებლო ნაწარმოებთ, რომლების დამზადება მოსახერხებელია საფაბრიკო წესით.

გამომუშავებული სტანდარტიული ფორმები განხილულ და შემოწმებული იქნება სამშენებლო ორგანიზაციების ტეხნიკურ ძალებისაგან შემდგარ საგანგებო კომისიის მიერ, რის შემდეგაც ახალი სტანდარტიული ფორმები გამოყენებული იქნება საბინაო სამშენებლო კოოპერაციის მიერ ახალი სახლების აგების დროს.

მეთამბაქოება

კრედიტების გამოთხოვა მეთამბაქოებისათვის

აჭარისტანში ომამდე თამბაქოს პლანტაციებს ეჭირათ 400 დესეტინა. 1922 წელს თამბაქოს პლანტაციებით დაკავებული მიწის სივრცე უდრიდა 40 დესეტინას.

უკანასკნელ წლებში შექმნილ ხელსაყრელ პირობების გამო თამბაქოს კულტურა კვლავ აღორძინდა და ამჟამად მას უჭირავს მთელს აჭარისტანში 300 დესეტინა.

აჭარისტანის მიწათმოქმედების კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს მომავალი წლისათვის თამბაქოს პლანტაციების სივრცე აიყვანოს ომის წინა დონემდე.

კომისარიატის მიერ სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე უკვე აღძრულია შუამდგომლობა, რომ მომავალში წლისათვის ყოველ დესეტინა თამბაქოს პლანტაციაზე გადადებულ იქნეს კრედიტი 400 მანეთის რაოდენობით.

გარდა ამისა, აღძრულია შუამდგომლობა ნედლი თამბაქოს მექანიკური სახმობის მოწყობის შესახებ. მომავალი წლისათვის 400 დესეტინა თამბაქოს პლანტაციიდან მოსალოდნელია 16 ათასი ფუთი მოსავალი. თამბაქოს თითო ფუთის გახმობა ჯდება ორი მანეთი. ამ ანგარიშით მექანიკური სახმობის მოსაწყობად გამოთხოვილია 32 ათასი მანეთი გრძელ-ვადიანი კრედიტი.

საპონი

4 აგვისტოს საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა თათბირი, 1927-28 წლისთვის საჭირო საპნის რაოდენობის გამოსარკვევათ და მისი დამუშავების მოსაწესრიგებლათ. თათბირს დასწრენ: სარეწაო კოოპერაციის, სახმეღვაჭრობის, ინვალიდთა ნადი „ახალი ივერიის", „ტრუდ-ხიმი"-ს და „საპონტრესტი"-ს წარმომადგენლები. თათბირმა გამოარკვია, თუ რამდენი საპონი მზადდებოდა წინა წლებში საქართველოში და აგრეთვე რამდენი იხარჯებოდა.

ომამდე საქართველოს სხვადასხვა ქარხნები თვიურათ ამზადებდენ 45.000 ფუთ საპონს, ხოლო შემოდიოდა, უმეტეს ნაწილათ ყაზანიდან, თვეში—5.000 ფუთი.

თვით საქართველოში თვიურათ იხარჯებოდა 40.000 ფუთი საპონი, მეზობელ რესპუბლიკებში გადიოდა თვიურად 10.000 ფუთი. 1925-26 წელში საქართველოში დამზადდა 290.000 ფუთი საპონი. შემოიზიდა 60.000 ფუთი.

1926-27 წელში დამზადდა 290.000 ფუთი, შემოიზიდა 25.000 ფუთი. 1926-27 წლის განმავლობაში დამუშავებულ საპნის სიმცირე, გამოწვეულია ამ წელიწადში ნედლი მასალის სიმცირით და მოუგვარებლობით.

თათბირმა საჭიროთ სცნო, რომ საქართველოში დამზადდეს სულ 400.000 ფუთი საპონი. ამ რაოდენობიდან 360.000 ფუთი ნავარაუდევია თვით საქართველოს საჭიროებისათვის, ხოლო 40.000 ფუთი მეზობელ რესპუბლიკებში გასატანად. საპნის ამ რაოდენობის დამზადება თათბირმა განაწილა შემდეგნაირათ: „საპონტრესტი" დაამზადებს—180.000 ფუთს, „სარეწკოოპკავშირი" ათ ქარხანაში 18.000 ფუთს, „გრუზგოსტორგი"—12.000 ფუთს, ინვალიდების ნადი „ახალი ივერია"—15.000 ფუთს, ახალციხის ქარხანა—8.000 ფუთს და ახალქალაქის ქარხანა—5.000. ვინაიდან საქართველოში დამზადებული საპონი გადამეტებით აკმაყოფილებს შინაურ მოთხოვნილებას, საპნის საქართველოში შემოტანა აკრძალული იქნება.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ნუხის ჰიდრო სადგური

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა წინადადება მისცეს ნუხის ჰიდრო-ელექტრო სადგურის სააღმშენებლო კომიტეტს 10 დღის განმავლობაში წარადგინოს ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ტეხნიკურ სააღმშენებლო კომიტეტში ნუხის ჰიდრო-სადგურის პროექტი ხარჯთაღრიცხვით.

ტეხნიკურ კომიტეტს დაევალა პროექტის მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში განიხილოს იგი ტეხნიკური, სახარჯთაღრიცხვო და ეკონომიურის მხრივ და თავისი დასკვნა წარუდგინოს ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

საწარმოო-საცდელი სადგურები

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. შემუშავა პროექტი ცენტრალურ საწარმოო საცდელ სადგურის დაარსების შესახებ საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. შინა-მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის კომიტეტთან.

ა. კ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა შეტანილი იქნეს პროექტში შემდეგი შესწორება:

„უფლება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოებს (მათ რიცხვში აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ს. მ. უ. ს.) მოაწყონ საწარმოო-საცდელი სადგურები. საცდელ-საჩვენებელი დაწესებულებების ქსელით, რომლებსაც დაევალოს საცდელ-საინსტრუქტორო მუშაობის სათანადო რაიონების შინა-მრეწველობის მთავარ დარგებში.

სადგურების საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. მოხსენებაში აღნიშნულ მუშაობასთან ერთად უნდა დაევალოს საცდელი მუშაობის წარმოება ხალიჩების, ქეჩის და შალის ქსოვის დარგებში და ნავთის ამოღების, თიხის ჭურჭლეულობის, დამზადების და საიუველირო საქმეში".

ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას დაევალა აღნიშნული საკითხი შეუთანხმოს სათანადო საკავშირო ორგანოებს.

მ. გ. ინსპექციის უფლებების გაფართოება

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო პროექტი დადგენილებისა მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფლებების გაფართოების შესახებ.

საქ. სახკომსაბჭოში

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან არსებული საგეგმო კომისიის შემადგენლობა

სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სახ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოსთან არსებული სტატისტიკური საგეგმო კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით:

ა. რუხაძე (თავმჯდომარე, ბ. ჩიგოგიძე (მოადგილე), გ. ჩახვაძე (სოც. სტატ. სექც. გამგე), პროფ. გოგიჩაიშვილი (სახ. უნივერ.), ა. ლანდია, ვ. პაპავა, ნ. ნუცუბიძე, ლ. მაჩაბელი, მ. ყორჩაშვილი, ლ. კარბელაშვილი, შ. გომართელი, ვ. თევზაია, მ. ფერაძე, ვ. მანჯგალაძე, შ. შენგელია, პ. გელეიშვილი და ნაზარეტიანი (ჯანსახკომიდან).

საგეგმო კომისიის მოქმედების გაჯანსაღების შესახებ

საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი აღნიშნულ უწყების გაჯანსაღების შესახებ გადაეცა კომისიას ამხ. ბ. გოგიას (თავმჯდომარე), ლ. ზერიას, ვ. ლუნკევიჩის, ა. რუხაძისა და სააკიანის შემადგენლობით.

საქ-ბა წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის შუამდგომლობა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის შუამდგომლობა კინო-თეატრების ბილეთების დანარიცხების მთელი თანხის მის განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

1926—27 წ. პურეულის ბალანსის დამტკიცება

სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მიერ წარმოდგენილი პურეულისა და ფურაჟის 1926—27 წლ. ბალანსი დამტკიცებულ იქნა 54.755 ათ ფ. რაოდენობით.

ექსპედიცია მყინვარზე და იალბუზზე

რამოდენიმე კვირის წინ იალბუზზე ასასვლელად გაემგზავრა მოსკოვის პირველი უნივერსიტეტის მეცნიერული ექსპედიცია **სიმონ ჯაფარიძის** მონაწილეობით. ამ უკანასკნელს განზრახვა ჰქონდა იალბუზის გარდა, მარტო ასულიყო მყინვარზე და ენახა 1925 წელში პროფ. **დიდებულიძის** ხელმძღვანელობით მყინვარზე ასული ექსპედიციის მიერ დადგმული ბუდრუგანა, რომელშიც მოწყობილი იყო შარშან სიმონ ჯაფარიძის მიერვე 70 გრადუსიანი მექანიკური მინიმალური ტერმომეტრი, ვინაიდან 1925 წ. იმავე ბუდრუგანაში დადგმული 50 გრადუსიანი ტერმომეტრი დასული იყო ბოლომდე, რაც სარეკორდო მოვლენა იყო მთელ მსოფლიოში დღემდე მოხდენილ ცდების შორის.

8 აგვისტოს სიმონ ჯაფარიძისაგან **მარიამ ორახელაშვილის** სახელზე მიღებული იქნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „7 აგვისტოს, დღის 11 ნახ. საათზე გამყოლ კაზალიკაშვილთან ერთად სრულიად ახლო გზით მივაღწიე მყინვარწვერს. მიზანი მიღწეულია. დღეს მივემგზავრები იალბუზის ექსპედიციასთან.

სიმონ ჯაფარიძე".

მოსკოვის ექსპედიციას, რომელშიაც სიმონ ჯაფარიძის გარდა მონაწილეობენ **დევი მიქელაძე** და **შალვა ჯაფარიძე**, განზრახვა აქვს უგამყოლოთ ავიდეს იალბუზის დასავლეთის მწვერვალზე, რომელიც 80 მეტრით უფრო მაღალია აღმოსავლეთის მწვერვალზე.

თბილისის სატელეფონო ქსელის მუშაობა

(ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია თბილისის სატელეფონო ქსელის მუშაობა. გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები, რომლებიც უარყოფითად მოქმედობდენ ქსელის მუშაობის ტემპსა და ღირსებაზე. კერძოდ, დამტკიცდა ტელეფონისტ-ქალთა დაბალი კვალიფიციური დონე. გარდა ამისა ტელეფონისტ-ქალთა არსებული შტატი აღმოჩნდა არა მარტო სრულიად საკმარისი, არამედ ზედმეტიც. გამოკვლევამ ყურადღება მიაქცია ტეხნიკური ხასიათის, ადვილად გამოსასწორებელ დეფექტებს, როგორც, მაგალითად, გამომძახებელ სანათების გახურების არათანაბარი ინტენსივობა, სანათების უმიზეზოდ ანთება, ნიშნების არა თავის დროზე აღლება და ჩაქრობა.

ამ დეფექტების გამოუსწორებლობამ ადმინისტრაციის მიერ იმოქმედა, აგრეთვე, ტელეფონისტ-ქალთა მუშაობაზე. გარდა ამისა აღნიშნულია, რომ ხშირად ტელეფონისტი-ქალები არ კმაყოფილდებიან მოკლე პასუხის გაცემით კლიენტის შეკითხვებზე, რაც, რასაკვირველია ადიდებს სადგურის დატვირთვას; ტელეფონისტი-ქალები სისტემატიურად არღვევენ წესებს და ეკამათებიან კლიენტებს იმის მაგიერ, რომ უკანასკნელნი შეუერთონ უფროს ტელეფონისტ-ქალს; ტელეფონისტ-ქალები არღვევენ დისციპლინას, რაც კერძოთ გამოიხატება სამსახურში მოსვლის დაგვიანებაში; უფროსი ტელეფონისტი-ქალები კონტროლს არ უწევენ ტელეფონისტ-ქალების მუშაობას; დაბოლოს, ადმინისტრაცია არ იღებს ზომებს დისციპლინის ასეთი დარღვევის წინააღმდეგ.

გამოკვლევის შედეგად ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიმუშავა სათანადო ზომები, რომლებიც მიმართულია ტელეფონისტ-ქალთა მუშაობის გაუმჯობესებასა და შრომის დისციპლინის ამაღლებისაკენ (ადს).

ახალი წყალსადენი

მას შემდეგ, რაც თბილისის აღმასკომის მიერ ცნობილ იქნა ნატახტარ წყაროების უპირატესობა, ნატახტარის რაიონში გაძლიერებული ტემპით დაიწყო გამოკვლევითი მუშაობა. პირველ რიგში გამორკვეული უნდა იქნეს წყაროების კაპტაჟი და ამ წყაროების ჰიდროლოგიური კავშირი ქსანის წყალსა არაგვასა ნიჩბანის ველზე.

ამასთან ერთად დაიწყება ქალაქის საწყალსადენო ქსელის გადასაკეთებელი პროექტის შედგენა. განზრახულია მოეწყოს წყლის მიწოდების მხოლოდ ორი ზონა. თბილისის მაღლობ ადგილებში წყლის მისაწოდებლად განზრახულია მოეწყოს გადაქაჩვის სისტემა,—ე. ი. მთავარი მაგისტრალი დანაწილებული იქნება შტოებად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფუნიკულიორის ზედა სადგურისათვის წყლის მიწოდებას. მომავალი წლის ბიუჯეტში შეტანილი იქნება ხარჯები დამხმარე მოწყობილობათა მოსაწყობად, მისასვლელი გზების გასაყვანად, სამშენებლო მასალის და იარაღების შესაძენად და სხვა.

ახალი წყალსადენის პროექტი საბოლოოდ დამუშავებული იქნება 1928 წლის აპრილისათვის.

ვენერიული ექსპედიციის

დაბრუნება

გუშინ ბორჩალოს მაზრიდან დაბრუნდა ჯანსახკომის მიერ გაგზავნილი ვენერიული ექსპედიცია, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოეკვლია მაზრის მოსახლეობა ვენერიული სენებით დაავადების მხრივ.

ექსპედიციის მიერ გამოკვლეულ იქნა—სოფ. ბაშკიჩეთი, ყარაბულახი, ახა, ვიაურ-არხი, ყორმიზბულახი; კირხბულახი; ნახიმკლიჩი; აზინინი და მაზრის ფარგლებში მდებარე სამომთაბარეო რაიონები. ექსპედიციის მუშაობამ გამოარკვია, რომ გავრცელებული აზრი, თითქოს ბორჩალოს მაზრა წარმოადგენდეს ვენერიულ სენების ბუდეს—არ აღმოჩნდა სწორი. დაავადებულთა რაოდენობა, გამოკვლევით მიღებული ცნობების თანახმად, არ აღემატება 2—3 პროცენტს, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება წარმოადგენს კარგ ნიადაგს ყოველგვარი გადამდები სენების გავრცელებისათვის (ჭამა საერთო ჭურჭლიდან, ანტისანიტარული პირობები და სხ.).

მეორის მხრივ, ექსპედიციამ გამოკვლეულ სოფლებში აღნიშნა ძლიერი გავრცელება ბუგრისა და ქეცისა [illegible] და სხ. კანის სნეულებების. აღნიშნული სენებით უმთავრესად დაავადებულია არიან ბავშვები, რომელთა რაოდენობა ზოგიერთ სოფლებში ხშირად 50 პროც. აღწევს.

სახალხო ჯანმრთელობა

გურიაში

ამჟამად გურიაში მუშაობს სამი საავადმყოფო, 4 ამბულატორია (გასულ წელს იყო 3), 10 საექიმო პუნქტი (გას. წ. იყო 8); 20 საფერშლო პუნქტი (იყო 17), ერთი სამალარიო-სადგური, ერთი კბილის საექიმო პუნქტი და ერთიც ლაბორატორია. საექიმო პუნქტებში მუშაობს სულ 18 ექიმი, 36 ფერშალი; 17 მეანე ქალი; თვითეულ საექიმო პუნქტზე გურიაში მოდის 4300 მცხოვრები, ხოლო თვითეულ ექიმზე—3600 კაცი.

საერთოდ საექიმო დახმარების პუნქტების რიცხვი გასაბჭოების შემდეგ სამჯერ გაიზარდა. გლეხობას ეძლევა უფასო საექიმო დახმარება, უფასო ამბულატორიული დახმარება ეძლევა აგრეთვე ღარიბებს გლეხობას, როგორც ამბულატორიებში, ისე სახლში. მაზრაში სწარმოებს სისტემატიური—გეგმაშეწონილი სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა; იკითხება პოპულიარული ლექციები, სწარმოებს საუბრები და სხვა.

მაზრაში დიდი ნაკლებობა არის სადოსტაქრო ინსტრუმენტების, რაც დიდათ აბრკოლებს საექიმო პერსონალის ნორმალურ მუშაობას მაზრაში.. გურია განიცდის აგრეთვე ქინაქინის ნაკლებობას.

გაცილებით უკეთეს პირობებში მიმდინარეტი არ განაცხადა ლანჩხუთის მემატდადგენილობს და უკეთ არის ოზურგეთის მაზრაში მოწყობილი წითელი ჯვარის საზოგადოებისაგან მოწყობილი საექიმო და საფერშლო პუნქტები, რომლებიც მოთავსებული არიან ვრცელ, შესაფერ შენობებში და აღჭურვილი არიან სათანადო სამუშაო ინსტრუმენტებით და მედიკამენტებით, მაგ. ნაგომარის საექიმო პუნქტს უჭირავს 8 ოთახი, აქვს სტაციონალიური განყოფილება 4 საწოლით, რაც პუნქტს საშუალებას აძლევს ყოველდღიურად დახმარება გაუწიოს 500-დან—700 ავადმყოფს. ასეთ ხელსაყრელ სამუშაო პირობებს მოკლებული არიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯზე მყოფი საექიმო დაწესებულებათა უმრავლესობა.

თამბაქოს მოსავალი

წელს აჭარისტანის ყველა მაზრებში თამბაქოს პლანტაციების სივრცე საგრძნობლად გადიდებულია. მარტო ქობულეთის მაზრაში ამ სეზონისათვის დათესილია თამბაქო 300 დესეტინამდე. საერთოდ თამბაქოს პლანტაციებს აჭარისტანში კარგი ამინდი დაუდგა. პლანტატორებმა რამდენიმეჯერ გამარგლეს პლანტაციები. მოკლე ხანში დაიწყება თამბაქოს მცენარის ფოთლის პირველი შეკრეფა. პლანტაციების მდგომარეობა საშუალოა. ხოლო ალაგ-ალაგ საშუალოზე მაღალი. შარშანდელთან შედარებით წელს ყველგან უკეთესია. პლანტაციების სივრცის გადიდებისა და ნათესების კარგი მდგომარეობის გამო, წელს აჭარისტანში მოსალოდნელია 20 ათასი ფუთი თამბაქო, შარშან კი მოვიდა 12 ათასი ფუთი.

საქ. ცაკში

— **პენსიების დარიგება.**—სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის გამგემ გუშინ განკარგულება მისცა განყოფილების საფინანსო სექციას განყოფილების მთავარ სამმართველოდან: დამსახურებულ რევოლიუციონერებს, საზოგადო მოღვაწეებს და მათ ოჯახებს დაურიგოს ამ თვის (აგვისტოს) პენსია 7.340 მანეთის 90 კაპეიკის რაოდენობით და ნაწილ-ნაწილად გადასცეს თბილისის საპენსიო განყოფილებას ხუთი (5.000 მ.) ათასი მანეთი ომის და შრომის ინვალიდებისათვის ამავე თვის პენსიების და დახმარების დასარიგებლად.

— **უფასოდ წამლობა და ექიმობა.** ყველა იმ პირებს, რომლებიც ღებულობენ საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებიდან პერსონალურ პენსიებს უფლება აქვთ მინიჭებული ჯანმრთელობის ორგანოებიდან ისარგებლონ უფასო წამლობით და ექიმობით იმ სახით, როგორც სარგებლობენ ყველა ის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მომუშავე პირები, რომლებიც დაზღვეულნი არიან.

— **პენსიები და დახმარებები.** სრ. საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით: სამი თვის განმავლობაში (აპრილში, მაისში, და ივნისში) თავის სპეციალურ საშუალებებიდან ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ დაურიგა პენსიების და დახმარების სახით ინვალიდებს, ქვრივებს, ობლებს, წითელარმიელების ოჯახებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს 7.683 მანეთი და 85 კაპ., ამავე დროს განმავლობაში პენსიების და დახმარებების სახით დაარიგა ფოთის აღმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ 2.070 მანეთი და 12 კაპ. და ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა 1.265 მანეთი.

— **თბილისის მაზრის გლეხკომების მუშაობა—საქმიანობა.** საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით: 1926 წლის 1-ლ თებერვლიდან 1927 წლის 1-ლ ივლისამდე თბილისის მაზრაში მომუშავე გლეხკომებმა ინვალიდებს, წითელარმიელების ოჯახებს და სხვა პირებს დახმარებათ მისცა ფულათ 4.246 მანეთი და 53 კაპ. და ხორბალი 1.229 ფუთი და 30 გირ.; მეურნეობაში მოსახმარათ სესხად მისცა ღარიბ გლეხებს ფულად 23.203 მანეთი და სათესლე ხორბალი 6.206 ფუთი და 25 გირვანქა. ამ დროს განმავლობაში კულტურულ საქმეზე და საზოგადო სამუშაოებზე გლეხკომებმა დახარჯა 7.626 მანეთი და 63 კაპ.

ა.-კ. ვაჭრ. კომისარიატში

შაბიამანი

შაბიამნის მთელი რაოდენობა, რომელიც საჭირო იქნება ამიერ-კავკასიისათვის 1927—28 წელში, განზრახულია შემოტანილი იქნეს „ზაკსელმაშ"-ის საშუალებით. შემოტანილი შაბიამანი განაწილებული იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრების მიერ.

პრესის საქმეთა კომიტეტი

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს პრესის საქმეთა კომიტეტი, რომელსაც უნდა გადაეცეს გამომცემლობათა სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგების ყველა ფუნქციები.

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა უკვე შემუშავა დებულება პრესის საქმეთა კომიტეტის შესახებ; დებულების მიხედვით, კომიტეტს ევალება ყველა იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო წარმოებების საწარმოო და სავაჭრო საქმიანობის მოწესრიგება, რომლებიც აწარმოებენ პერიოდულ და არაპერიოდულ პრესის გამოცემას და გავრცელებას; ამასთანავე კომიტეტს ევალება საკანცელიარიო საქონლის ბაზრის მოწესრიგებაც.

დებულება პრესის საქმეთა კომიტეტის შესახებ უკვე დამტკიცებულია ა.-კ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებული სხდომის მიერ.

ამჟამად ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის საშტატო კომისიის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა პრესის საქმეთა კომიტეტის შტატის დამტკიცების შესახებ.

ამხ. თამარ ნიკოლაიშვილის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს სამი მანეთი ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: აქსენტი ნოდიას, ვიქტორ გურგენიძეს, აკაკი ჭკადუას, დავით კიღუას, ევგენი ქორიძეს, ვასილი კუდინოვს, ლუკიანე დგებუაძეს, შალვა იმედაძეს, ვარლამ ღლონტს კირილე გოგიას, ლეო იოსელიანს და გრიშა შონიას; სამტრედიიდან: გარსევან ჯანჯღავას, ბესარიონ დუნდუას, ალექსანდრე (საშა) მგალობლიშვილს და კლიმენტი კახიანს, ქუთაისიდან—შალიკო ჭანტურიას, თბილისიდან—საბა ხუციშვილს, მამია გეგელიას და ალექსანდრე ტაბიძეს.

იასონ არსენისძე ნიკოლაიშვილი

—

ილისა (საშა) ფხაკაძეს გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხ. ნიკიფორე ოგბაიძეს; ლადო ზაალიშვილს; გიორგი ალექსანდრესძე ბურდულს; იაგორ ბურდულს; იოსებ გიგოსძე ბურდულს; კოლა დიმიტრისძე ბურდულს; ვანო გულაშვილს; ლადო კაიშაურს; გაბო ზანდუკელს; მოსე ბუჩუკურს; გიორგი გულმაგარიშვილს; ერეკლე ნაზღაიძეს; სოლომონ კაიშაურს; ალექსი ნაცვლიშვილს.

პანო ბურდული.

—

თანახმად ამხ. სოლომონ გელაშვილის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ანდრო კავსაძეს; ზაქრო ხარიძეს; ხანდრო გოგიჩაიშვილს; კოლა დარსაველიძეს; ვახო ბითაძეს; გიგა ლონლაძეს; შალიკო კურტანიძეს; გიორგი მესხიძეს; რასულ ხალილ ოღლი გაგნიძეს; მიტუშა კალაიჯევს; კოლია მგალობლიშვილს და ვარლამ ხუნტაძეს.

ვალოდია მუმლაძე

—

„თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს სამი მანეთი.

ქეთო. სპირდ. ასული ხაჟალია.

—

ამხ. შალიკო მოდებაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგები ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქიათურიდან—ბიტოლი ლეჟავას; ანეტა ჩიხლაძეს; სავლე ჩიხლაძეს; სახ. მოსამართლეს გ. კიკნაძეს; ნ. პაპიძეს; მუშკოოპიდან ზ. სოფრომაძეს; დ. მელქაძეს; გოგუცა ლეჟავას; სამპარტკომიდან—მ. ზრეგვაძეს; „საზოგადოება იმერეთიდან" გ. ზრეგვაძეს, კაცხიდან—ფინ მომუშავეს ვ. ლ. მოდებაძეს; პუნქტის გამგეს—გ. შარაშენიძეს; ქვაცხის კოოპერატივიდან—ვანიჩკა ყიფშიძეს; მასწავლებელ შუშანა ლოლაბერიძეს; და სამკითხველოს გამგეს პ. ფოჩხიძეს.

დავით ივ. მოდებაძე.

—

ბიქტორ ბაკურიას გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სენაკიდან—აკაკი დგებუაძეს; მიხა ჯანელიძეს; ვალიკო ეჯიბაიას; ნესტორ ადამიას; ზანძიდან—ილარიონ თემურაზისძე გაბუნიას; პორფილე გაბუნიას; ლუბა კერზაიას; ლეხაინდრაოდან—ბესა ნაჭყებიას; ზოსი ჯელიას; პეტრე ჯღარკავას; მიხა მიქაიას; ლიდია სარდიონის ასული გეგეჭკორს.

ილარიონ თულაძე.

—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ სახდაზღვევის აგენტებს: 1) ქუთაისის; 2) ფოთის; 3) ზესტაფონის; 4) ხაშურის; 5) ქარელის; 6) გორის; 7) დუშეთის; 8) თბილისის; 9) სართიჭალის; 10) სიღნაღის; 11) გურჯაანის; 12) თელავის; 13) ახალციხის; 14) ახალქალაქის და 15) ცხინვალის.

სახ. დაზღვევის სამტრედია-ხონის აგენტი.

—

ამხ. ტელიჩკოს გამოწვევით შემომაქვს ჰაეროპლან „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდში სამი მანეთი.

ვარლამ დიმიტრის ძე კაკაბაძე.

—

გ.-ქ. სართიჭალის თემის მშრომელ გლეხობას ქალაქის მუშებთან ერთად თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემოგვაქვს თავისუფალი შეწირულებანი:

სოფ. ხაშმს	44 მან.	10 კაპ.
„ როზენფელდს	36 მან.	30
„ სართიჭალს	17 „	70
„ უჯარმას	14 „	42
„ მალხაზოვკას	10 „	20
„ მუღანლოს	7 „	——
მუხროვანის ცხენთაშენის და გლაუბეროვის მარილის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს	8 მან.	10 კაპ.
ს უ ლ	187 მან.	05 კაპ.

სართიჭალის თემის მშრომელთა დავალებით: თემპარტკომის პ. მ. მდივანი **ზერძენიშვილი.**

—:—

ამხ. ნიკო სურგულაძის გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მიხა ნაჭყებიას, თ. თოდუას, დიმიტრი ლურწკაიას, ივანე ესაიას, ნესტორ ბარამიას, გრიშა ჟვანიას და ამბაკო ოკუჯავას.

ერმილე ოკუჯავა.

—

შორაპნის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ს. ცუცქირიძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ი. დევიძეს, კ. ჭანტურიძეს, მ. შერგილაშვილს, პ. ღვალაძეს, კ. ახვლედიანს, ვ. დემეტრაძეს, დ. რამიშვილს, კ. გოგხაძეს. ქვაცისის და კიცხის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის გამგეებს—ს. ულენტს და ს. სვანიძეს.

აგრ. ვარლამ ჯაფარიძე.

—

შემოგვაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად „ვეფხვის ტყაოსნის" გმირის ტარიელის ლიტ. გასამართლებაზე შემოსული წმინდა შემოსავალი თორმეტი მანეთი და ვიწვევთ დიღომისა და ავჭალის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს.

დუშეთში არსებულ თბილისის ბავშთა ახალშენის და სოფლის ახალგაზ. სკოლის მე-7 სალიკვიდაციო ჯგუფის მინდობილობით მასწავლებელი **შალვა ლორთქიფანიძე.**

—

პარმენ ევუტიას გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ხეთიდან—ლ. გოგიას, ი. ბუკიას, ა. ესებუას, კ. ბუკიას, ვ. კუტალიას, პ. ხუბუტიას. ზუგდიდიდან—ბ. შონიას, რ. გვახარიას, მ. ესართიას, კ. შონიას, ბ. ჩაჩიბაიას. ფოთიდან—ვლადიმერ ჭკუასელს, კ. წურწუმიას, პოლია გაბისონიას, ლ. ოდიშარიას, გ. მეუნარგიას, ვ. კუხალეიშვილს, ბ. ბუკიას, კ. ბუკიას, ამხ. ბუკიას. ხორგიდან კ. ბერაიას, ალ. მურღულიას, პილა მირცხულავას, ლ. ჩიქოვანს, ამხ. ჯოჯუას.

ფილიპე ბუკია.

—:—

თანახმად ამხ. ილიკო ბუტიაშვილის გამოწვევისა, შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლეონიდე ნაცვალოვს, ივანე მერაბოვს, ვართან არუთინოვს, ალექსანდრე პიტულკას, მიშა ბარინოვს, ნინა ანტონოვს, მარო აბაშიძეს, გიორგი სერგეევს, ნიკა ზარხოშაშვილს, მიხეილ ქუბიაშვილს, ბაგრატ მარქაროვს, ესტატე ქვრივიშვილს, კონსტანტინე ნუცუზარალიშვილს, ვანო ტოგონიძეს, გიორგი ძელაშვილს, ნიკოლოზ ხიდაშელს, ნიკოლოზ დადიანიძეს, გიორგი ნეკერაშვილს და ვანიჩკა შარგაძეს.

კონსტანტინე ხანიშვილი.

—:—

ვალიკო გიგაურის გამოწვევით „თბილისის პროლეტარიატის ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნიკოლოზ აფხაიძეს, ვალოდია კახიანს, ნოე თევზაძეს, ერასტი სანებლიძეს, კლემენტი აბულაძეს, ვასილ მეძმარიაშვილს, ვასო ჯიბლაძეს, ვასილ ჭეიშვილს, გიორგი ხარაბაძეს, ბათლომე ფხაკაძეს, ვალიკო დარახველიძეს, პავლე ჭელიძეს, დათიკო ფხაკაძეს, ვანო ჭეიშვილს, ბესარიონ ბარათაშვილს, ვასილ არღანაშვილს, სესია სინატაშვილს, კოლია მელაძეს, მიხეილ ფანცხავას, სავლე ჭეიშვილს, პავლე გოგოლაშვილს, კოსტა მინდიაშვილს, ლავრენტი თედორაძეს, ნოე ლეჟავიშვილს, არტემ კარაპეტიანს.

ვარდენ ლოსაბერიძე.

—:—

შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად 3 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლანჩხუთიდან—იაკინთე კალანდარაშვილს, მიხაკო იმნაძეს, ვენიკო ბარამიძეს, ივანე კალანდაძეს, ბენია მოისრაფიშვილს, პროკოფი ბარამიძეს, ირაკლი ხოფერიას, ვასო იბრალიძეს, ოლღა წილოსანს, ტატიანა ჩხაიძეს, ქალთა განყ. ინსტრუქტორ ლომაძეს, ტასო იმნაძეს, იოსებ ბარამიძეს, პოლიკტორ იმნაძეს, მარია იმნაძეს, გიორგი ფაცურიას, ვანიჩკა მახარაძეს, პარმენ ცინცაძეს, იასონ გ-ძე ჯორბენაძეს, ბიქტორ ლომაძეს, ირაკლი კუკულაძეს, გიორგი ერქომაიშვილს, აკაკი მენაღარიშვილს, აკაკი ჩაჩავას, კონსტანტინე ცინცაძეს, აპოლო ხოფერიას, გიორგი თოხაძეს, ლიდა ჩხაიძეს, ივლო ცინცაძეს, სერო იმნაძეს, სკოლის გამგე ჭყონიას, სიმონ ჩოჩიას, გრიგოლ ფირცხელაიშვილს, კოლია ორაგველიძეს, საშა ურუშაძეს, ლავრენტი კუკულაძეს. თბილისიდან (ცეკავშირი)—ილაროვი, ჩელინგირიტი, ხვიჩია, თოხაძე, მახარაძე, ანზილევიჩი, სანადირაძე, ლატარია, დავითაია, ნიკოლაიშვილი, ტაბატაძე, ბარკალაია, ნაფეტვარიძე, გეგეჭკორი, ახობაძე, ბალანჩივაძე. ხეთიდან—ბუკიას, ა. ნაჭყებიას, ვ. გვასალიას.

ისაკი ივანეს ძე ტუღუში.

—:—

სულ დღეს შემოვიდა 195 მან. 05 კაპ. წინანდელ შემოსულთან ერთად 6.466 მ. 82 კაპ.

თავდაცვა-ავიაქიმის

საქალაქო კონფერენცია

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების თბილისის პირველი საერთო საქალაქო კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო ათ აგვისტოსათვის, გადატანილია თერთმეტისათვის.

კონფერენცია გაიხსნება ცენტრალურ მუშათა კლუბში საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგში სდგას: ამხ. ლევანდოვსკის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანების შესახებ, ამხ. ლ. აბაშიძის მოხსენება—საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის შესახებ და მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის რაიონულ საბჭოების მუშაობაზე.

1-ლი რაისაბჭოს კონფერენცია

გუშინ პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში გაიხსნა თავდაცვა-ავიაქიმის პირველ რაიონის უჯრედების ბიუროების და აქტივის გაერთიანებული კონფერენცია.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა წივწივაძე, აკოპოვი, ყვანია, გეგეშიძე, ბარბაქაძე; კოვალსკი; ლებრიშვილი და სტეპანოვი. დღის წესრიგში დასმული იყო: რაისაბჭოს მოხსენება თავდაცვის კვირეულის შესახებ და თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო კონფერენციის დელეგატების არჩევა.

რაისაბჭოს სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ჟორჟოლაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ თავდაცვა-ავიაქიმი—მოქალაქეთა თავისუფალი ორგანიზაცია—მოწოდებულია დასდგეს საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე და გააძლიეროს პროლეტარული სახელმწიფოს თავდაცვა. ამ ორგანიზაციისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა თავდაცვის კვირეულის დროს და მის შემდეგ. უჯრედებში ჩატარებულია დიდი მუშაობა. ყოველ კვირეულთა იმართება მოხსენება-ლექციები კლუბებში, კლუბებთან დაარსდა მრავალი წრეები: სამხედრო, სასროლო, პირველ დახმარების, სამხედრო ქიმიის შესასწავლი და სხვა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჩემინოვმა და სტეპანოვმა. მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია. დასასრულ არჩეულ იქნა დელეგატები საქალაქო კონფერენციაზე.

ახალი ხიდები

ხიდი მდ. ხანის წყალზე

ივლისის შუა რიცხვებში დამთავრდა მუშაობა ახალი ხიდის ასაგებად მდ. ხანის წყალზე, ხიდი აგებულია სოფელ დიდველში (ბაღდადის რაიონი, ქუთაისის მაზრა), ამ ახალი ხიდით ზესტაფ-ქუთაისის გზატკეცილს უკავშირდება 5 დიდი თემი, მათ შორის დიმ-როკითის, ობჩის და სვირის თემები.

ხიდი აგებულია ადგილობრივ გლეხობის ძალით.

ხიდი მდ. ბჟუჯზე

ამჟამად სწარმოებს მუშაობა ხიდის ასაგებად მდ. ბჟუჯზე (ოზურგეთის მაზრაში) ხიდი შენდება სწორედ იმ ალაგას, სადაც მდ. ბჟუჯი ერთვის მდ. აჭარის-წყალს. ოზურგეთის აღმასკომმა სამუშაოებისათვის გადასდო ორი ათასი მანეთი. ბჟუჯის ხიდით განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ოზურგეთის და მაყვანეთის თემების გლეხობა, რომელმაც დაადგინა თვითდაბეგვრის წესით ხიდის ასაგებად შეაგროვოს ორი ათასი მანეთი.

რკინის გზებზე

ამხ. ამოსოვი თბილისში

დღეს თბილისში მოელიან რკინისგზელთა ცენტრალურ კომიტეტის წევრს ამხ. ამოსოვს.

1.822.000 მანეთი

საერთოდ შემოდგომის პერიოდში ა. კ. რკინის გზების მუშაობა ტვირთების გადაზიდვის მხრივ თვალსაჩინოდ იზრდება.

ამისათვის საჭირო მუშაობის ჩასატარებლად გზათა კომისარიატმა ა. კ. რკინის გზებისათვის გადასდო—1.822.000 მან.

აქედან—1.322.000 მანეთი დაიხარჯება მეორე ლიანდაგის დაგებაზე.

რკინის გზის ახალი წესდება

თბილისში მიღებულ ცნობის თანახმად, საკავშირო სახკომსაბჭოს დაუმტკიცებია საბჭოთა კავშირის რკინის გზების ახალი წესდება.

ახალ წესდებაში, რკინის გზის ტრანსპორტის და მისი კლიენტურის ინტერესები უკეთ არის განმარტებული, ვინემ 1.885 და 1922 წლების წესდებაში.

ახალი წესდება ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების ტვირთებს ანიჭებს უპირატესობას.

ამჟამად თავდება წესდების დამუშავება და იგი ძალაში შევა ა. წ. 1 ოქტომბრიდან.

თათბირი მოსკოვში

22 აგვისტოს მოსკოვში გზათა კომისარიატის მიერ მოწვეულია ს. მ. უ. საბჭოს და რკინის გზის წარმომადგენლების თათბირი. თათბირის მიზანია ანგარიშწარმოების და აღრიცხვის საქმის ახალი ფორმების განხილვა.

თათბირი გასტანს ათ დღის.

საქართველოს სამხ. გზაზე

1 და მე-2 კილომეტრზე

საქართველოს სამხედრო გზატკეცილი პირველ და მეორე კილომეტრზე საგრძნობლად დააზიანა შარშანდელმა ნიაღვრებმა. წყლის მიერ გზა დარღვეულ იქნა. ეს დარღვეული ადგილები შარშან დროებით ამოავსეს და მოძრაობა შეუფერხებლად სწარმოებს. მაგრამ მოსალოდნელია მისი კვლავ გაფუჭება, რადგან წვიმების დროს საბურთალოს ველზე დაგროვილი წყალი აწვება გზას ამ ადგილებში.

რათა გზის ხელმეორედ გაფუჭება თავიდან იქნეს სამუდამოდ აცილებული, ამჟამად იქ სწარმოებს ბეტონის საფეხურების (ბარაჟები) და ღარების შენება. ამით საბურთალოდან ჩამოსული წყალი ვეღარავითარ ზიანს ვერ მიაყენებს გზას და გადავა მტკვარში.

ამასთანავე მეორე კილომეტრზე შენდება შვიდ დანიანი რკინა-ბეტონის ხიდი და არხი წყლის მტკვარში გადასაყვანად.

არხს აშენებს თბილისის აღმასკომი, ხოლო ყველა დანარჩენ სამუშაოებს აწარმოებს გზატკეცილთა სამმართველო.

მუშაობა დამთავრდება ერთ თვეში.

საბარჯენი კედლები

მე-61 და მე-116 კილომეტრზე სწარმოებს საბარჯენი კედლების შენება.

წინასწარ სამუშაოებს უკვე შეუდგენ; საერთოდ მუშაობა დამთავრდება 20 დღეში.

ლამი

უკანასკნელმა ნიაღვრებმა ანანურ-ფასანაურის და ფასანაურ-მლეთის შუა საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე ოთხ ადგილას გამოიტანა დიდძალი ლამი. გზატკეცილზე მიმოსვლა შეუძლებელია და გზის გაწმენდამდე მოძრაობა სწარმოებს მოსავლელი გზით.

ამჟამად ორ ადგილას გზა გაწმენდილია და მოძრაობა პირდაპირი გზით სწარმოებს.

მიმდინარეობს მუშაობა გზატკეცილის გასაწმენდად.

ქრონიკა

ამხ. აიტაკოვი თბილისში

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ცაკის თავმჯდომარე და თურქმენისტანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. აიტაკოვი.

სპარსეთის ბაქოელი კონსულის ჩამოსვლა

გუშინ საღამოს ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის გენერალური კონსული აზერბეიჯანში ბ. ესკანდიარი მირზა ასადულა ხანი.

შოფერების საყურადღებოდ

საქართველოს სამხედრო გზაზე ანანურ-დუშეთის აღმართზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა გზის გასატკეპნად. მუშაობს სატკეპნი მანქანა. ამასთანავე მუშაობენ გლეხები ურმებით და ცხენებით.

ამ ადგილას გზა ძალიან ვიწროა.

საქართველოს სამხედრო გზატკეცილის თბილის-ფასანაურის დისტანცია მიაქცევს რა გზაზე მომუშავე შოფერების ყურადღებას ამ გარემოებას, წინადადებას აძლევს მათ ამ ადგილებში გაიარონ ძალიან ნელა და ფრთხილად. (ხშირი სიგნალების მიცემით).

მოსახლეობის საყურადღებოდ

ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების კომენდანტის სამმართველო აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ დღეიდან 20 აგვისტომდე კუკიისა და ავლაბრის ტბების მიდამოებში ყოველდღე იწარმოებს ხელის ყუმბარების სროლა და სროლა აეროპლანებიდან.

შეკვეთების მიღება

ს. მ. უ. ს. სახელზე ოდესის დიდი სახალხო ბიბლიოთეკიდან მოვიდა შეკვეთა 300 ცალი სკამის დამზადებაზე ს. მ. უ. ს. გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკებში.

საცივარის საქმეთა კომიტეტის პლენუმი

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ საცივარის საქმეთა ა. კ. კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე, განხილული იქნა საკითხი საცივარის საქმეთა ამიერ-კავკასიის კომიტეტის ხარჯთაღრიცხვის შესახებ. პლენუმმა გამოყო კომისია ამხ. **ბობინისის, ტერ-მიქაელიანის** და **ნეპრინცევის** შემადგენლობით, რომელსაც დაევალა კომიტეტის ხარჯთაღრიცხვის გადამუშავება.

ქარხნის აგების დაწყება

14 აგვისტოს სოფ. ბეჟანოში (ახალქალაქის მაზრა) მოხდება რძის ნაწარმოების გადასამუშავებელი ქარხნის საფუძვლის ჩაყრა. ქარხნის აგება განზრახულია დამთავრდეს მომავალ შემოდგომაზე. ქარხანა ყოველწლიურად გადაამუშავებს 50.000 ფუთ რძეს.

ტელეფონის ახალი ქსელი

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის ცნობით, ახლო მომავალში დაიწყება ოზურგეთის ტელეფონის ხაზის შეერთება ბათომ-თბილისის მოსკოვის ტელეფონის ქსელთან. ოზურგეთის აღმასკომმა ამ საქმისათვის ქალაქის მხრივ გადასდო 2000 მან.

გზების გაყვანა სვანეთში

ამიერ-კავკასიის გზატკეცილების სამმართველოს ცნობით მიმდინარე წელს სვანეთში გაყვანილი იქნება ახალი გზები 127 კილომეტრის მანძილზე.

შუშეულობის ახალი ქარხანა

ს. მ. უ. ს. ქიმიო-ტეხნიკურმა ლაბორატორიამ დაამთავრა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღმოჩენილ შუშეულობის დასამზადებელ ნედლი მასალის (ქვიშა) ანალიზი. სულ განხილული იყო ოთხი ნომერი—ქუთაისის, ლაშეს, სურამის და ბორჯომის რაიონებიდან.

ანალიზებმა გამოარკვია, რომ შუშეულობის დასამზადებლად საუკეთესო ნედლ მასალას წარმოადგენს ლაშის ხარაგოულის რაიონიდან წამოღებული ნიმუში.

ახლო ხანში განზრახულია ლაშეში გაიგზავნოს კომისია ქვიშის ბუდობების დასათვალიერებლად.

დიმ-როკითის არხი

მუშაობა დიმ-როკითის არხის გასაყვანად წარმატებით მიმდინარეობს. მთავარი სამუშაოები შესრულებულია არხის საზეიმო გახსნა მოხდება ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე.

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალსადენი მაზრაში.** მაზრის უწყლო სოფლებში წყალსადენის გასაყვანად აღმასკომმა გადასდო 25.000 მან.

◆ **მტკვარის გამოკვლევა.** სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტი ამჟამად აწარმოებს მტკვარის თვისების გამოკვლევას.

◆ **ახალი ხიდი.** მაიდანში მტკვარზე ახალი ხიდის მოსაწყობად აღმასკომმა გადასდო 160.000 მან.

◆ **წყალსადენი გარე უბანში.** წყალსადენის სამართველოს ამჟამად საბურთალოში გაყავს წყალსადენის ახალი მაგისტრალი ორი ვერსის მანძილზე.

◆ **საბავშვო სახლები.** მაზრაში არსებულ საბავშვო სახლების გასაფართოებლად და შესაკეთებლად გადადებულია 70.000 მან.

◆ **მანგლისის წყალსადენის** შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო 20.000 მან.

განათლების კომისარიატში

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში** სომხეთს დაეთმო 38 ადგილი.

◆ **10.000 მასწავლებელი.** უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში წინასწარი გამოანგარიშებით საჭირო იქნება 10.000 ახალი მასწავლებელი.

◆ **კურსები.** მომავალ სასწავლო წლიდან თბილისში გაიხსნება სტატისტიკურ ეკონომიური კურსები.

◆ **პედაგოგიურ ფაკულტეტზე.** სახალხო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე წელს მიღებული იქნება 250 მსმენელი.

სოცდაზღვევის კომიტეტში

◆ **დახმარება.** პირველ სექტემბრიდან ძალაში შევა სოცდაზღვევის კომიტეტის მიერ გამომუშავებული პენსიების და სხვა დახმარებების ახალი ნორმები.

◆ **პლენუმი.** 15 სექტემბერს შესდგება სოცდაზღვევის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.

შრომის კომისარიატში

◆ **წარმოება-დაწესებულებებში** ახალგაზრდა უმუშევარ ქალების ჩასაბმელად შრომის კომისარიატმა, გამოიმუშავა ცალკე გეგმა.

◆ **ჭრა-კერვის სახელოსნო.** შრომის კომისარიატთან არსებულმა ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიამ გადასწყვიტა გააფართოვოს ჭრა-კერვის სახელოსნო მასში უმუშევარ ქალების ჩაბმის მიზნით.

ჯანსახკომში

◆ **ამბულატორიები.** ამჟამად თბილისში არსებობს 37 ამბულატორია.

◆ **დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების** აღმოჩენის გაუმჯობესების მიზნით რაიონულ ამბულატორიებთან ეწყობა სპეციალური სამკურნალო კაბინეტი.

ცეკავშირში

◆ **თამბაქო.** ცეკავშირს განზრახული აქვს მიმდინარე წელს დაამზადოს 42.000 ფუთი თამბაქო.

◆ **თხილი.** საზღვარგარეთ გასატანად ცეკავშირი ოზურგეთის და ქუთაისის მაზრებში ამზადებს 37.000 ფუთ თხილს.

სხვადასხვა

◆ **გამოფენა.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში გაიხსნა ჭრა-კერვის სახელოსნოს ნაწარმოებთა გამოფენა.

◆ **ზაჰესის ტბა.** გადაეცა ყველა პროფკავშირებისაგან შემდგარ სპეციალურ კომისიას. ტბასთან სხვადასხვა სასპორტო პუნქტების მოსაწყობად გადადებულია 10.000 მან.

◆ **ტყე.** სატყეო ტრესტი მიმდინარე საანგარიშო წლის მეორე ნახევარში საზღვარგარეთ გასატანად ამზადებს 2.932.500 მანეთის სატყეო მასალას.

◆ **მუნიციპალური მუზეუმი.** გაიხსნება 16 აგვისტოს.

ხელოვნება

სავალდებულო მინიმუმი აკადემიის სტუდენტებისათვის

სავალდებულო მინიმუმის ჩაბარების ვადათ აკადემიის ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დანიშნულია ერთი თვე, 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. აკადემიის სტუდენტები რომელნიც სავალდებულო მინიმუმს არ ჩააბარებენ, გამორიცხული იქნებიან აკადემიიდან.

◆ **სასულე ორკესტრის კონცერტი.** დღეს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება სასულე ორკესტრის დიდი კონცერტი.

◆ **პირველ საინვალიდო სახლში** კვირას 14 აგვისტოს გაიმართება უფასო კონცერტი-საღამო ინვალიდების მონაწილეობით. საღამოს ხელმძღვანელობს მსახიობი-ინვალიდები ალ. თუმანიშვილი.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** დღეს მედსანშრომის კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი კარდაშევის ხელმძღვანელობით.

— **პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოში.** პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოს—სარეპერტუარო კომისიამ მიიღო მომავალ სეზონში დასადგმელად შემდეგი პიესები: 1) „მეამბოხენი"—ი. ვაკელის, 2) „კირიმში"—(სამეგრელოს ცხოვრებიდან) პ. ბალათურიას, 3) „ღმერთები" (თარგმანი ა. ბ-სი), 4) „არსენა ოძელაშვილი"—შ. დადიანის, 5) „ნიაღვარი"—დ. ვ-სი და 6) „განთიადი" (სალიტერატურო საღამოებზე დასადგმელად)—გ. ნადიაშვილის.

— **„როგორ გაჩნდა ღვდელი და დიაკვანი".** გამოვიდა და იყიდება **ივანიკას** იუმორისტულ მოთხრობების კრებული „როგორ გაჩნდა ღვდელი და დიაკვანი".

დღეს კინოებში

— დარბაზი—„ბოროტმოქმედების დალი".
— პალასი—„ნელი მანხატანიდან".
— აპოლოში—„ოკეანეს მონები".
— ეთერში—„ქალაქის ხმაზე".
— მინიონში—„გარიყული გემი".

შემთხვევები

ცოფიანი ძაღლის მიერ დაკბენილთა მდგომარეობა

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვსწერდით, მესამე სამილიციო რაიონში ცოფიანი ძაღლის მიერ დაკბენილ იქნა 7 კაცი.

დაკბენილთაგან მძიმედ დაშავებული აღმოჩნდენ: მილიციელი **ივანე ჭანტურია** და **სოლომონ ნაჭყეპია** და მოქ. **ბრიგოლ აფანასიევი**. სამივე მოთავსებულია საავადმყოფოში. დანარჩენები საექიმო დახმარებას ღებულობენ პასტერის სადგურში.

დაჭრა

გუშინ საღამოს **სიმონ ავაკიანცმა** დანით დასჭრა **თამარა სავიცკაია** (მალაკნის ქ. № 41).

დაჭრის მიზეზი გამოურკვეველია. ბოროტმოქმედი დააპატიმრეს.

* * *

◆ **სავაჭროს გაქურდვა.** რვა აგვისტოს კარების შემტვრევის საშუალებით გაქურდეს „აიგიუსკოოპის" სავაჭრო.

◆ **ბოტანიკურ ბაღში.** გაქურდეს ზენია ბერბერაშვილის ბინა. ქურდი ოგანეზ ტანიევი შეიპყრეს.

◆ **შეპყრობა.** რვა აგვისტოს შეიპყრეს ივანე სიმონისძე გეგენავა, რომელმაც გაქურდა მოქ. გაგრომანოვის ტანისამოსის სამკერვალო და წაიღო 600 მ. შეკერილი და შეუკერავი მატერიები.

◆ **კარების შემტვრევის** საშუალებით რვა აგვისტოს გაქურდეს პუშკინის ქუჩაზე მდებარე სასადილო „სიმპატია".

◆ **თავის მოწამვლა.** რვა აგვისტოს მიხეილ ვასილისძე მპანემა მოიწამლა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ქურდის შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა **ივანე გეგენავა**. გეგენავას ბრალდება ქურდობა.

სასამართლო

მილიციელ გ. ლორთქიფანიძის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **პ. ბურკაძის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **გელაძის** და **რუსიშვილის** და მდივან **ფ. გოგისაშვილის** მონაწილეობით გაირჩა **გ. ლორთქიფანიძის** საქმე.

ლორთქიფანიძე ირიცხებოდა საგარეჯოს სამილიციო რაიონის უფროს თანამშრომლად.

ა. წ. 25 თებერვალს, ბრალდებული ამხანაგებთან ერთად შევიდა საქეიფოთ მოქ. **მეიფარიანის** სამიკიტნოში. მეგობრებმა დილამდე განაგრძეს ქეიფი. ქეიფის გათავებისას მეიფარიანმა მოსთხოვა მათ ანგარიშების გასწორება. მოქეიფეებმა ფულის გადახდა მოინდომეს „გერმანული" ანგარიშით. ლორთქიფანიძემ ამაზე უარი განაცხადა. მეიფარიანს კი უთხრა:

— „ნახარჯი ჩემზე იყოს და ხვალვე შემოგატან ფულსო".

მეიფარიანმა უპასუხა:

— „თქვენზე ისედაც ირიცხება ვალი და ვერ დაგაწერ ახალსო. მიეცი უფლება ამხანაგებს, რომ გადაიხადონ ფულიო".

ლორთქიფანიძემ „შეურაცხყოფილად" იგრძნო თავი და სილა გააწნა მეიფარიანს.

ხმაურობაზე მიცვივდნენ ადგილობრივი გლეხები და დააპატიმრეს ლორთქიფანიძე.

სასამართლომ ლორთქიფანიძე დამნაშავედ სცნო ხელისუფლების პრესტიჟის დაცემაში, რისთვისაც მიუსაჯა მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლორთქიფანიძეს აეკრძალა აგრეთვე ადმინისტრატიულ დარგში მუშაობა 3 წლით.

ბორჩალოელი „კოოპერატორი"

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ი. ბერიშვილის** თავმჯდომარეობით სახალხო მსაჯულების: **ურიგაშვილის** და **სალამაშვილის**, პროკურორ **ლ. ჯანჯღავას** და მდივან **სებუას** მონაწილეობით დაიწყო სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობის „[illegible]" გამგეობის ყოფილ თავმჯდომარის **ჰუსეინ ახუნდოვის** და **ტიგრან მელიუმიანცის** საქმის გარჩევა.

ახუნდოვი თვით იცავს თავს, ხოლო მელიუმიანცს კი — დამცველთა კოლეგიის წევრი **თუშმალაშვილი**.

გუშინ დაკითხულ იქნა ბრალდებული ახუნდოვი. იგი თავს სცნობს დამნაშავედ 2.500 მანეთის გაფლანგვაში, ხოლო 5.158 მანეთის საბუთები მას „დაეკარგა".

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე— ბრალდებული აცხადებს, რომ ის კისრულობს პასუხისმგებლობას.

ბრალდებული მელიუმიანცი არ სცნობს თავს დამნაშავედ 113 მანეთის გაფლანგვაში.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

დღეს უკანასკნელი სიტყვა მიეცემა ბრალდებულებს და გამოტანილი იქნება განაჩენი.

სალაროსთან „დგომის" მოყვარულნი

სახელმწიფო ბანკში ყოველდღე დადიოდა ორი ახალგაზრდა: **გ. ალექსეევი** და **ე. კოზისი**.

ისინი სულ ერთად იყვნენ. კოზისი ჩვეულებრივ გარს უტრიალებდა სალაროს და თვალს არ აშორებდა სალაროსთან მდგომ ხალხის ჯიბეებს. ჩაალოცებდა ხელს ვინმეს ჯიბეში და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდებოდა.

ერთ დღეს მოქ. კალაშოვი იდგა სახელმწიფო ბანკის სალაროსთან. უეცრად ცხვირსახოცი მოუნდა და ხელი ჯიბისაკენ წაიღო. ჯიბეში ვილაცას თითები მოხვდა ხელში.

კალაშოვმა ჩაავლო ხელი ხელს და მიაშტერდა ალექსეევს.

— რას უშვებით ჩემს ხელს,—დაიყვირა გაწარებულმა ალექსეევმა.

— თქვენს ხელს ჩემს ჯიბეში რა უნდოდა?—ეკითხება კალაშოვი.

— გარწმუნებთ, სულ შემთხვევით ჩამივარდა ხელი. ჩემი ჯიბე მეგონა.

ალექსეევი და კოზისი დააპატიმრეს და მისცეს პასუხისგებაში.

საქმე მალე გაირჩევა სასამართლოში.

ჯ.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 10 აგვისტო

დღეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

კომკავშირელთა გაზეთი — ქართულ ენაზე (7—7-20).

საუბარი რადიო - ტეხნიკაზე — ქართულ ენაზე (7-20—7-40).

სამხედრო მუშაობა ქალთა შორის — რუსულ ენაზე (7-40—8).

თავდაცვის ამოცანები და სამომხმარებლო კოოპერაცია — რუსულ ენაზე (8—8-20).

ამიერ - კავკასიის დეპეშათ სააგენტოს ინფორმაცია — ქართულ და რუსულ ენებზე (8-20—8-40).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8-40—11).

ხუთშაბათი, 11 აგვისტო

რადიო - გადაცემა არ იქნება.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს 10 აგვისტოს შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: გუშინ 9 აგვისტოს სექციამ მიიღო მოთხოვნილება 50 მკერავზე, ამიტომ უმუშევარი მკერავი ქალები უნდა გამოცხადდენ დღეს აღნიშნულ სექციაში.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: ნინო სუხიაშვილს, ნინო გორჩილავას, ანნა მახარაშვილს, ვერა მიასნიკოვას, ქსენია მიმინოშვილს, თამარ ედიშერაშვილს, სირა თარხნიშვილს და ნიკოლოზ ჭარბაძეს.

მშენებელ მუშაკთა მე-5 სექცია: გიორგი ჯანაშვილს, მარტიროს მატინიანცს; ალექსანდრე დუბინსკის, დავით ბიასაშვილს, ილარიონ ჩიჩგანოვს, ვენედიქტე ფელდმანს. ივანე დიმანს, ლიპარიტ არეშევს, და გიორგი მიკირტუმოვს.

ბიბლიოგრაფია

ი. რუბინი.
ეკონომიური აზროვნების ისტორია
თარგმანი პ. დ. საქვარელიძის რედაქციით.
გვ. X+413. სახელგამი 1927 წ. ფასი 3 მ. 50 კ.

თეორიულ პოლიტიკურ ეკონომიის საფუძვლიანი შესწავლა შეუძლებელია ეკონომიური მოძღვრებათა ისტორიის შესწავლის გარეშე.

ამიტომ ქართულ ენაზე ი. რუბინის ცნობილი შრომის „ეკონომიური აზროვნების ისტორიის" გადმოთარგმნა საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს. ამიერიდან ჩვენს ახალგაზრდობას საშუალება ეძლევა ქართულ ენაზე ეკონომიური აზროვნების ისტორიის შესასწავლად ისარგებლოს იშვიათად კარგად შესრულებული და ბოლომდე მარქსისტულად დაწერილი შრომით.

სარეცენზიო შრომაში მოცემულია ძირითად ეკონომიურ იდეიათა ევოლიუცია დაწყებული მერკანტილისტებიდან დასრულებული მე-19 საუკუნის შუა ხანით. იგი ამრიგად წარმოადგენს მარქსისტულ ეკონომიური სისტემის უფრო ღრმა შესწავლის ისტორიულ შესავალს, როგორც ამის შესახებ სწერს ავტორი ქართულ გამოცემისათვის დაწერილ შესავალში.

ი. რუბინმა თავის ისტორიაში როგორც თვითონ აღნიშნავს, მოაქცია მხოლოდ სხვადასხვა ეკონომიურ აზროვნებათა მიმდინარეობის ყველაზე უფრო ცნობილი წარმომადგენლები. მაგრამ არსებითად რუბინის შრომა გარდაიქცა კლასიკური სკოლის განხილვათ როგორც თავის წინაპრებით, ისე თავის ეპიგონებით. ავტორის ტექსტში რამდენჯერმე ნახსენები ჰყავს როდბერტუსი, მისი თეორია, რომლის არ შეტანა ეკონომიურ აზროვნების ისტორიაში დიდ დანაკლისს წარმოადგენს. რუბინის ისტორიის შემდეგ ნაკლად უეჭველად მიჩნეული უნდა იქნას გერმანეთის პოლიტ ეკონ. გვერდის ახვევა. აქ არაა განხილული ძველი ისტორიული სკოლა. საჭირო იყო ავტორის დაწვრილებით გაერკვია მკითხველისათვის, თუ როგორ ვითარდებოდა ეკონომიური აზროვნება, რომელმაც კლასიკებიდან უშუალოდ მარქსამდე მიგვიყვანა და რაც მარქს თვითვე აქვს გარკვეული თავის „ზედმეტი ღირებულების თეორიების" მესამე ტომში.

რუბინის შრომის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მას არ აქვს განხილული არც ფრანგი, არც გერმანელი და არც იტალიელი მერკანტილისტები, რომელთა ცოდნა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ამ ეპოქის უკეთ შესწავლისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ რუბინის შემდეგი ნაკლი, რომელიც მარქსის რიკარდოიზაციაში მდგომარეობს, რადგან რუბინის მიერ რიკარდოს რენტის თეორია ისეთნაირადაა დახასიათებული, თითქოს რიკარდოს მიერ მოცემული რენტის თეორია თავისი ძირითად ხაზებით მიიღო მარქსმა თავს ეკონომიურ სისტემაში. მარქსის რენტის თეორია თუ გინდ დიფერენციალური პრინციპიალურად განსხვავდება რიკარდოს თეორიიდან. თუ რიკარდოს რენტის თეორია ეწინააღმდეგება რიკარდოს ღირებულების თეორიას, მარქსის დიფ. რენტის თეორია აგებულია მარქსის ღირებულების თეორიაზე. ამის გამო რუბინის შრომაში რიკარდო გადაჭარბებულად შეფასებულია რენტის საკითხში, ხოლო მარქსმა კი რუბინის შრომით უფრო მეტი მიიღო რიკარდოდან რენტის საკითხში, ვიდრე სინამდვილეში არის.

ეხლა რაც შეეხება ქართულ თარგმანს.

მეცნიერული შრომის ყოველი მთარგმნელისაგან ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ თარგმანი მსუბუქი და ადვილად გასაგები ენით იყოს გადმოცემული და ამავე დროს თეორიულ მსჯელობის სისწორე ბოლომდე ზედმიწევნით დაცული იქნას. ამ მხრივ რუბინის ქართული თარგმანი საკმაო ნაკლითაა გამოცემული.

ასე მაგ. გვ. 77. სწერია: „მბრუნავი ფულის რაოდენობა ისაზღვრება საქონლის ტრიალის **მოთხოვნილებით** და მათ შორის საქონლის ფასების დონით". რუსულად აქ სწერია: «потребностями товарного обращения, в том числе и уровнем товарных цен». აქ აზრი ნათელია, ხოლო ქართულში კი გაურკვეველია: **თუ საქონლის ტრიალის მოთხოვნილებით** განისაზღვრება, მაშ რაღაა კიდევ აღნიშნული „მათ შორის საქონლის ფასების დონით" „მათ შორის" ხმარების უფლებას არ იძლევა წინ არსებული გამოთქმა „მოთხოვნილებით". ასეთი უხეირო გამოთქმები ახალგაზრდა მკითხველს გაუძნელებს ისედაც ძნელი—ფულის პრობლემის გაგებას. იმავე გვერდზე მთარგმნელი ხმარობს ხან „ტრიალს" და ხან „ბრუნვას". რუსულში კი ამ გვერდზე ყოველგან იხმარება „обращение" ანუ „ტრიალი".

მეცნიერული აზრის სწორად გადმოცემისათვის საჭიროა ერთი და იგივე აზრის გამოსათქმელად ერთი და იგივე ტერმინი იხმარებოდეს, მით უმეტეს რუსულ ორიგინალში ყოველგან იხმარება ერთი და იგივე გამოთქმა „обращение". უხეირო გამოთქმებათ უნდა ჩაითვალოს შემდეგი: производительность, ნათარგმნია როგორც „მწარმოებრიობა", უნდა იყოს „ნაყოფიერობა". благородный металл—„პატიოსანი ლითონი", უნდა იყოს „ძვირფასი ლითონი". ценообразование — „ფასქმნადობა", უნდა იყოს „ფასის წარმოშობა" ან „ფასის დამყარება", воспроизводство ნათარგმნია „აღდგენათ", უმჯობესია „წარმოების განმეორება". ყოველთვის არაა საჭირო უეჭველად ერთი სიტყვით ვთარგმნოთ ის, რაც რუსულადაც ერთი სიტყვითაა ნათარგმნი. გვ. 185 ნახმარია გამოთქმა „პლანზომიერი", უნდა იყოს—„გეგმაშეზომილი", 195 გვ. ნახმარია „ზადი" (порок), უნდა იყოს „წუხი", ან „ნაკლულევანება", 205 გვ. „მეწარმე" (предприниматель), უნდა იყოს „მწარმოებელი", „игнорирование"—ნათარგმნია „უგულებელ ყოფა", უნდა იყოს „უყურადღებოდ დატოვება". „закат" ნათარგმნია როგორც „დასვლა", უმჯობესი იქნებოდა ნათარგმნი ყოფილიყო „დასრულება", ან „დასასრული", რადგან იმ პოზიციაში, სადაც ეს გამოთქმა ნახმარია „კლასიური სკოლის დასვლა", აზრი გაურკვეველია, უფრო ნათელი იქნებოდა ეხმარათ „დასრულება", ან „დასასრული".

გარდა ამისა, როცა ჩვენში სერიოზული ეკონომიური ხასიათის ნაშრომი გადმოითარგმნება, მის რედაქტორად მიწვეული უნდა იყოს ეკონომიური მეცნიერებისათვის არა შემთხვევითი პირი, არამედ ეკონომისტი, რომლისთვისაც ძვირფასია ყოველი წვრილმანის ეკონომიური ნაშრომი და მაშინ არ გვექნება ეკონომიურ ტერმინების უხეირო ხმარება.

აკ. კალაძე.

სპორტი

რეფორმისტულ სასპორტო ინტერნაციონალის მახინაციები

ჰელსინგფორსი, 8 აგვისტო. 5 აგვისტოს გაიხსნა ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალის მეოთხე კონგრესი, კონგრესმა 16 ხმის უმრავლესობით ორის წინააღმდეგ (ფინეთის და შვეიცარიის დელეგატები) **უარჰყო წითელ სასპორტო ინტერნაციონალის წევრის ამხ. პანოვის თხოვნა, რათა მას მისცემოდა სიტყვა წითელ სასპორ. ინტერნაციონალის სახელით მისალმების წარმოსათქმელად.** გაზ. „მუშათა ორგანიზაციების უწყებები" ბეჭდავს წერილს, რომელშიაც ჰკიცხავს პოზიციას ფინეთის მუშათა სასპორტო კავშირისას. რომელმაც უარჰყო მიპატიჟება საბჭოთა სასპორტო ორგანიზაციებთან სასპორტო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების შესახებ. გაზეთი იხსენებს საწინააღმდეგო ხასიათის გადაწყვეტილებებს, რომლებსაც იღებდა უმალ საბჭო და აღნიშნავს, **რომ საბჭოს პოლიტიკა** შეიცვალა იმ გამარჯვების გამო, რომელიც მოიპოვა სასპორტო კავშირის წარსულ ყრილობაზე სოციალ-დემოკრატიამ, ვინაიდან შექმნა ხელოვნური უმრავლესობა მემარცხენეთა 40 მანდატის გაუქმების საშუალებით (ათს).

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება

რიგა, 8 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ფეხბურთის გუნდმა სარევანშო შეჯიბრის დროს დაამარცხა ლატვიის მუშათა გუნდი 5:0 ანგარიშით (ათს).

* * *

თბილისის „დინამო" დონბასში

თბილისის ფეხბურთელთა გუნდ „დინამო"-ს უკანასკნელად შეჯიბრი ჰქონდა დრუჟოვკის გუნდთან; ეს უკანასკნელი ერთ-ერთ უძლიერეს გუნდათ ითვლება დონის ბასეინში.

„დინამო" თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: **დ. ცომაია, ფოჩხუა, ბლანკმანი, ანიკინი, ჟორდანია, ფრუიძე, ქოიავა, ფაჩულია, დიაკოვი, ვაჩნაძე და ქებაძე.**

შეჯიბრი დამთავრდა 8:0 „დინამო"-ს სასარგებლოდ.

მეორედ ეს (3 აგვისტოს) „დინამო" ისევ დრუჟოვკის წინააღმდეგ გამოვიდა. არ თამაშობდა ვაჩნაძე, რომელიც შესცვალა **ვლ. ცომაიამ.**

ეს მატჩი მოიგო დრუჟოვკამ 6:2.

დრუჟოვკიდან „დინამო" გაემგზავრა კრამატორსკში. კრამატორსკის გუნდი უძლიერესი გუნდია დონბასში. მან მოუგო ნაკრებ კიევს 3:0 და წააგო ავსტრიის ნაკრებ გუნდთან 2:1.

მეცნიერება და ტეხნიკა

ჩინეთისა და იაპონიის კულტურის კერა

გერმანელი მეცნიერი პროფ. **გუბერტ შმიდტი** თავის უკანასკნელ შრომაში ანვითარებს ახალ თეორიას ჩინეთისა და იაპონიის უძველეს კულტურების წარმოშობის შესახებ. აღმოსავლეთ ჩინეთში, იან-შაოს რაიონში წარმოებულ გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა კულტურის ნაშთები, რომლებიც ძლიერ წააგავენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უძველესი (ახალ ქვის ეპოქისა და ბრინჯაოს საუკუნის დასაწყისის) კულტურის ძეგლებს. ამ კულტურის ნაშთები პირველად ნაპოვნი იქნა ტრიპოლიეში; კიევის ახლო, შემდეგ ბესარაბიაში, გალიციაში და ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე. იან-შაოში ნაპოვნი ნაშთების შესწავლამ პროფ. შმიდტი მიიყვანა იმ დასკვნამდი, რომ იაპონიისა და ჩინეთის კულტურა ევროპიული წარმოშობის არის, რომ იგი ენათესავება უნგრეთის; რუმინეთის და უკრაინის უძველეს კულტურას. შესაძლებლად თვლის შმიდტი იმასაც, რომ ამ კულტურებს საფუძვლების ჩამყრელნი ერთი და იგივე წარმოშობის იყვნენ.

ახალი საშუალება დიაბეტის წინააღმდეგ

გერმანელმა მეცნიერმა პროფ. **ნოტმანმა** და **ფრანკმა** აღმოაჩინეს ახალი საშუალება დიაბეტის (შაქრის ავადმყოფობის) წინააღმდეგ. რომელსაც მათ უწოდეს „სინტალინი" „სინტალინის" შემადგენლობა ჯერ არ არის გამოქვეყნებული. ამ საშუალებას, შედარებით ინსულინთან, რომლის სამკურნალო თვისებებმა დააინტერესა მთელი ექიმობა, ის უპირატესობა აქვს, რომ მზადდება ხელოვნურად და მისი მიღება შეიძლება შიგნით.

საინტერესო მინერალი

კოლის ნახევარ-კუნძულზე. ლოვოზერსკის ტუნდრაში, საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ხივის ექსპედიციამ აღმოაჩინა წითელ-იისფერი ქვა, ცნობილი „სოდამიტის" სახელწოდებით.

საკმაო არის გასტეხო ეს ქვა, რომ ის იმ წამსვე (10-30 წამში) კარგავს თავის ფერს და ნაცრისფერი ხდება, თუ რატომ ხდება ეს, ჯერ კიდევ გამოურკვეველია. გამოურკვეველია ისიც, თუ რით არის გამოწვეული ის, რომ ამ ქვის ნამტვრევებს ისევ უბრუნდება თავისი ფერი, როცა მათ მცირე ხნის სიბნელეში მოათავსებენ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტთანარსებულ საწარმოების და კოლექტივების შენაერთისა

I.

საერთო დებულებანი

1. თანახმად ა. კ. ს. ფ. ს. რ. ცაკ-ის და სახკოსაბჭოს მიერ 1925 წ. ივლისის 17-ს თარიღით გამოცემულ დადგენილებისა შრომის ბირჟის კომიტეტის მიერ უმუშევართათვის დასახმარებლად მოწყობილი საწარმოების და კოლექტივების შესახებ, თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტთან ეწყობა საწარმოთა და კოლექტივების შენაერთი სახელწოდებით „თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტთან არსებული საწარმოების და კოლექტივების შენაერთი". ამ შენაერთის სამმართველო იმყოფება ქ. თბილისში.

2. შენაერთის სამოქმედო რაიონია ქ. თბილისი და თბილისის მაზრა.

3. შენაერთში შემავალი ყველა საწარმოო და კოლექტივი, თანახმად ა.-კ. ცაკ-ის და სახკომსაბჭოს მიერ 1925 წ. ივლისის 13-ს თარიღით გამოცემულ დადგენილებისა (ა. კ. კან. კრ. 1925 წ. № 7 მუხ. 467) ეთანასწორება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო ორგანიზაციას.

4. შენაერთის მიზანია შრომითი დახმარება აღმოუჩინოს შრომის ბირჟის რეგისტრაციაში გატარებულ უმუშევრებს.

5. მე-4-ე მუხლში აღნიშნული მიზნის მისაღწევად საწარმოებს და კოლექტივების შენაერთს უფლება ეძლევა, თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტის დასტურით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო პროფკავშირთან, მოაწყოს:

ა) საწარმოებლო საწარმო (სახელოსნო და სხვ.)

ბ) სავაჭრო საწარმო (მაღაზია, დუქანი, კიოსკი, ყოველგვარ ნაკეთების და საქონლის ფეხზე ვაჭრობა და სხვ.)

გ) შრომითი კოლექტივები (დამტვირთავების, დამტარებლების, გზირების, მეგაზეთეების და სხვ.).

6. შენაერთს აქვს იურიდიული პირის უფლება და, როგორც ასეთს, მას შეუძლიან;

ა) შეიძინოს და გაასესხოს ყოველგვარი ქონება.

ბ) დასდოს ხელშეკრულება (გაასესხოს თამასუქი, ისარგებლოს კრედიტით ბანკში, მიიღოს სესხი, იჯარით აიღოს სადგომი და სხვ.).

გ) მოაწყოს თავისი მოქმედებისათვის დამხმარე სამეურნეო საწარმოო და სამუშაო.

დ) იძიოს და პასუხი აგოს სასამართლოში.

ე) მონაწილეობა მიიღოს საბირჟო კრებებზე და დასდოს საფონდო ბირჟაზე ყოველგვარი გარიგება.

7. შენაერთი ცალკე კოლექტივისა თუ საწარმოს ვალდებულების გამო პასუხს აგებს უპირველეს ყოვლისა სათანადო კოლექტივის თუ საწარმოს ქონებით, ხოლო ამის შემდეგ, შენაერთის შემადგენელი ყველა სხვა საწარმოსა და კოლექტივის ქონებით.

შენიშვნა: შრომის სახალხო კომისარიატს და მის ორგანოებს, მათ შორის თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტს, შენაერთის ვალდებულების გამო, არავითარი ქონებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ.

8. გადახდევინების მიქცევა ყველა იმ ქონებაზე, რაც ამა თუ იმ საწარმოს ან კოლექტივს ძირითად კაპიტალს შეადგენს, იმისდამიუხედავათ გადაეცა მას ეს ქონება დაარსებისთანავე თუ შემდეგში იყო შეძენილი,—შეიძლება მარტოოდენ სამოქ. სამ. კოდ. 22 მუხ. და ამ მუხლის შენიშვნის წესით საბრუნავ კაპიტალზე გადახდევინება საერთო წესით მიიქცევა.

შენიშვნა: დავას იმის შესახებ თუ რა გვარ ქონებად უნდა ჩაითვალოს ესა თუ ის ქონება ძირითადათ თუ საბრუნავათ, გადასწყვეტს იმ ადგილის სათანადო სასამართლო, სადაც სადავო ქონებაა.

9. საწარმოსა და კოლექტივში მომუშავე პირი მონაწილეობას არ იღებს ამ საწარმოსა და კოლექტივის მოგებაში და მას არავითარი ქონებრივი პასუხისმგებლობა შენაერთის, საწარმოსი. თუ კოლექტივის ვალდებულების გამო, არ დაეკისრება.

10. შენაერთს აქვს თავისი ბეჭედი შემდეგი წარწერით: „თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული საწარმოებისა და კოლექტივების შენაერთი", ყოველ ცალკე საწარმოსა და კოლექტივს კი წარწერით: „თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული ნაწარმოებისა და კოლექტივების შენაერთი.... კოლექტივი (სახელწოდება).

11. შენაერთის სახსარი

11. საწარმოებისა და კოლექტივების შენაერთის სახსარი შესდგება.

ა) იმ თანხებიდან, რასაც კი იგი მიიღებს საწარმოების და კოლექტივების ექსპლოატაციით და მუშაობით.

ბ) იმ სუბსიდიებიდან, რასაც მისცემენ მას საერთო სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები.

გ) იმ თანხებიდან, რაც არსებულ დადგენილებათა ძალით, უნდა მიეცეს დახმარებად იმ უმუშევართ, რომელნიც, მუშაობენ აღნიშნულ საწარმოებსა და კოლექტივებში.

დ) სხვა შემოსავლიდან.

12. შენაერთის კაპიტალი იყოფა ძირითად და საბრუნავად.

13. ძირითად კაპიტალს შეადგენს მთელი ის ქონება, რაც წარმოების პროცესში მთლად არ ისპობა, როგორიცაა: შენობა, მოწყობილობა, მანქანები, იარაღები ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი და სხვ.

14. საბრუნავ კაპიტალს შეადგენს მთელი დანარჩენი ქონება, რაც კი ძირითად კაპიტალად არ ჩაირიცხება.

15. მთელი წმინდა მოგება. რასაც კი საწარმოებისა და კოლექტივების შენაერთი მიიღებს მისი შემადგენელ ნაწარმოების და კოლექტივების ექსპლოატაციით შენაერთის განკარგულებაში გადმოდის, უკანასკნელი ამ მოგებას მოიხმარს განსაკუთრებით უმუშევართათვის შრომითი დახმარების მოსაწყობად თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტის დასტურით.

3. შენაერთის საქმეთა მმართველობა

ა. კომიტეტი

16. შენაერთში შემავალ ყველა საწარმოსა და კოლექტივის მმართველობის უმაღლესი ორგანო არის თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტი.

17. კომიტეტს ევალება:

ა) საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით შენაერთის მმართველის დანიშვნა და მოხსნა.

ბ) დამტკიცება, მმართველის წარდგენით, ცალკე საწარმოსა და კოლექტივის გამგისა და ამ უკანასკნელის კანდიდატურის შეთანხმება სათანადო პროფკავშირთან.

გ) დამტკიცება მმართველის წარდგენილებისა საწარმოს და კოლექტივის მოწყობის შესახებ და წარდგენილების შეთანხმება, სათანადო პროფკავშირთან.

დ) შენაერთის და აგრეთვე საწარმოთა და კოლექტივების შტატების დამტკიცება.

ე) მმართველის ჯამაგირისა და მისი მიცემის წესის განსაზღვრა.

ბ) სამმართველო

18. შენაერთის მთელი საქმიანობის უშუალო მმართველობისათვის თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტი მოაწყობს ერთპიროვან სამმართველოს კოლექტივების მმართველის სახით. ამ უკანასკნელს დანიშნავს შრომის ბირჟის კომიტეტი იმ კანდიდატებთაგან, რომლებსაც წამოაყენებს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო:

19. სამმართველო თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტის დირექტივებით, ამ კომიტეტის ყველა განკარგულება სავალდებულოა სამმართველოსათვის.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარის მოადგილე ჭელიძე.

შრომის ბაზ. გან. გამგე ბოგინაშვილი.

შეთანხმებულია: იუსტიციის სახალხო კომისარი **ვარძიელი.**

საქ. პროფ. კავ. საბჭო ურულაშვილი.

(დასასრული იქნება)

იურიდიული დახმარება

რკინისგზის დაცვის 1-ლი რაზმის თანამშრომლებს

პასუხი

თუ რამდენი ხნის შვებულება გერგებათ—იმაზე ზუსტად, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114 და 115-ით, ეს უთუოდ გათვალისწინებული უნდა იყოს — კოლექტიურ ხელშეკრულებაში და უნდა ისარგებლოთ ამით.

რაც შეეხება შვებულების მიცემის საკითხს, ამას აგვარებს თვითონ ადმინისტრაცია [illegible] შეთანხმებით. რომელთაც უფლება აქვთ კუთვნილი მორიგი შვებულება გადაუტანონ მუშა - მოსამსახურეებს მეორე წელიწადში და შეაერთონ მეორე წლის მორიგ შვებულებასთან, შრომ. კანონთა კოდექს. მუხ. 120, თანახმად მორიგ შვებულებათა შეერთება კი ორ წელზე მეტი ხნით დაუშვებელია.

ს. ჩუგბინიშვილს

პასუხი

ვინაიდან თქვენ ღებულობთ დატვირთვას, ამიტომ ვალდებული იყავით გემუშავნათ ზედმეტ საათებში, თუ სამუშაო ამას მოითხოვდა, რაზედაც ცალკე გასამრჯელო არ გეკუთვნით.

რაც შეეხება გამოუყენებელ შვებულებას კომპენსაცია, ასეთი გერგებათ, თუ კი თქვენ შვებულებით მართლაც არ გისარგებლნიათ.

გასასვლელ ორ კვირეულ დახმარებას კი (სალიკვიდაციოს) მიიღებთ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციას არ გაუფრთხილებიხართ თქვენ სამსახურიდან მოხსნის შესახებ ორი კვირით ადრე.

გიორგი ქლიბაძეს

პასუხი

ადმინისტრაციას თქვენი გადაყვანა ერთი სამსახურის ადგილიდან, მეორეში შეუძლია თქვენთან შეთანხმებით. ხოლო თუ თქვენ თანახმა არა ხართ გაქვთ უფლება შრომის ხელშეკრულება დაარღვიოთ და მოითხოვოთ გასასვლელი ორკვირიეული დახმარება შრომის კანონთა კოდ. მუხ. 37 და 89 წესისამებრ.

კავშირის წევრს ა. ღოღობერიძეს

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მე-67 მუხლისა, ფიზიკური შრომის მუშებს დაეტოვებათ მიწის ნახევარი ნორმა. მაგრამ ამავე კოდექსის მე-18 მუხლის ძალით, თქვენ გენახებათ ეს უფლება მხოლოდ სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც თუ ამ მიწასთან არავითარი კავშირი არა გქონდათ (ე. ი. მას არ ამუშავებდით და სხვა). ეს მიწა ჩამოგერთმევათ.

კავშირის წევრს (წიგნაკ. № 19.392) სევერიანე ნიჟნიანიძეს

პასუხი

თქვენ, როგორც დემობილიზაცია ქმნილს, უკვე გისარგებლნიათ დემობილიზაცია ქმნილის უფლებებით. ამჟამად კი მოუხსნიხართ თანამდებობიდან. თქვენ გაქვთ უფლებები, როგორც აქვთ ჩვეულებრივად კავშირის სხვა უმუშევარ წევრებს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს რეშედასის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს 11 აგვისტოს, საღამოს ექვს საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია **რაიკომის საბჭოს გაფართოებული პლენუმი** უჯრედების ბიუროებთა, ბიუროს წევრებისა და სარევიზიო კომისიის თანდასწრებით.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა შესდგება დღეს, ათ აგვისტოს, საღამოს 6 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-საგანმანაწილებლო განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს დაუყოვნებლად გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-საგანმანაწილებლო განყოფილებაში (ოთახი 34) 10 აგვისტოს, დილის 10 საათისათვის.

შალვა ივანესძე აბესალამიშვილი, ნინა სიმონის ასული ბოლქვაძე, სირანუშ არამის ასული ელბაქიანი, ანა დავითის ასული კოლუმბეკოვი, ვარვარა გალდავა, აზიზ თუმანი, აროუთინა სურხატიანი, ლიუსიკ (რიპსიმე) ოვანესიანი, ვარსენიკ პოლოიანი-ისაკიანი, ანა გაზარიანი, ჰოანეს ნონიანი, ეკატერინა ბუბატოვისა, ელენე ჯიბლაძე, გიორგი ჯანელიძე, გაბრიელ ლეშკაშვილი, ლიუბოვ მეგრელიშვილი, ნინა ჩხარტიშვილი, მარი დიმიტრის ასული თითბერიძე, ნიკოლოზ კიკაბაძე, ალექსანდრა ვასილის ასული დურბინი-ივანიკოვისა, სმაველ ანტონის ძე სვანიძე, შალვა აბესალომისძე ჩხაიძე, დავით ალექსანდრესძე კაკაბაძე, ანიჩკა ერმილოვისძე კორაშინაძე, საგრენ ბერიევი, ნიკოლოზ მეგრელიძე, კაპიტონ ლუკასძე ქორიძე, სოფიო ფინეიშვილი, რუბენ გიორგისძე თევდორაძე, მ. მამა შთავრიშვილი, შალვა გიორგისძე გორდელაძე, ეპრაქსია გიორგის ასული ზაქარეიშვილი, ზაქარო აბრამისძე გელაშვილი, ბაბალე ვლადიმერის ასული ალავერდიშვილი, ელენე ანდრიას ასული გოშაძე—გიორგაძისა, მიხეილ თალანის ძე ჩომახიძე, სევერიან ქედია, ნიკოლოზ დიმიტრისძე მატიაშვილი, თამარა მაქსიმეს ასული ქვარიანი, არ. მარიანაშვილი, სირანუშ ვარნოვის ასული აბრამიანი, მავრა ვასაძე, რიფსიმე სერგოს ასული ოვანესიანი, ვლადიმერ ალექსანდრესძე ბერაია, მარგარიტა ოვანესიანი, იოსებ ივანესძე ოგიაშვილი, გიორგი დავითისძე ხარატიშვილი, იულია სამსონის ასული ნიკოლეიშვილი, ნიკოლოზ სიმონისძე გრიგორაშვილი, ალექსანდრე ბახბიევი, თიოლინა რაჟდენის ასული აბაშიძე, არშენუი ვართანის ასული ტიუტიუნდარიანი, ანა არკადის ასული ბაბაიანისა, აკალია იაგორის ასული გრიგორიანისა, ბორის ბაგრატისძე არუთინოვი, ტიგრან კარაპეტისძე ბაღდასაროვი, მარიამ ზეგლარის ასული ამირხანიანი, ვერა რაჟდენის ასული ძნელაძე, ალექსანდრე ანტონისძე კაკაიძე, ვიკენტი ბესარიონისძე ქელბაქიანი.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები დედა კესარია პავლე გიორგობიანის ასული, მამა იაგორ ალექსის ძე ბუხრაშვილი, მეუღლე მარო გიორგი რაზმაძის ასული თავის პატარა შვილებით: გივი და გაიოზით, სიდედრი ეფემია და სიმამრი გიორგი რაზმაძე; დები ნინა თავის მეუღლით მალაქია გოშაძეთი, თამარა და ძმა შალიკო ბუხრაშვილები, ბიძები თავის შვილებით და ბიძაშვილები აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობთ, რომ მოსკოვში უდროვოდ და მოულოდნელად 14 ივლისს გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

ვასო იაგორის-ძე
ბუხრაშვილი

რომლის ჩამოსვენება მოხდა ქ. თბილისში 8 აგვისტოს კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 11 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე კუკიის სასაფლაოს ეკლესიიდან დაკრძალვა იმავე ეკლესიის სასაფლაოზე. პანაშვიდი წარმოებს ყოველდღე საღამოს 6 საათზე.

1—1 3537

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

საუკეთესო ამერიკელი მსახიობი ქალი ლილიან გიშ („ორი ობოლის" გმირი) მხატვრულ სურათში
„ქალაქის ხმაზე"
დადგმა მსოფლიო რეჟისორის დ. გრიფფიცისა

წარმტაცი კინო-რომანი საუკეთესო ტრიუკისტის ხეტჩისონის მონაწილეობით
„ბოროტმოქმედების დალი"
(სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში). 3 და 4 სერია
ადგილების ფასი—50 და 30 კაპ.
უკრავს სიმებიანი ორკესტრი

ულამაზესი ქალი ბარბარა ბერფორდი
ამერიკულ მხატვრულ სურათში
„ოკეანეს მონები"
ვინც შეიძენს კინოში შესასვ. ბილეთს არ იხდის ბაღში შესასვლელ ფასს

0—6 ნ. 1388

ანონსი: ამ დღეებში „შეიხი"—რ. ვალენტინოს მონაწილეობით.

რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 17 აგვისტოსთვის

დანიშნულია შეჯიბრება

მარცვლიდი (გრანიტის) ქვის დამზადებაზე რიონჰესის მთავარ საგუბრის მოსახულობისათვის, რაოდენობით 1355 ოთხ. მეტრ.

დაწვრილებითი კონდიციის გაცნობა აღნიშნულ დადგმაზე შეიძლება რიონჰესის სამუშაოთა სამმართველოში (ქ. თბილისი, პუშკინის ქ. № 4) ყოველდღე 10—1 საათ.

იმ ორგანიზაციებს ან კერძო პირთ, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება დაწესებულ თეთრა-ნიმუშზე (ბლანკზე) სათანადო საღერბო მარკებით დახურულ კონვერტში—წარწერით: რიონჰესის მთავარ ინჟინერს 17 აგვ-ის დანიშნულ შეჯიბრებისათვის, რომელ რიცხვში 2 ნახ. საათ. მოხდება დაბეჭდილ ყუთის და მათში მყოფ კონვერტების გახსნა.

განცხადებასთან ერთად უნდა იყოს დართული ქვითარი 1000 მან. შეტანისა რიონჰესის სალაროში საწინდრის სახით, რომელი თანხა შევსებულ უნდა იქნეს 10% იმ საერთო თანხისა, რომელ თანხაშიც დარჩება შემჯიბრებელს აღნიშნული სამუშაო. ის ორგანიზაციები, რომელნიც განთავისუფლებულნი არიან წინასწარ საწინდრის შეტანისაგან, განცხადებასთან ერთად უნდა დაურთონ შესაფერისი მოწმობა.

2—1 ნ. 1542

აჯამეთის საცდელი სადგური

ამით აცხადებს. რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და ამხანაგობებს შეუძლიათ შეიძინონ ზემოხსენებული დაწესებულებაში წმინდა სისხლის იორკშირის ჯიშის გოჭები, კვერცხების მდებელ ქათმების კვერცხები, აგრეთვე წმინდა სისხლის ლუჰგორნის ჯიშის: დაკვეთა საჭიროა წინასწარ. კერძო პირთ კი ადგილზე შეთანხმებით

3—1 3521

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20

25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

რიონის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 19 აგვისტოსთვის

დანიშნულია შეჯიბრება

6000 კუბ. მეტრი ხრეშისა და 3.600 კუბ. მეტრი სილის დამზადებაზე რიონჰესის მთავარ საგუბრის სამუშაოთა წარმოების რაიონში.

დაწვრილებითი კონდიციის გაცნობა აღნიშნულ დადგმაზე შეიძლება რიონჰესის სამუშაოთა სამმართველოში (ქ. თბილისი, პუშკინის ქ. № 4) და აგრეთვე მთავარ სამუშაოთა მწარმოებლის ანგარანში (ქ. ქუთაისი) 10-დან 1 საათამდე.

იმ ორგანიზაციებს ან კერძო პირთ, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება რიონჰესის სამუშაოთა სამმართველოში ქ. თბილისში, დაწესებულ თეთრა-ნიმუშზე (ბლანკზე) სათანადო საღერბო მარკებით დახურულ კონვერტში—წარწერით: რიონჰესის მთავარ ინჟინერს 1927 წ. 19 აგვისტოსთვის დანიშნულ შეჯიბრებისათვის, რომელ რიცხვშიც 2 ნახ. საათზე მოხდება დაბეჭდილ ყუთის და მათში მყოფ კონვერტების გახსნა.

განცხადებასთან ერთად უნდა იყოს დართული ქვითარი 500 მან. შეტანისა რიონჰესის სალაროში საწინდარის სახით, რომელი თანხა შევსებულ უნდა იქნეს 10 პროც.-მდე იმ საერთო თანხისა, რომელ თანხაშიც დარჩება შემჯიბრებელს აღნიშნული სამუშაო. იმ ორგანიზაციებმა, რომელნიც განთავისუფლებულნი არიან წინასწარ საწინდარის შეტანისაგან, განცხადებასთან ერთად უნდა დაურთონ შესაფერისი მოწმობა.

2—2 ნ. 1541

ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახ. სასამართლ. აღმასრულებელი ს. გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 16 აგვისტოს 1927 წ. დღის 11 საათ. ბაქოს ქუჩ., სახლი № 7, მე-10 სამილიციო უბანში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მარიამ გრიგოლის ასული ტატიშვილის სახლს ვიქტორ მალაქიასძე მარუაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახალხო სასამართლოს 20 ივნისის 1927 წ. თარიღით № 6481 გაცემულ სასამართლოს ბრძანების ძალით, ეს სახლი არის ორ სართულიანი სარდაფით შესდგება 16 ოთახისაგან და ორი სამზარეულოსაგან და სხვა კუთვნილებით, შეფასებულია 3000 მან., საჯარო ვაჭრობა ჩატარებული იქნება სამოქ. საპრ. კოდ. 311 და 312 მუხლებში გათვალისწინებულს წესის დაცვით.

3531

თბილისის ქალაქის აღმასკომის

კეთილმოწყობის განყოფილება

ა. წ. 16 აგვისტოს დღის 12 საათისათვის ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

„ფახვერკის" კარვების დასადგმად ახალ ბაზარზე, რომელიც ეწყობა რუსის ქუჩაზე (ეგრედ წოდებული „ამერიკული ბაზარი") იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში, უნდა შემოიტანონ კეთილმოწყობის განყოფილების კანცელარიაში განცხადებები სათანადო საღერბო მარკების გადახდით. განცხადებაში აღნიშნული უნდა იქნას ერთი კარვის მოწყობის ფასი. განყოფილება უფლებას იტოვებს კონვერტების გახსნის შემდეგ მოაწყოს ზეპირი ვაჭრობა საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს ვაჭრობისათვის საწინდარი 900 მანეთის რაოდენობით.

კონდიციების და სამუშაოთა ნუსხის მიღება შეიძლება კეთილმოწყობის განყოფილების კანცელიარიაში.

კეთილმოწყობის განყ. გამგე სიხარულიძე

ნ. 1551

თბილ. სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის

მებაღეობა-მევენახეობის დარგი

ამით აცხადებს, რომ 20 ამა აგვისტოს მიემგზავრება სამეცნიერო მიზნით სტუდენტთა ექსკურსია ყირიმში.

ექსკურსიაში მონაწილეობას იღებენ მიმდინარე წელს კურს დამთავრებულნი. მსურველნი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ 19 ამა აგვისტოს ქ. თბილისში, უნივერსიტეტის მთავარ შენობაში, დღის 12 საათზე და წარმოადგინონ საექსკურსიო ხარჯების დასაფარავად ხუთმეტი მანეთი (15 მან.)

3535 საექსკურსიო კომისია

თბილისის გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

კ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ ის 13 აგვისტოს 1927 წ. სოფ. მცხეთაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი მღებროვის უძრავ ქონებას: 1|3 სახლებისას 8 ოთახებიდან შემდგარს შეფასებულს 300 მანეთად, მისი შვილების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის გარე-უბნის სახალხო სასამართლოსაგან 4 ივნისიდან 1927 წ. თარიღით, № 759 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა შესდგება თან. 310—314 მ. სამ. სამ. საპ. კოდ.

ნ. 1550

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატო-ოდონტოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის

ტეხნიკოსთა კურსებზე მსმენელების

მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება კურსების გამგის სახელზე (პლეხანოვის გამზ. № 126) შემდეგი საბუთების თანდართვით:

1) შვიდწლედის დამთავრების მოწმობა,
2) წლოვანობის მოწმობა,
3) ნახევარი წლის სწავლის ფული.

მიღება იწარმოებს უგამოცდოთ.

კურსები ორწლიანია და მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით.

13—1 ნ. 3478

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ ხუთშაბათს 11 აგვისტოს დილის 12 საათზე, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სახელმწიფო გადასახადების ასანაზღაურებლად გაიყიდება, პიანინო, გარდერობები, შკაფები, ხალიჩები, ფარდაგები, სარკეები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები.

ნ. 1548

შეჯიბრება ქვიშის იჯარით გაცემაზე

ა. წ. 13 აგვისტოს დღის 12 საათზე დანიშნულია შეჯიბრება ტრამვაის წარმოების საჭიროებისათვის ქვიშის იჯარით გაცემა 1100 კუბ. საჟენის რაოდენობით. დაწესებულებები და ის პირნი, რომლებიც მოისურვებენ ქვიშის იჯარით აღებას ვალდებულნი არიან აღნიშნულ დროისთვის შემოიტანონ განცხადებები, რომლებშიაც აღნიშნული უნდა იყოს ქვიშის კუბიკურ საჟენის ფასი, ამასთანავე ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს საწინდარი 1.500 მანეთის რაოდენობით, ან უძრავ ქონების საბუთი. განცხადება დალუქულ პაკეტით უნდა იქნეს გამოგზავნილი ტრამვაის სამმართველოში წარწერით „ა. წ. 13 აგვისტოს შეჯიბრებისათვის." სხვა დანარჩენი ტეხნიკური პირობების გაგება შეიძლება ტრამვაის სამმართველოში დილის 6 ნახ. საათიდან დღის 3-ს საათამდე.

ნ. 1549

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 25

—18

დაკარგა პირად. მოწმობა, გლეხკომის წიგნაკი, სიღარიბის და სულადობის მოწმობა, შუამდგომლობის ქაღალდი გაცემული ეწრის (ქუთაისის მაზრა) თემაღმასკომისაგან, თბილისის ჯანმრთელობის კომისარიატის ორდერი № 981, თბილისის პოლიტ-კატორღელთა საწევრო ბარათი და ცენტრო-არქივიდან მოცემული 1927 წ. 9 ივლისს ასლის—ასლი № 951 და მასთან ფოტოგრაფიული სურათი და სხვადასხვა საბუთები იოაკიმ ივანესძე ზამთარაძეს სახელზე, ჩ. გ. 3533

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 1570 ნიკოლოზ ივანეს-ძე კობაიძეს სახელზე, ჩ. გ. 3530

დაკარგა პირადობის მოწმობა დავით ჯაფარიძეს სახელზე, ჩ. გ. 3533

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1972 კალენიკე ალმასხანის-ძე პიპინაძეს სახელზე, ჩ. გ. 3534

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4, ვლადიმერ დარისპანისძე მაღლაკელიძეს სახელზე, ჩ. გ. 3536

დაკარგა საამშენებლო კავშირის წიგნაკი № 555 იოსებ თვალაძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა ერკოოპის საწევრო წიგნაკი № 15599 კარაპეტ ოგანეზოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 358

დაკარგა გადასატანი მოწმობა № 6008, რომლითაც გადმოგზავნილია ქ. ქუთაისიდან 120,6 ვედ. ღვინო „საქართველოს ღვინო"-ს სახელზე, ჩ. გ. 3538

დაკარგა პიათურის დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1 ანტონ მიროტაძის სახელზე, ჩ. გ. 3539

დაკარგა აფთიაქის პროვიზორის დიპლომი გაცემული უნივერსიტეტის მიერ აკაკი ამბროსის-ძე ჩიხლაძეს სახელზე, ჩ. გ. 3540

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 6ა.